

## ჯეკ ლონდონი

### წინაპართა ძახილი

#### I

#### პირველყოფილი ცხოვრებისაკენ

მოხეტიალე ინსტინქტმა ძველმა  
საუკუნოვანს აჯობა ჩვევას,  
და ღრმა ძილიდან გამორკვეული,  
ბორკილებს ამსხვრევს მხეცი ველური.

ბეკი გაზეთებს არ კითხულობდა, თორემ გაიგებდა, რომ საშიშროება ელოდა, და განა მარტო მას – საშიშროება ემუქრებოდა ზღვის პირას მცხოვრებ ყველა კუნთმაგარსა და ღონიერ ძაღლს, რომელიც ცხოვრობდა პუჯეტის ყურიდან მოყოლებული სან-დიეგომდე და ჰქონდა ფაფუკი, გრძელი ბეწვი. ყოველივე ეს იმან გამოიწვია, რომ ადამიანებმა პოლარულ წყვდიადში უგზო-უკვლოდ ხეტიალის დროს აღმოაჩინეს ყვითელი ლითონი, ხოლო გემისა და ტრანსპორტის კომპანიებმა ქვეყანას მოსდეს ამ აღმოჩენის ამბავი. ათასობით ადამიანი მიაწყდა ჩრდილოეთს. ამ ხალხს კი ძლიერი, გამძლე, მძიმე შრომისა და სიცივის ამტანი, კუნთმაგარი და ფაფუკბეწვიანი ძაღლები ესაჭიროებოდა.

ბეკი სანტა-კლარას მზიან ველზე ცხოვრობდა, დიდ სახლში. ამ ადგილს მოსამართლე მილერის კარ-მიდამოს ეძახდნენ. ხეებში ჩაფლული სახლი გზის გადაღმა იდგა. ხეთა ტოტებს შორის ფართო, ჩრდილიანი ვერანდა მოჩანდა, რომელიც ოთხივე მხარეს ეკრა შენობას. სახლისაკენ მოკირჩყლული ბილიკები მიემართებოდა. ისინი გარს უვლიდნენ ფართო გაზონებს, რომლებიც ქვეშ მოემწყვდიათ მაღალი ალვების ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს. სახლის უკან კიდევ უფრო ფართო მიდამო ჩანდა, ვიდრე სახლის წინ. აქ იყო დიდი საჯინიბოები, სადაც თორმეტიოდე მეჯინიბე და მსახური ბიჭი ფუსფუსებდა, ველური ყურძნით გარშემოვლებული მსახურთა სახლები, ეზოს აუარებელი ნაგებობა, მობიბინე სამოვრები, გრძლად ჩარიგებული ფანჩატურები, ხეხილისა და კენკრის ბაღები. აქვე ნახავდით ამოსაქაჩ მოწყობილობას არტეზიული ჭისათვის და ცემენტის დიდ აუზს, სადაც მოსამართლე მილერის ვაჟები ბანაობდნენ ყოველ ცისმარე დილით, ცხელ ამინდში კი – ნაშუადღევსაც.

აი, ამ უზარმაზარი კარ-მიდამოს მბრძანებელი გახლდათ ბეკი. აქ დაიბადა იგი და აქ გაატარა სიცოცხლის ოთხივე წელი. მართალია, ამ ეზოში სხვა ძაღლებიც იყვნენ, ან კი როგორ შეიძლებოდა, არ ყოფილიყვნენ ასეთ ვრცელ მამულში, მაგრამ ისინი, აბა, რა ანგარიშში ჩასათვლელნი არიან – გამოჩნდებოდნენ და ისევ ქრებოდნენ, ცხოვრობდნენ შეუმჩნევლად ვიწრო სამაღლეებსა და სახლის მიყრუებულ კუთხე-კუნჭულებში, როგორც, მაგალითად, იაპონური მოჰსი – ტუტსი ან კიდევ მექსიკური უბალნო ძაღლი – იზაბელა. ეს უცნაური არსებანი იშვიათად თუ გაყოფდნენ ცხვირს კარს გარეთ. ამათ

გარდა, ამ კარ-მიდამოში ოცამდე ფოქსტერიერი ბინადრობდა. ისინი მუქართ ულრენდენ ფანჯრებიდან გამომზირალ ტუტსსა და იზაბელას, დამფრთხალი ძაღლები კი ცოცხებითა და ჯგაგრისებით შეიარაღებულ მსახურ ქალთა ლეგიონის კალთას აფარებდენ თავს.

მაგრამ ბეკი არც ოთახის ფინია გახლდათ და არც ეზოს უბრალო ძაღლი. მთელი კარ-მიდამო მის განკარგულებაში იყო: ბანაობდა საცურაო აუზში, მოსამართლის ვაჟებთან ერთად დადიოდა სანადიროდ, ალიონზე თუ შებინდებისას სეირნობის დროს თან ახლდა მოსამართლის ქალიშვილებს – მოლისა და ალისას. ზამთრის სადამოებში კი მოსამართლის ფერხით იწვა სამკითხველოში აბრიალებულ ღუმელთან. ზურგით ასეირნებდა მილერის შვილიშვილებს, ხან ბალახში აკოტრიალებდა, თანაც მზრუნველობით იცავდა მათ გიჟური ცელქობის დროს მოულოდნელი ხიფათისაგან, მიჰყვებოდა უკანა ეზოში შადრევნამდე და უფრო შორსაც, სადაც ცხენებს ერეკებოდნენ და ხეხილით დაფარული ნაკვეთები იწყებოდა. ფოქსტერიერებს შორის ქედმაღლურად დადიოდა, ტუტსსა და იზაბელას ხომ ზედაც არ უყურებდა, რადგან ბეკი მეფე იყო – მზრძანებელი ყოველი სულიერი არსებისა, რაც დაცოცავდა, დახოხავდა თუ დაფრინავდა მოსამართლე მილერის კარ-მიდამოში, თვით ორფეხა მობინადრეების ჩათვლით.

ბეკის მამა, ელმო, უზარმაზარი სენბერნარი, ოდესღაც მოსამართლის განუშორებელი თანამგზავრი ყოფილა, და ბეკიც აპირებდა ღირსეულად გაჰყოლოდა მამის გზას. მამასავით დიდი არ იყო – მხოლოდ ას ორმოც გირვანქას იწონიდა, რადგან დედამისი შეპი შოტლანდიური ნაგაზი გახლდათ. მაგრამ ეს ას ორმოცი გირვანქაც, რასაც ზედ კარგი ცხოვრებისა და საერთო პატივისცემის შედეგად გაჩენილი საკუთარი ღირსების შეგრძნება ემატებოდა, ნებას აძლევდა ბეკს მეფურად სჭეროდა თავი. ოთხი წლის განმავლობაში, ლეკვობის ასაკიდან მოყოლებული, მამდარი არისტოკრატის ცხოვრებით ცხოვრობდა. საკუთარი ღირსების შეგნებით აღსავსე ბეკი ნაწილობრივ ეგოცენტრულიც გახლდათ, როგორც ეს მაღალი საზოგადოებისაგან განდგომილ, თავის მამულში ჩაკეტილ მდიდარ მებატონეებს ემართებათ ხოლმე ხშირად. მაგრამ ბეკს იმან უშველა, რომ იგი ოთახის განებივრებულ ძაღლად არ იქცა. ნადირობამ და სუფთა ჰაერზე სხვა ამგვარმა გასართობებმა კუნთები გაუმაგრა ბეკს და საშუალება არ მისცა ქონი დასდებოდა, ხოლო წყლის სიყვარული და ბანაობა ხომ აკაჟებდა და ჯანმრთელობას უნარჩუნებდა.

ასე ცხოვრობდა ბეკი 1897 წლის შემოდგომამდე, სანამ კლონდაიკში აღმოჩენილმა ოქროს საბადომ ყოველი მხრიდან ცივი ჩრდილოეთისკენ არ მიიზიდა ხალხი. მაგრამ ბეკმა ამის შესახებ არა უწყობდა რა – როგორც მოგახსენეთ, გაზეთებს არ კითხულობდა. მან არც ის იცოდა, თუ მებალის ერთ-ერთი დამხმარე, მანუელი, მეგობრობაში უმტყუნებდა. მანუელს ერთი ცუდი ზნე სჭირდა: ჩინური ლატარიის თამაში უყვარდა. აზარტში შესულს სისტემის რწმენა ჰქონდა და სწორედ ეს სისუსტე ღუპავდა მას. სისტემით თამაშს ფული სჭირდებოდა, ხოლო მებალის დამხმარის ხელფასი ძლივს ყოფნიდა მის მეუღლესა და მრავალრიცხოვან შთამომავლობას.

იმ სადამოს, როცა მანუელი ასე მზაკვრულად მოიქცა, მოსამართლე მეღვინეთა თათბირზე იყო წასული, ვაჟები კი სპორტული კლუბის მოწყობით იყვნენ გართულნი. არავის დაუნახავს, როგორ გავიდნენ მანუელი და ბეკი ბალიდან და, ჩვეულებისამებრ, როგორც ბეკს ეგონა, სასეირნოდ გაემართნენ. მხოლოდ ერთადერთმა ადამიანმა დაინახა, როგორ მივიდნენ ისინი პატარა სადგურში, სადაც მატარებელს მგზავრთა მოთხოვნით აჩერებენ, და რომელიც «კოლეჯ-პარკის» სახელით იყო ცნობილი. ეს კაცი ცოტა ხანს ესაუბრა მანუელს. შემდეგ ჩხრიალი მოისმა და ფული ხელიდან ხელში

გადავიდა.

– რატომ გასაგზავნად შეფუთული არ მოიტანე საქონელი? – ბუზღუნით უსაყვედურა უცნობმა და მანუელმაც საყელურის ქვეშ ორად მოკეცილი თოკი შემოახვია ბეკს.

– ისე წაუჭირე, რომ სუნთქვა შეეკრას, – უთხრა მანუელმა და უცნობმაც რაღაც ჩაიბურტყუნა თანხმობის ნიშნად.

ბეკმა ღირსეული სიდიდით დართო ნება, რომ თოკი შეებათ მისთვის. მართალია, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა ასეთი რამ, მაგრამ ბეკი ენდობოდა ნაცნობ ხალხს, რადგან გრძნობდა მათ გონებრივ უპირატესობას. როგორც კი თოკის ბოლოებმა უცნობის ხელში გადაინაცვლა, ბეკმა მუქარით შეჰკლრინა. ამით იგი თავის უკმაყოფილებას გამოთქვამდა და იმედოვნებდა, რომ მის გაფრთხილებას ბრძანებად მიიღებდნენ. მაგრამ ბეკის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თოკის ბოლოები ისე დაიჭიმა, რომ სუნთქვა შეეკრა. გამძვინვარებული ეკვეთა იგი უცნობს, მაგრამ გვიანდა იყო: კაცმა მაგრად წაუჭირა ყელში და მოხერხებულად დასცა ზურგით მიწაზე. თოკი შეუბრალებლად ახრჩობდა ბეკს, ენა გადმოუვარდა, მძიმედ სუნთქავდა და მაინც განაგრძობდა ბრძოლას. არასოდეს არავინ მოქცევია ასე საძაგლად თავის სიცოცხლეში და არც არასოდეს გაბრაზებულა ასე. ღონემ თანდათან უმტყუნა, თვალთ დაუბნელდა და აღარ გაუგია, როგორ მოვიდა მატარებელი და როგორ შეაგდო ორმა კაცმა იგი საბარგო ვაგონში.

გონს რომ მოვიდა, უწინარეს ყოვლისა, ენის ტკივილი შეიგრძნო. ხოლო როცა გადასარბენზე მატარებლის ხრინწიანი კივილი შემოესმა და ვაგონის თანაბარი რყევა იგრძნო, მიხვდა, სადაც იყო. იგი ისე ხშირად მოგზაურობდა მოსამართლესთან ერთად, რომ არ შეიძლებოდა ნაცნობი არ ყოფილიყო ის შეგრძნება, რაც საბარგო ვაგონით მგზავრობასთან იყო დაკავშირებული. ბეკმა თვალეები გაახილა. დატყვევებული მეფის დაუცხრომელ სიშმაგეს ამოიკითხავდით მათში. კაცს სურდა ყელში სწვდომოდა, მაგრამ ამჯერად ბეკი უფრო მოხერხებული აღმოჩნდა. კბილები ჩაასო ხელში მოწინააღმდეგეს და აღარ უშვებდა, ვიდრე ყელში წაჭერილმა თოკმა კვლავ არ დააკარგვინა გრძნობა.

– ბნედა სჭირს! – განმარტა უცნობმა და გასისხლიანებული ხელი მოარიდა ვაგონის გამცილებელს, რომელმაც, ის იყო, ვაგონში შემოიხედა ხმაურზე, – პატრონმა მიბრძანა, ფრისკოში წაიყვანეო. იქ ძაღლების საუკეთესო ექიმი ყოფილა, დაჰპირებია, განვკურნავო.

იმდამინდელ ამბებს ბეკის გამტაცებელი ენაწყლიანად ჰყვებოდა უფრო მოგვიანებით სან-ფრანცისკოს პორტის დუქნის უკანა ოთახში.

– და სულ ორმოცდაათს ვიღებ ამ საქმეში, – წუწუნებდა იგი. – მცოდნოდა, ასეთი ხათაბალა იყო, ათასიც რომ მოეცათ ნაღდად, ხელს არ მოვკიდებდი.

ხელზე შემოხვეული ცხვირსახოცი ერთიანად გასისხლიანებოდა, შარვლის მარჯვენა ტოტი კი მუხლიდან ძირამდე ჩამოხეული ჰქონდა.

– იმ გაიძვერამ რამდენიდა მიიღო? – დაინტერესდა მედუქნე.

– ასი. არაფრით არ დამთანხმდა ნაკლებზე!

– ესე იგი, სულ ას ორმოცდაათი, – დააჯამა მედუქნემ, – ძაღლი კი, თავს გეფიცები, ნაღდად ღირს ამდენი.

გამტაცებელმა ცხვირსახოცი შეიხსნა და ნაკბენი ხელი მოისინჯა.

– ნეტავ ცოფიანი არ იყოს და მეც არ გამაცოფოს...

– ნუ გეშინია, შენ სახრჩობელაზე გიწერია სიკვდილი! – შეეხუმრა მედუქნე. შემდეგ კი დაუმატა: – აბა, ერთი, ცოტა მეც წამაშველე ხელი და მერე გზას გაუდექი.

ყელისა და ენის აუტანელი ტკივილისაგან გაბრუებული, ღონემიხდილი ბეკი მაინც ცდილობდა გამკლავებოდა თავის მწვალებლებს. მაგრამ ყოველი გაბრძოლება

უმედეგოდ მთავრდებოდა: ზურგით მიწაზე დაანარცხებდნენ და მანამდე უჭერდნენ ყელზე თოკს, სანამ თითბრის სქელ საყელურს გაქლიბავდნენ და შეხსნიდნენ. შემდეგ თოკიც შეხსნეს და გალიის მსგავს რკინისრიკულებიან ყუთში შეაგდეს.

ამ ყუთში გაატარა შეურაცხყოფილმა და სიბრაზისაგან აღელვებულმა ის სამინელი ღამე. ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს, რა უნდოდათ მისგან ამ უცხო ადამიანებს ან რად გამოამწყვდიეს ამ ვიწრო ყუთში. ვერ გაეგო, თუმცა საშიშროების გაურკვეველი წინათგრძნობა მოსვენებას არ აძლევდა. ღამით რამდენჯერმე წამოხტა კარის ჭრიალზე, მოსამართლე ან მისი ბიჭები თუ მოვიდნენო, ფიქრობდა, მაგრამ კარში მედუქნის დასიებული სახე გამოჩნდებოდა, შემოიხედავდა და ქონის სანთლის უნიათო შუქით გაანათებდა ფარდულს. ყელში მომდგარი სიხარულის წკმუტუნი ბეკს ბრაზმორეული ღრენით ეცვლებოდა. მედუქნე დახედავდა მხოლოდ, შეხებით კი ხელს არ ახლებდა.

მეორე დილით მოვიდა ოთხი კაცი და ყუთი ასწია. «ახალი მწვალელები», – მაშინვე გაივლო გულში ბეკმა, ისე საეჭვოდ გამოიყურებოდნენ თმაგაბურძგვნილი და ჩამომონძილი უცნობები. ბეკი მძვინვარებდა, რკინის რიკულებს აწყდებოდა და უღრენდა მათ. კაცები კი იცინოდნენ და ჯოხებით აღიზიანებდნენ. ბეკი წაეტანებოდა და პირს მოავლებდა ჯოხს, ვიდრე არ მიხვდა, რომ მათაც ეს უნდოდათ სწორედ. ბოლოს ბეკი მიყუჩდა და წყნარად მიწვა, ვიდრე ყუთი ფორანში გადაჰქონდათ.

გალიაში გამომწყვდეული ბეკი ხელიდან ხელში გადადიოდა: ჯერ სატრანსპორტო კანტორის მუშაკებთან მოხვდა. მათ სხვა ფორანში მოათავსეს იგი და სადღაც წაიყვანეს. შემდეგ მთელ გროვა ყუთებთან და ამანათებთან ერთად სატვირთო მანქანით ბორნისკენ გაისტუმრეს. ბორნიდან რკინიგზის დიდ სადგურზე მოხვდა და ბოლოს ისევ საბარგო ვაგონში ამოჰყო თავი.

ორი დღე და ორი ღამე კუდში მისჩანჩალებდა ვაგონი გულისგამაწვრილებელი კივილით მიმავალ ორთქლმავალს. არც არაფერი დაუღევია და არც არაფერი უჭამია ამ ორი დღისა და ორი ღამის განმავლობაში ბეკს. სიბრაზისაგან ცოფმორეული ვაგონის გამცილებელთა თავაზიან მოპყრობას ღრენით უპასუხებდა: სანაცვლოდ მათაც გაბრაზება დაუწყეს ბეკს. მაყურებლები სიცილით იხოცებოდნენ, ისე თავგამეტებით აწყდებოდა მთლად აკანკალებული და დორბლმორეული ბეკი რკინის რიკულებს. დასცინოდნენ, აჯავრებდნენ, ხან ეზოს უბრალო ძაღლივით უყეფდნენ, ხანაც კატასავით კნაოდნენ, ხელებს იქნევდნენ და მამლებით ყიოდნენ. ბეკს ესმოდა, რომ ყველაფერი ეს სისულელე იყო, არ უნდა გაბრაზებულიყო, ამიტომ კიდევ უფრო მეტად იყო შეურაცხყოფილი მისი სიამაყე და თანდათან უფრო ბრაზობდა. შიმშილს კიდევ მოითმენდა, მაგრამ წყურვილს სიგიჟემდე მიჰყავდა და საშინლად აწუხებდა. ისეთ მგრძნობიარე არსებაზე, როგორც ბეკი იყო, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ცუდ მოპყრობას. ბეკი ავად გახდა, სიცხემ აუწია, ამას უწყლობისაგან ცეცხლმოდებული და დასიებული ყელისა და ენის ანთება დაერთო ზედ.

მხოლოდ ერთი რამ ახარებდა ბეკს: თოკი აღარ ება ყელზე. ის თოკი, რომელიც დიდ უპირატესობას ანიჭებდა მის მტრებს. რაკილა თოკი შეხსნეს, ახლა უჩვენებს მათ ბეკი სეირს! ვედარასოდეს შეაბამენ თოკს ყელზე! – ეს მან მტკიცედ გადაწყვიტა. ორი დღე-ღამის განმავლობაში არაფერი უჭამია და არაფერი უსვამს. ჰოდა, ტანჯვის ამ ორ დღესა და ღამეში იმდენი ბოღმა დაუგროვდა, ვაი მისი ბრალი, ვინც პირველი შეეხებოდა მას. თვალები ჩაუსისხლიანდა და ნამდვილ ეშმაკს დაემსგავსა. ისე შეიცვალა, მოსამართლესაც კი გაუძნელდებოდა მისი ცნობა, და ვაგონის გამცილებლებმაც შვებით ამოისუნთქეს, როდესაც ბეკი სიეტლში ჩამოსვეს.

ოთხმა მზიდავმა ფრთხილად გადმოიტანა ბეკის გალია ფორნიდან მაღალი ღობით შემოვლებულ ეზოში. მათ კისერთან მოფლამული წითელსვიტერიანი ჩასკვნილი

მამაკაცი გამოეგება და დავთარში ხელი მოუწერა მიღებულ საქონელზე. «აი, კიდეც ახალი მწვალელებელი», – გაიფიქრა ბეკმა და გაბრაზებული ეცა ყუთის ცხაურს. წითელსვიტერიანს პირქუშად გაელიმა და სახლიდან ცული და კეტი გამოიტანა.

– ნუთუ გამოშვებას აპირებთ? – შეეკითხა მზიდავი.

– რა თქმა უნდა, – მიუგო წითელსვიტერიანმა და ყუთს ცული მოუქნია გასაპობად.

ოთხივე მზიდავი მყისვე მოსწყდა ადგილს, თავის დასაცავად მაღალ ღობეზე აძვრა და საინტერესო სანახაობის საყურებლად მოემზადა.

ბეკი აქეთ-იქით აწყდებოდა ცულის დარტყმისაგან აჭრიალებულ ყუთს, კბილებით ღრღნიდა, მთელი ტანით აწვებოდა და ებრძოდა, ღრენითა და ყმუილით აწყდებოდა იმ ადგილს, სადაც ცული ხვდებოდა. ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რომ რაც შეიძლება მალე განთავისუფლებულიყო ტყვეობიდან. წითელსვიტერიანიც ჩქარობდა მის გამოშვებას.

– აბა, წითელთვალემა ეშმაკო! – უთხრა მან, როდესაც ფიცარი გააპო, რომ ბეკს გამოსვლა შეძლებოდა. ცული გადააგდო და მარჯვენა ხელში კეტი მოიმარჯვა.

ბეკი მართლაც წითელთვალემა ეშმაკს მიაგავდა იმ წუთში: ჩასისხლიანებულ თვალეში სიმმაგის ნაპერწკლები უელავდა, პირიდან დუჟი გადმოსდიოდა, ბალანი აშლოდა და, ნახტომისათვის შემართული, მზად იყო ას ორმოცი გირვანქა სიმძიმითა და სიბრაზით, რომელსაც ორი დღე და ღამე იკავებდა, ერთბაშად დასჯახებოდა თავის მოწინააღმდეგეს. ბეკი ჰაერში შეხტა და, ის იყო, სასიკვდილოდ უნდა სცემოდა მტერს, რომ მოულოდნელად ისეთი დარტყმა იგემა, ჰაერშივე შეტრიალდა, მწვავე ტკივილისაგან კბილები გააღრჭიალა და ზურგით დაასკდა მიწას. ბეკი თავის დღეში არ უცემიათ კეტით, ვერც გაიგო, რა მოხდა. ღმუილითა და საცოდავი წკმუტუნით წამოხტა, კვლავ უნდოდა სცემოდა მოწინააღმდეგეს, რომ მეორე დარტყმამ ისევ მიწაზე დაახეთქა. ახლა უკვე მივხდა, რომ დამნაშავე კეტი იყო, მაგრამ სიბრაზისაგან გაოგნებულს სულ გადავიწყებოდა სიფრთხილე. ერთი თორმეტჯერ მაინც სცადა ბედი, მაგრამ კეტი ყოველთვის იგერიებდა თავდასხმას და მიწაზე ანარცხებდა მას.

კიდეც ერთი ძლიერი დარტყმა და ბეკმა ძლივს აითრია წელი. ისე იყო გაოგნებული, ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა. ცხვირიდან, პირიდან და ყურებიდან სისხლი სდიოდა. ლამაზი ბეწვი სისხლნარევ დორბლში ამოსვროდა. წითელსვიტერიანი მამაკაცი მიუახლოვდა ბეკს და ერთხელ კიდეც ისე მაგრად ჩასცხო კეტი დრუნჩში, რომ ყველა მანამდე მიყენებული ტკივილი გადაავიწყდა. ბეკმა ერთი დაიღრიალა გამმაგებული ლომივით და კვლავ ეცა მწვალელებს. მაგრამ კაცმა კეტი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, მშვიდად წაავლო ბეკს ხელი ქვედა ყბაში და ისე მოიქნია, რომ ბეკმა ჰაერში შემოხაზა წრე, შემდეგ ნახევარწრე და ბოლოს თავითა და მკერდით დაენარცხა მიწას.

ერთხელ კიდეც ეკვეთა ბეკი მოწინააღმდეგეს. წითელსვიტერიანმა ახლა კი შეუბრალებლად დასცხო კეტი. ეს გამანადგურებელი დარტყმა ბოლოსათვის შემოენახა მას. გაბრუებული და ილაჯგაწყვეტილი ბეკი მიწაზე გაიშოტა.

– აი, ყოჩაღ! – შესძახა ღობიდან ერთ-ერთმა აღფრთოვანებულმა მაყურებელმა, – აკი გეუბნებოდით, ეს კაცი ყველა ძალს მოარჯულებს-მეთქი.

– ჩემის აზრით, ნაკლებ საშიშია ყოველდღე, კვირაობით კი ორჯერ მაინც გატეხო სალარო, ვიდრე ასეთ ძალთან გქონდეს საქმე, – თქვა მზიდავმა, ფორნის კოფოზე აძვრა და ცხენები გარეკა. ბეკი გონს მოვიდა, მაგრამ ქანცმილეული იქვე იწვა, სადაც დაეცა და, თვალს ადევნებდა წითელსვიტერიანს.

– «სახელად «ბეკი» ჰქვია», – გაიმეორა წითელსვიტერიანმა მედუქნის შემონათვალის იმ წერილიდან, რომელშიაც საქონლის გამოგზავნას აუწყებდა. – აბა, ბეკ, ჩემო კარგო, – დაუყვავა მან ბოლოს, – ცოტა არ იყოს, გავცხარდით მე და შენ, ვიხმაურეთ. ახლა გვეყოფა, უმჯობესია, დავივიწყოთ, რაც იყო. შენ შენი საქმე გეცოდინება, მე – ჩემი.

ჭკვიანად თუ იქნები, ყველაფერი მოგვარდება. მაგრამ იცოდე, თუ ისევ მოჰყვები შლეგობას, სულს ამოგადრობ, გაიგე?

ეუბნებოდა კაცი და თან უშიშრად უსვამდა ხელს თავზე, რომელსაც ცოტა ხნის წინ ასე უმოწყალოდ ურტყამდა. და ბეკიც, თუმცა ყოველ შეხებაზე ბეწვი ებურძგნებოდა, მაინც მოთმინებით იტანდა ფერებას. წითელსვიტერიანმა წყალი მოუტანა, ბეკი ებგერა და ხარბად შეხვრიპა, ასევე ხარბად გადასანსლა შესანიშნავი საუზმეც – უმი ხორცი, რომელსაც ნაჭერ-ნაჭერ იღებდა ახალი პატრონის ხელიდან. ბეკი დაამარცხეს (მას კარგად ესმოდა ეს), მაგრამ ვერ დაიმორჩილეს. მან ერთხელ და სამუდამოდ შეიგნო, რომ კეტით შეიარაღებული ადამიანი მასზე ძლიერია, და მიღებული გაკვეთილი აღარასოდეს დავიწყებია თავის სიცოცხლეში. კეტი მისთვის აღმოჩენა იყო. მან ახალი სამყარო იხილა, სადაც პირველყოფილი კანონი მეფობდა და ბეკიც სწრაფად შეეთვისა მას. მის თვალწინ ცხოვრების მკაცრი სინამდვილე გადაიშალა, მაგრამ ამას არ შეუშინებია ბეკი. მასში უკვე იღვიძებდა თანდაყოლილი ველური ემბაკობა.

გადიოდა ხანი. სხვა ძაღლებიც მოჰყავდათ ისეთივე ყუთებით ანდა გათოკილნი. ერთნი ძალიან გამგონენი იყვნენ, მეორენი – მძვინვარენი და შეუპოვარნი, როგორც ბეკი იყო თავდაპირველად. ბეკის თვალწინ წითელსვიტერიანი ადამიანი ყველას თრგუნავდა და საკუთარ ნება-სურვილს უმორჩილებდა. ბეკი აკვირდებოდა ამ მხეცურ წვრთნას და კიდევ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ კეტით შეიარაღებული ადამიანი კანონმდებელია, პატრონია, რომელსაც უნდა დაემორჩილო, თუმცა სავალდებულო არ არის, გიყვარდეს იგი. ჰოდა, ბეკიც არასოდეს ელაქუცებოდა პატრონს, კუდს არ უქიცინებდა, ხელებს არ ულოკავდა, როგორც სხვა ძაღლები. ისიც ნახა, როგორ დაიღუპა ბოლოს და ბოლოს ამ ბრძოლაში ერთი ძაღლი, რომელსაც არც სიმშვიდე სურდა და არც მორჩილება.

დროდადრო მოდიოდა უცხო ხალხი და რაღაცაზე ესაუბრებოდნენ პატრონს, ხან ჯავრობდნენ, ხან კი პირფერობდნენ. და როცა ასეთი ლაპარაკის შემდეგ მოსაუბრისაგან ფული პატრონის ხელში გადადიოდა, ამ ხალხს თან მიჰყავდა ერთი ან რამდენიმე ძაღლი. ბეკს უკვირდა და ვერ გაეგო, სად მიდიოდნენ ისინი, რადგანაც უკან აღარასოდეს ბრუნდებოდნენ. მომავალი ისე ამინებდა ბეკს, რომ სიხარულით გული უცემდა ხოლმე, როდესაც მუშტრები მას არ ირჩევდნენ.

ბოლოს და ბოლოს, ბეკის ჯერიც დადგა. მომავალი, რომელიც ასე აკრთობდა მას, ტანმორჩილი, სახედანაოჭებული კაცის სახით გამოეცხადა. კაცი დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკობდა, საუბარში წამდაუწუმ უცნაურ, ბეკისათვის გაურკვეველ წამოძახილებს ურთავდა.

“- შაცრედამ!1 – შესძახა მან და თვალი ბეკს დაადგა. – აი ეს მესმის! შესანიშნავი ძაღლია! ჰა? რას აფასებ?

– სამასად წაიყვანე! მუქთად გაძლევ, – აჩქარებით მიუგო წითელსვიტერიანმა. – რაო, ვაჭრობას ხომ არ აპირებ, პერო? რა გენაღვლება, ფული სახელმწიფოსია, საკუთარი ჯიბიდან ხომ არ იძლევი.

პეროს გაეღიმა. დიდი მოთხოვნილების გამო ძაღლების ფასი ისე უზომოდ გაზრდილიყო, რომ პატრონის მიერ შემოთავაზებული ფასი ისეთი შესანიშნავი ძაღლისათვის, როგორც ბეკი იყო, მაინცდამაინც გადამეტებული არ ეჩვენა. კანადის მთავრობას არ გააღარიბებს ეს თანხა, ფოსტა კი სწრაფად უნდა მოძრაობდეს, ფიქრობდა პერო. პერო კარგად ერკვეოდა ძაღლის ჯიშებში, ერთი შეხედვით შეატყო, ბეკისნაირ ძაღლს ათასში ერთს თუ შეხვდებოდა კაცი. ათი ათასში ერთს, – დასძინა მან გუნებაში.

ბეკმა დაინახა, როგორ გადავიდა ფული ხელიდან ხელში და არ გაჰკვირვებია, როდესაც სახედამჭკნარმა კაცმა თან წაიყვანა იგი და თვინიერი ნიუფაუნდლენდელი

კერლი. ამის შემდეგ ბეკს აღარასოდეს უხილავს წითელსვიტერიანი მამაკაცი. ბეკი და კერლი გემი «ნარვალის» ბაქნიდან შესცქეროდნენ სიეტლს, რომელიც თანდათან ეფარებოდა თვალს და არ უწყოდნენ, რომ ველარასოდეს იხილავდნენ თბილ სამხრეთს.

პერომ ძაღლები დაბლა ჩაიყვანა და მუქკანიან გოლიათს ფრანსუას ჩააბარა. კანადელი ფრანგი პერო შავგვრემანი კაცი იყო, ფრანსუაც კანადელი ფრანგი იყო, მაგრამ გაცილებით უფრო მუქკანიანი ჩანდა პეროზე, რადგან მეტისი გახლდათ. ამ ჯურის ხალხს ბეკი პირველად ხედავდა (შემდგომში ხშირად ხვდებოდა მათ), და თუმცა არ უყვარდა, მაინც პატივისცემით ეპყრობოდა. ბეკი მალე დარწმუნდა, რომ პერო და ფრანსუა სამართლიანი, წყნარი და მშვიდობიანი ადამიანები იყვნენ – საქმისათვის თუ დასჯიდან და, ისიც, მიუკერძოებლად. კარგად იცნობდნენ ძაღლების ჩვეულებას. ისე რომ, ვერავინ გააცურებდა მათ ადვილად.

ბეკი და კერლი ორ სხვა ძაღლთან ერთად მოათავსეს «ნარვალის» გემბანზე. ერთი მათგანი, დიდი, თოვლივით თეთრბეწვა ძაღლი შპიცბერგენიდან წამოყვანა ვემაპზე სანადირო გემის კაპიტანს, შემდეგში კი გეოლოგიურ ექსპედიციას ხლებია «უნაყოფო მიწაზე». მეტად ალერსიანი, მაგრამ ვერაგი ძაღლი იყო. გელაქუცებოდა და თან მახეს გიგებდა – პირველსავე იჯრაზე აწაპნა ბეკს ულუფა. ბეკი მივარდა, რომ ქურდი დაესაჯა, მაგრამ ფრანსუამ დაასწრო: შოლტმა ჰაერში გაიშხულია და ქურდის თავზე დაეშვა. ბეკს ისღა დარჩენოდა, რომ თავისი კუთვნილი ძვალი უკანვე წაეღო. ბეკმა ნახა, რომ ფრანსუა სამართლიანად მოიქცა და პატივისცემით განიმსჯვალა მეტისისადმი.

მეორე ძაღლი არავის ელაქუცებოდა და არც არავის სიმპათიას იმსახურებდა, მაგრამ არც საჭმლის მოპარვას ცდილობდა ახლადმოსულებისათვის. კუმტი და გულჩათხრობილი იყო. აშკარად აგრძნობინა კერლის, ნურავინ შემეხებით, ესაა ჩემი ერთადერთი სურვილი, ხოლო თუ ვინმე არ დაიშლის, საკადრის პასუხსაც მიიღებსო. ეს ძაღლი, რომელსაც დეივს ეძახდნენ, ჭამდა, სვამდა, თუ არ ეძინა – ამთქნარებდა და სხვა არაფერი აინტერესებდა. მაშინაც კი, როდესაც «ნარვალი» «დედოფალ შარლოტას ყურეს» გადიოდა, ირყეოდა, ზანზარებდა და ცოფიანივით ტალღებს აქეთ-იქით ეხეთქებოდა, ბეკი და კერლი კი შიშისაგან ლამის გაგიჟებულიყვნენ, დეივი მძიმე-მძიმედ წამოსწევდა ხანდახან თავს, გულგრილად შეხედავდა მათ, დაამთქნარებდა და ისევ ძილს მიეცემოდა.

ხრახნები რიტმულად და დაულაღავად მუშაობდა, გემი დღედაღამ ზანზარებდა. ერთი დღე მეორესა ჰგავდა. მიუხედავად ამისა, ბეკს მაინც ეჩვენებოდა, რომ სიცივე თანდათან მატულობდა. ბოლოს, ერთ დილას, ხრახნების ხმაური შეწყდა და «ნარვალზე» ფუსფუსი დაიწყო. ბეკმა, სხვა ძაღლების მსგავსად, იგრძნო, რომ რაღაც გარდატეხა უნდა მომხდარიყო. ფრანსუამ თავი მოუყარა მათ და ბაქანზე გაიყვანა. ბაქანზე გავიდნენ თუ არა, ბეკს ფეხები რაღაც რბილსა და თეთრ მასაში ჩაეფლო. ეს მასა ძალიან წააგავდა ტალახს. ძაღლმა ჩაიფრუტუნა და უკან გადახტა. ასეთივე თეთრი მასა ცვიოდა ძაღლიდანაც. ბეკმა შეიბერტყა ბალანი, მაგრამ ის რაღაც მაინც ცვიოდა. ბეკმა ცნობისმოყვარეობით დაყნოსა, შემდეგ ალოკა. თეთრმა მასამ ენა დასწვა და უმაღვე გადნა. ბეკი გაოცდა, კიდევ ალოკა – იგივე განმეორდა. გარშემო ხარხარი ატყდა. ბეკს რატომღაც შერცხვა, თუმცა ვერ გაეგო, რაზე იცინოდა ხალხი. ასე ნახა ბეკმა პირველად თოვლი.

## II

### კეტისა და ეშვის კანონი

კომმარული იყო ბეკისათვის პირველი დღე დაიას სანაპიროზე. ყოველ წუთს რაღაც

ანცივიფრებდა და აშინებდა. ცივილიზაციის ცენტრიდან იგი ერთბაშად პირველყოფილ სამყაროში გადმოისროლეს. აქაური ყოფა აღარ მიაგავდა სამხრეთის მზიან ქვეყანაში გატარებულ უსაქმო და უდარდელ ცხოვრებას, მოწყენილი რომ დაეხეტებოდა ხოლმე აქეთ-იქით. არც სიმშვიდე იყო აქ, არც მოსვენება; წუთით ვერ ეგრძნო თავი უსაფრთხოოდ. შეუჩერებლად მოძრაობდა ირგვლივ ყველაფერი და ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი და დასახიჩრება უდარაჯებდა. ფხიზლად უნდა ყოფილიყავი, თორემ აქაური არც ძალის ჰგავდა ქალაქის ძალსა და არც ადამიანი – ქალაქელ ადამიანს. ყველანი ველურები იყვნენ, კეტისა და ეშვის კანონის გარდა, სხვას არაფერს ცნობდნენ.

ბეკს წინათ არასოდეს ენახა ძაღლების ისეთი ჩხუბი, როგორც აქ იხილა: მგლებივით გლეჯდნენ ერთმანეთს. პირველივე გამოცდილება სამუდამოდ დაამახსოვრდა ბეკს, თუმცა თავად არ მონაწილეობდა ამ ბრძოლაში, თორემ ცოცხალი ვერ გადარჩებოდა და ვერც ამ გამოცდილებით ისარგებლებდა შემდგომ. ამჯერად კერლი გახდა მსხვერპლი. ბეკი და კერლი ძველი ფარდულის ახლოს დატოვეს. კერლი მეგობრულად შეეთამაშა ზორბა და ღონიერ ძაღლს, ძაღლი მოზრდილი მგლის ტოლი იყო, თუმცა კერლიზე ორჯერ პატარა ჩანდა. უცებ, გაუფრთხილებლად, ელვისებური სისწრაფით გადახტა იგი და კერლის ეძგერა. მოისმა კბილების ფოლადისებრი ღრჭიალი და ძაღლი ისეთივე სისწრაფით დაუბრუნდა თავის ადგილს. კერლის დრუნჩი თვალიდან პირამდე ჩახეული ჰქონდა.

თავდასხმა და სწრაფი უკუქცევა – ასეთი იყო იქაური ძაღლების მგლური ჩვეულება. მაგრამ ამით როდი დამთავრდა ყველაფერი. ოცდაათი თუ ორმოცი ძაღლი სწრაფად მოაწყდა ბრძოლის ადგილს და მდუმარედ შემოერთყნენ გარს მოჩხუბრებს. ბეკი თავდაპირველად ვერ მიხვდა, რატომ მისჩერებოდნენ ძაღლები ასე მდუმარედ ან რად ილოკავდნენ დრუნჩებს ასე ხარბად. კერლი მივარდა მოწინააღმდეგეს. ძაღლმა ისევ უკბინა კერლის და უკან დაიხია. კერლის მეორე მიხტომას მოწინააღმდეგემ მკერდი მიაგება და ისე მარჯვედ მოიგერია მტერი, რომ კერლიმ თავი ვერ შეიმაგრა, წაიქცა და აღარც წამომდგარა. სწორედ ამას ელოდნენ ძაღლები; ყმუილითა და ყეფით მიესივნენ და სასიკვდილოდ განწირული, აწკმუტუნებული კერლი ბანჯგვლიან სხეულთა გროვაში გაუჩინარდა.

ისე უცებ და ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი, რომ ბეკი სრულიად დაიბნა. შპიცს წითელი ენა გამოეყო და ასე იცინოდა. ფრანსუა ცულის ქნევით შევარდა ძაღლების ხროვაში. მას სამი კომბალმომარჯვებული კაცი წაეხმარა ძაღლების გარეკვაში. დიდი ხანი არ დასჭირვებია ამას. ორ წუთში ყველა ძაღლი განდევნეს. სისხლით მორწყულ დატკეპნილ თოვლზე ეგდო ნაკუწ-ნაკუწ ქცეული მკვდარი კერლი. თავზე ფერადკანიანი მეტისი დასდგომოდა და უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა. ეს სურათი შემდგომშიაც ხშირად აგონდებოდა ბეკს და ძილშიც კი არ ასვენებდა. აი, როგორი ყოფილა თურმე ცხოვრების კანონი! აქ ადგილი არა აქვს პატიოსნებასა და სამართლიანობას. ვინც წაიქცევა, მისი საქმე წასულია. ამიტომ მაგრად უნდა იდგე ფეხზე. შპიცმა კვლავ გამოყო ენა და გაიცინა; ამ წუთიდან ბეკმა საშინლად და სამუდამოდ შეიძულა იგი.

კერლის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ბეკი ჯერაც ვერ მოსულიყო გონს, რომ ახალი უბედურება დაატყდა თავს: ფრანსუამ ტყავის მოსართავები ჩამოაცვა, აი, იმის მსგავსი, მის მშობლიურ მამულში ცხენებს რომ უკეთებდნენ ხოლმე მეჯინიბეები, და როგორც იქ მუშაობდნენ შეკაზმული ცხენები, ისე აიძულეს ბეკიც ემუშავა. ფრანსუამ მარხილით წააყვანინა თავი მინდვრის მომიჯნავე ტყეში შემაზე. ბეკის თავმოყვარეობაზე საშინლად მოქმედებდა, ასე შებმულს რომ დაატარებდნენ, მაგრამ ჭკუა ყოფნიდა, წინააღმდეგობა არ გაეწია, თავს სძლია და შეეცადა კარგად ემუშავა, თუმცა ყოველივე ეს

მისთვის ახალი იყო და უჩვეულო. ფრანსუა მკაცრი იყო, დაუყოვნებლივ მორჩილებას მოითხოვდა და თავისი შოლტის საშუალებით აღწევდა კიდეც ამას. ამას გარდა, ბეკის ყოველ დაუდევრობაზე გამოცდილი ძალღიპი – დეივი ბარდაყში ჩაასობდა ხოლმე ბეკს კბილებს. მარხილში მეწინავედ დეივივით გამოცდილი ძალღიპი, შპიცი იყო შებმული. თუ შპიცი ვერ მოახერხებდა ბეკისათვის კბილი გაეკრა, როცა მას ფეხი შეეშლებოდა, მაშინ ან ბრაზიანად და საყვედურით შეუღრენდა, ან მარჯვედ გასწევდა საჭირო მიმართულებით და მთელი ტანის სიმძიმით მიაწვებოდა ღვედს. ბეკი ადვილად ითვისებდა ყველაფერს. თავისი ორი ამხანაგისა და ფრანსუას ერთობლივი ხელმძღვანელობით გასაოცარ წარმატებას აღწევდა. ჯერ კიდევ ბანაკში დაბრუნებამდე იცოდა, რომ შემახილი: «ჰო!» ნიშნავს – «გაჩერდი!» ხოლო ბრძანებისას «გასწი!» – წინ უნდა გაიქცე, მოსახვევში ნაბიჯს უნდა მოუკლო, ხოლო როცა დატვირთული მარხილი დადმართს დაუყვება, შუა ძაღლისაგან მოშორებით უნდა ირბინო.

– სამივე ძალღიპი ძალიან კარგია, – უთხრა დაბრუნებისას ფრანსუამ პეროს, – ბეკი ღმერთივით მუშაობს! მალე ჩემებურად გამოვწვრთნი.

დილით პერომ, რომელსაც ფოსტა ჰქონდა სასწრაფოდ წასაღები, კიდევ ორი ძალღიპი – ბილი და ჯო მოიყვანა. ეს ორი სუფთა სისხლის დოგი ერთი დედის შვილები იყვნენ, მაგრამ დღე და ღამესავით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ბილის ერთადერთი ნაკლი მეტისმეტი გულკეთილობა იყო, ჯო კი პირიქით, გულჩათხრობილი და პირქუში გახლდათ, გაუთავებლად იღრინებოდა და ავი თვალელებით შეჰყურებდა ყველას.

ბეკი მეგობრულად შეხვდა ბილისა და ჯოს, დეივიმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია, შპიცი კი მაშინვე ეცა ჯერ ერთსა და შემდეგ მეორეს. ბილიმ თავდაპირველად მეგობრულად გააქიციანა კუდი. მერე კი, როცა დაინახა, რომ მშვიდობისმოყვარეობა ვერ გაჭრიდა, გაცლა მოინდომა, მაგრამ ვერ მოასწრო: შპიცის ბასრი კბილები გვერდში ჩაესო. ბილიმა მუდარით შეჰყმუვლა. სამაგიეროდ, ბალანაშლილი და ყურებგალურსული ჯო უმაღვე პირისპირ შეეგება შპიცს, როცა ეს უკანასკნელი მის ირგვლივ ტრიალს მოჰყვა და თავდასხმისათვის შეემზადა. ჯო ბრაზიანად იღრინებოდა, საოცარი სისწრაფით აკრაჭუნებდა კბილებს, თვალელები ეშმაკივით ურწყინავდა. მამაცობისა და საშინელების განსახიერებად იქცა და იმდენად საზარელი შესახედავი იყო, რომ შპიცი იძულებული გახდა, ხელი აეღო საკუთარ განზრახვაზე. მარცხის დასაფარავად შპიცი კვლავ საცოდავ ბილის დაემგერა, რომელიც ისევ ისე შესაბრალისად წკმუტუნებდა და ბანაკის ბოლოს გადაკარგა იგი.

საღამოთი პერომ კიდევ ერთი ბებერი, გამხდარი ძალღიპი იშოვა, რომელსაც გრძელი, მოქნილი ტანი და ბრძოლებში მთლად დასახიჩრებული დრუნჩი ჰქონდა. ცალი თვალიდა გადარჩენოდა საღი. მაგრამ ეს ერთადერთი თვალიც შეუპოვარი, გამომწვევი ვაჟკაცობით უბრწყინავდა და უნებლიე პატივისცემას უნერგავდა ყველას. ძალღიპს ზედმეტ სახელად სოლექსს ეძახდნენ, რაც «ბრაზიანს» ნიშნავდა. დეივის მსგავსად, ისიც არავისგან არაფერს მოითხოვდა, არავისგან არანაირ გამორჩენას არ მოელოდა და არც არაფერს შეარჩენდა ვინმეს. და როცა იგი დინჯად და თავმომწონედ მიუახლოვდა დანარჩენებს, შპიცმაც კი ვერ გაუბედა ჩხუბის ატეხა. სოლექსს ერთი სისუსტე სჭირდა და ბეკმა, მისდა საუბედუროდ, პირველმა აღმოაჩინა იგი: ცალთვალა ძალღიპს არ უყვარდა, როცა დავსილი თვალის მხრიდან მიუახლოვდებოდნენ ხოლმე. სწორედ ასეთი უსიამოვნება მიაყენა მას ბეკმა უნებურად და თავის მარცხს მხოლოდ მაშინდა მიხვდა, როცა სოლექსი სწრაფად მოტრიალდა, მივარდა და ზურგში, სამ დუიმზე, ძვლამდე ჩაასო კბილები. ამის შემდეგ ბეკი აღარასოდეს გაჰკარებია სოლექსს აკრძალული მხრიდან და არც სოლექსს დაუშავებია მისთვის რამე. დეივისა არ იყოს, მისი ერთადერთი სურვილიც მარტოობა გახლდათ, არ სურდა ვინმეს შეეწუხებინა.

მაგრამ ბეკი მალე დარწმუნდა, რომ ერთიცა და მეორეც სხვა, უფრო მაღალი მისწრაფებით იყო შეპყრობილი. პირველსავე საღამოს ბეკის წინაშე დადგა მნიშვნელოვანი საკითხი – სად გაეთია ღამე. კარავი, რომელშიც სანთელი ენთო, მაცთუნებელ შუქს აფრქვევდა თოვლიანი მინდვრის შუაგულში. ბეკმა სრულიად ბუნებრივად მიიჩნია იგი ღამის სადგომად. მაგრამ, როგორც კი კარავში შეჰყო თავი, პერო და ფრანსუა ლანძღვა-გინებით გამოენთნენ და თავს დაატყვეს ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდათ. აზნეული ბეკი შერცხვენილი გავარდა ყინვაში. სუსხიანი ქარი უბერავდა და სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. განსაკუთრებით უმოწყალოდ წიწკნიდა ნაკბენი მხარი. ბეკი ყინულზე გაწვა და შეეცადა დაეძინა, მაგრამ ყინვამ მალე წამოაგდო ფეხზე. უიშედოდ და უნუგემოდ დაეხეტებოდა კარავებს შორის, თბილ ადგილს ეძებდა დასაძინებლად და ვერ პოულობდა. აქა-იქ მთვლემარე ძაღლები წამოხტნენ, ბეკმა ბრაზით შეუღრინა, აიბურძგნა (ესეც ისწავლა) და ძაღლებმაც თავი მიანებეს.

ბოლოს მოიფიქრა: მოდი, ერთი, უკან დავბრუნდები და ვნახავ, სად მოეწყვენ ღამის გასათევად ჩემი მარხილის ძაღლებიო. მაგრამ, მისდა გასაოცრად, ვერც ერთი ვერ იპოვა. სადღაც გამქრალიყო ყველა! ისევ შემოუარა უზარმაზარ ბანაკს, ბევრი ეძება, მაგრამ ამაოდ ჩაუარა ცდამ. კარავში ხომ არ არიან? – გაუელვა, – არა, ეს შეუძლებელია, ის რომ გამოაგდეს?! მაშ, სად წავიდნენ? სიცივისაგან აკანკალებული და კუდამოძუებული ბეკი მარტოდმარტო დაეხეტებოდა კარავებს შორის. უეცრად წინა თათებქვეშ თოვლმა დაიწია და ბეკი კინალამ თოვლში ჩაეფლო. ფეხქვეშ რაღაც ამოდრავდა. შეუცნობლისა და უჩინარის წინაშე შიშით შეპყრობილი ბეკი ბუზღუნით გახტა განზე, ბალანი აეშალა, მაგრამ მშვიდმა და მეგობრულმა წკმუტუნმა უმაღლესი დაამშვიდა ბეკი და კვლავ დაუბრუნდა იმავე ადგილს დასაზვერად. ნესტოებს ჰაერის თბილი ნაკადი მოხვდა: თხრილში, თოვლქვეშ, მყუდროდ მოკალათებულიყო ბილი. იგი წკმუტუნებდა, ცმუკავდა, კუდს აქიცილებდა. ამით თითქოს თავის კეთილგანწყობილებას უმტკიცებდა ბეკს, გულის მოსაგებად სახის ალოკვაც კი გაუბედა თბილი და სველი ენით.

კიდევ ერთი რამ ისწავლა ბეკმა: აი, თურმე, როგორ იფარავენ აქ თავს სიცივისაგან! დინჯად აირჩია ადგილი, დიდი წვალეებისა და ცდის შემდეგ თოვლში ორმო ამოთხარა. ერთი წუთის შემდეგ ორმოში მისი სხეულისაგან სითბო დატრიალდა და ბეკმაც ჩათვლიდა. დიდი და მძიმე დღით დამაშვრალს ტკბილად და მაგრად ეძინა, დროდადრო ცუდი სიზმრები აშფოთებდა მხოლოდ – ყმუოდა და ყეფდა ძილში.

დილით ბეკი ახმაურებული ბანაკის ჟრიაშულმა გააღვიძა. ერთბაშად ვერც კი მიხვდა, სად იყო! ღამე თოვდა და თოვლს მთლად დაეფარა ბეკი. თოვლი მძიმედ აწვებოდა ყოველი მხრიდან. უეცრად შიშმა შეიპყრო, ეს საფრთხე პირისპირ შეყრილი ველური მხეცის შიში იყო. მასში თანდათან იღვიძებდა შორეული წინაპრების ინსტინქტი. ამ ცივილიზებულმა, ზედმეტად ცივილიზებულმა ძაღლმა მანამდე არ უწყოდა, რა იყო საფრთხე, და არც ეშინოდა მისი. ბეკს ნერვულად შეეკუმშა სხეული, კისერსა და ბეჭებზე ბალანი აებურძგნა. ველური ღმუილით ამოხტა ორმოდან დილის თვალისმომჭრელ სინათლეზე და ირგვლივ ბრჭყვიალა თოვლის კორიანტელი დააყენა. ბეკს თვალწინ გადაეშალა თეთრი მინდორი, ზედ გაშლილი ბანაკი და მიხვდა, სად იყო. უცბად გაახსენდა ყველაფერი, რაც მანუელთან სეირნობის შემდეგ თავს გადახდა წუხანდლ-ამდე, ვიდრე დასაძინებლად თოვლში ორმოს ამოთხრიდა.

ფრანსუა მხიარული შეძახილით შეეგება.

– აჰა, არ გითხარი? – წამოიძახა მან და პეროს მიუბრუნდა. – ეს ბეკი სულ მალე ისწავლის ყველაფერს.

პერომ სერიოზული გამომეტყველებით დაუქნია თავი. იგი კანადის ხელისუფლების

კურიერი იყო, მნიშვნელოვან ქაღალდებს დაატარებდა და საუკეთესო ძაღლები სჭირდებოდა. ამიტომ ძაღზე კმაყოფილი იყო, რომ ბეკისნაირი ძაღლი იშოვა.

საათიც არ იქნებოდა გასული, რომ პერომ თავისი მარხილისათვის კიდევ სამი ძაღლი იყიდა, ისე რომ, ახლა სულ ცხრა ჰყავდა. თხუთმეტიოდ წუთში ცხრავე მარხილში შეაბეს და დათოვლილი გზით დაიას ხეობისაკენ გააქანეს. ბეკი გაახარა ასეთმა ცვლილებამ და, თუმცა სამუშაო მძიმე იყო, აღმოაჩინა, რომ განსაკუთრებულ ზიზღს არ იწვევდა მასში. თავდაპირველად გააოცა ამხანაგების გულმოდგინებამ, მაგრამ მალე მასაც გადაედო იგი. ყველაზე საკვირველი მაინც ის ცვლილება იყო, რომელიც დეივსა და სოლექსს შენიშნა; აკაზმულობამ თითქოს ერთიანად გამოცვალა ისინი – გეგონებოდათ, სხვა ძაღლები არიანო. სიზარმაცე და უშფოთველი გულგრილობა უკვალოდ გაქრა სადღაც. სად იყო ადრე ეს სისწრაფე და ენერგია! ტყავიდან ძვრებოდნენ, როცა რაიმე არეულობა ან შეფერხება წარმოიშობოდა! გეგონებოდათ, ეს შრომა მათი ყოფის მთავარი არსი იყო. ამაში იყო მთელი მათი ცხოვრება და ერთადერთი სიხარული.

დეივი შუა ძაღლი იყო, წინ კი, მასა და სოლექსს შორის, ბეკი იყო შებმული. დანარჩენი ძაღლები მათ წინ გარბოდნენ ერთიმეორის მიყოლებით. წინამძღოლი შპიცი გახლდათ.

ბეკი განგებ ჩააყენეს დეივსა და სოლექსს შორის, რომ მათგან შეეთვისებინა ყველაფერი. ბეკი ნიჭიერი მოწაფე აღმოჩნდა, დეივი და სოლექსი კი – კარგი მასწავლებლები, რომლებიც მაშინვე ასწორებდნენ შეგირდის შეცდომებს. შეგონებას ბასრი კბილების მეშვეობით ახერხებდნენ. დეივი სამართლიანი და ჭკვიანი ძაღლი იყო. არასოდეს აწყენინებდა ბეკს ტყუილუბრალოდ, მაგრამ თუ ბეკი დაიმსახურებდა, შემთხვევას არ გაუშვებდა, კბილი არ ჩაესო მისთვის. ამას ფრანსუას შოლტი ემატებოდა ზედ. ასე რომ, ბეკი მიხვდა, მარცხის თავიდან არიდება უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ღრენა. ერთხელ, მცირე შესვენების ჟამს, ბეკი ღვედებში გაიხლართა და მგზავრობა შეაფერხა. დეივი და სოლექსი აქეთ-იქიდან ეცნენ და კარგადაც ასწავლეს ჭკუა. ამან ერთი შეხლა-შემოხლა და აყალმაცალი გამოიწვია, სამაგიეროდ, ბეკი სხვა დროს უკვე ცდილობდა, აღარ დაეხლართა ღვედები. დღის ბოლოს ისე გაიწაფა, რომ მასწავლებლებმა თავი მიანებეს. ფრანსუას შოლტიც უფრო და უფრო იშვიათად ზუზუნებდა მის თავზე, პერომ კი განსაკუთრებული ყურადღებით დააჯილდოვა – ყველა თათი სათითაოდ აუწია და მზრუნველობით გაუსინჯა.

გზა, რომელიც მათ პირველ დღეს გაიარეს, ძაღზე მძიმე აღმოჩნდა. «ცხვრის დასახლება» უკან მოიტოვეს და ხევ-ხევ აუყვნენ აღმართს, «სასწორს» და ტყის საზღვარს შორის განვლეს მყინვარები და რამდენიმე ასეული ფუტის სიმაღლის თოვლის ნამქერები, გადალახეს დიადი «ჩილკუტი», რომელიც მარილიანი და მტკნარი წყლების გაყოლებაზე გაწოლილიყო და მრისხანე დარაჯივით იცავდა მჭმუნვარე და უდაბურ ჩრდილოეთის მისადგომებს. მშვიდობიანად გადაიარეს ჩამქრალი ვულკანების კრატერებში გაჩენილი გაყინული ტბები და ღამით ძლივს მიაღწიეს ბენეტის ტბასთან გაშლილ დიდ ბანაკს, სადაც ათასობით ოქროს მამიებელი კრავდა გაზაფხულის ყინულსვლისთვის ტივებს. ბეკმა ამოთხარა ორმო, ჩაწვა და ქანცმილეულმა ჩაიძინა, მაგრამ გამოძინება არ დასცალდა, მალე გააღვიძეს და ცივი ღამის წყვდიადში, სხვა ძაღლებთან ერთად, მარხილში შეაბეს.

იმ დღეს ორმოცი მილი გაიარეს, რადგან გაკვალული გზით მიდიოდნენ. სამაგიეროდ, მომდევნო დღეებში იძულებული იყვნენ თვითონ გაეკაფათ გზა, იქანცებოდნენ და ნელა მიიწევდნენ წინ. ჩვეულებრივ, პერო მიუძღოდა მარხილს და თავისი თხილამურებით ტკეპნიდა თოვლს, რათა ძაღლებისათვის გაეადვილებინა სვლა.

ფრანსუა, რომელიც ჭოკით მართავდა მარხილს, მხოლოდ ხანგამომშვებით თუ შეენაცვლებოდა პეროს. პეროს ეჩქარებოდა, თან მიაჩნდა, რომ ფრანსუაზე უკეთ შეეძლო თვალთ ყინულის სისქის შეტყობა. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან შემოდგომის ყინული ჯერ კიდევ არ იყო სავსებით სანდო. იმ ადგილებში, სადაც დინება სწრაფი იყო, ყინული სულაც არ უნახავთ თვალთ.

ყოველ ცისმარე დღეს (ამ დღეებს კი ბოლო არ უჩანდა) ბეკი მარხილში ება. როცა სიბნელე ჩამოწვებოდა, მხოლოდ მაშინ ჩერდებოდნენ დასასვენებლად. ოდნავ ირიჟრაჟებდა თუ არა, მარხილი უკვე მისრიალებდა და მილს მილზე იტოვებდა უკან. კვლავ მხოლოდ საღამოს ბინდბუნდში შლიდნენ ბანაკს. ძაღლები, თავის ულუფა თევზს მიიღებდნენ თუ არა, თოვლში ძვრებოდნენ დასაძინებლად. ბეკს მგლის მადა ჰქონდა. მზეზე გამომხმარი გირვანქანახევარი ორაგული, რომელიც მის დღიურ ულუფას შეადგენდა, ერთ ლუკმად ძლივს ჰყოფნიდა. ვერ ნაყრდებოდა საკმარისად და სულ ერთთავად შიმშილი აწუხებდა მაშინ, როცა უფრო მსუბუქი და ასეთ ცხოვრებას შეჩვეული სხვა ძაღლები მხოლოდ თითო გირვანქა თევზს ღებულობდნენ და როგორღაც ახერხებდნენ სიმხნევისა და ძალ-ღონის შენარჩუნებას.

ბეკმა მალე დაანება თავი მიზეზიანობას, რაც შინ, სამხრეთში ყოფნის დროს, სჩვეოდა. ნელა, აუჩქარებლად ჭამდა, არჩევდა საჭმელს და მალე შეამჩნია, რომ მისი ამხანაგები, რომლებიც სწრაფად გადასანსლავდნენ ხოლმე თავის ულუფას, შემდეგ ბეკს ჰპარავდნენ. ბეკი ვერ ახერხებდა თავისი ულუფის გადარჩენას – ვიდრე ის ორ-სამ ქურდს ებრძოდა, მისი თევზი სხვების ხახაში უჩინარდებოდა. მაშინ ბეკმაც ისევე სწრაფად დაიწყო ჭამა, როგორც სხვები ჭამდნენ. შიმშილმა ისე შეაწუხა, მზად იყო თავი დაემცირებინა და მოეპარა კიდევ. კარგა ხანს უთვალთვალეობდა, როგორ აკეთებდნენ ამას სხვები და სწავლობდა. ბოლოს, როცა ძაღლმა შეამჩნია, რა მოხერხებულად მოპარა პაიკმა, ერთ-ერთმა ახალბედა თვალთმაქცმა და ქურდბაცაცა ძაღლმა, წამით შებრუნებულ პეროს ბეკონის ნაჭერი, მეორე დღეს თვითონაც გაიმეორა იგივე ფანდი, პირი სტაცა ბეკონის ნაჭერს და გაიპარა. ატყდა ერთი აყალმაყალი, მაგრამ მასზე ეჭვი არავის მიუტანია. მისი დანაშაულისათვის კი წუწკობაში შემჩნეული დაბი დასაჯეს.

ამ პირველმა ქურდობამ ცხადყო, რომ ბეკს ჩრდილოეთის მკაცრ პირობებში ცხოვრების უნარი შესწევდა. იგი მის მოხერხებასა და ახალ პირობებთან შეგუების უნარზე მეტყველებდა. ასეთი უნარი რომ არა, უმალ დაიღუპებოდა სწრაფი და საშინელი სიკვდილით. ქურდობა ბეკის მორალური დაცემის დასაწყისი იყო. არსებობისათვის მკაცრ და უღმობელ ბრძოლაში იმსხვრეოდა მთელი მისი ადრინდელი სპეტაკი ზნეობრივი შეხედულებანი. ახლა ეს შეხედულებანი ზედმეტ ტვირთად ქცეულიყო მხოლოდ. ეს შეხედულებანი საჭირო იყო სამხრეთში, სადაც სიყვარული და მეგობრობა სუფევდა, სადაც პატივი უნდა გეცა სხვისი საკუთრებისათვის და დაგენდო იგი. აქ კი, ჩრდილოეთში, კეტისა და ეშვის კანონის სამეფოში, მხოლოდ სულელი თუ დაიწყებდა პატიოსნების დაცვას, რომელიც ხელს უშლიდა არსებობას.

ბეკი, რა თქმა უნდა, ასე არ მსჯელობდა – ინსტინქტურად ეგუებოდა ახალ პირობებს. ცხოვრებაში არასოდეს თავს არ არიდებდა ბრძოლას, მაშინაც კი, როცა ეს ბრძოლა უთანასწორო იყო. მაგრამ წითელსვიტერიანმა კაცმა ჯოხის საშუალებით ჩააგონა უფრო მარტივი, მაგრამ ცხოვრებისეული აუცილებელი წესები. სანამ ბეკი ცივილიზებული ძაღლი იყო, იგი მზად იყო თავი გაეწირა თავისი მორალური იდეებისათვის – ვთქვათ, თავი გაეწირა და გადაერჩინა მოსამართლე მილერის მათრახი, რომელსაც იგი ცხენით სეირნობის დროს ხმარობდა, ხოლო ახლანდელი მზადყოფნა, დაეთმო ეს იდეები საკუთარი ტყავის გადასარჩენად, იმას მოწმობდა, რომ ბეკი პირველყოფილ

მდგომარეობას უბრუნდებოდა. იგი იპარავდა არა ქურდობის სიყვარულით, არამედ იმისათვის, რომ ცარიელი კუჭის დაჟინებულ მოთხოვნას ემორჩილებოდა. ბეკი აშკარად კი არ ძარცვავდა, არამედ ჩუმად, წინდახედულად, რადგან პატივს სცემდა კეტისა და ეშვის კანონს; ერთი სიტყვით, აკეთებდა იმას, რის გაკეთებაც უფრო ადვილი იყო, ვიდრე არგაკეთება.

ბეკი სწრაფად ვითარდებოდა (უფრო სწორად, ველურდებოდა). კუნთები რკინასავით გაუმაგრდა და ყოველგვარი ჩვეულებრივი ტკივილის მიმართ უგრძობელი გახდა. მან კარგი წრთობა მიიღო, შინაგანიც და გარეგანიც. მაღიანად გეახლებოდათ ყოველგვარ საჭმელს, როგორი საშინელი და ძნელადმოსანელებელიც არ უნდა ყოფილიყო. მისი კუჭიც მაშინვე ითვისებდა მიღებული საკვებიდან ყოველივეს, რაც კი სასარგებლო იყო მასში, უკანასკნელ ნამცეცამდე, სისხლს კი გადამუშავებული საკვები სხეულის უშორეს კუნჭულებში მიჰქონდა და მისგან უმაგრეს და უმკვრივეს ქსოვილს ქმნიდა. ბეკს შესანიშნავი მხედველობა და ყნოსვა ჰქონდა, სმენა კი ისე გაუმახვილდა, ოდნავი ფაჩუნიც კი ჩაესმოდა ძილში და მაშინვე შეეძლო გამოეცნო, რას მოასწავებდა იგი – მშვიდობას თუ საფრთხეს. მან ისწავლა ყინულის გამოღრღნა, ფეხის თითებს შორის რომ შეეყინებოდა ხოლმე. თუ მოწყურდებოდა, და წყალსატევარში წყალი ყინულის სქელი ფენით იყო დაფარული, იცოდა, როგორ გაეპო იგი თავისი ღონიერი წინა თათებით. მაგრამ ყველაზე საკვირველი იყო ბეკის უნარი – წინასწარ, ერთი ღამით ადრე გამოეცნო ქარის მიმართულება. და სრულიად წყნარ საღამოს ბეკი თავისთვის ხის ქვეშ ან მდინარის ნაპირას ორმოს ისე ამოთხრიდა ხოლმე, რომ, თუ ვინცობაა, ქარი ამოვარდებოდა, საპირისპირო მხარეს ყოფილიყო მოქცეული, რის გამოც მუდამ თბილი და მყუდრო ბინა ჰქონდა.

ყოველივე ამას ბეკი მარტო გამოცდილებით როდი აღწევდა, იღვიძებდა დიდი ხნის წინათ ჩახშული პირველყოფილი ინსტინქტები. ის კი, რაც მას მემკვიდრეობით მიეღო მოთვინიერებული წინაპრებისაგან, კვდებოდა. ბუნდოვნად იჩინა მასში თავი მისი მოდგმის შორეულმა ახალგაზრდობამ, და იმ დრომ, როცა ველური ძაღლები ჯგუფ-ჯგუფად დაძრწოდნენ გაუვალ, უღრან ტყეებში, მოღლიდნენ დევნით თავის მსხვერპლს და კლავდნენ. ბეკმა მალე ისწავლა კბილებისა და ბრჭყალების ხმარება, სწრაფი, მგლისებრ მტაცებელი გახდა. სწორედ ასე იბრძოდნენ მისი დიდი ხნის მივიწყებული წინაპრები. შორეული წარსული იღვიძებდა და მისი მოდგმის ძველთაძველი ჩვევები, რომლებიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას, ახლა მის ჩვევებად იქცა. ბეკმა ისინი ძალდაუტანებლად შეითვისა და, თითქოს თანდაყოლილი ყოფილიყოს, მასში არაფერ ახალსა და გასაოცარს არა ხედავდა. და როდესაც წყნარ, ცივ ღამეებში დრუნჩს მაღლა, ვარსკვლავებისაკენ აიშვერდა და დიდხანს, გაბმულად ყმუოდა მგელივით – ეს მისი დიდი ხნის წინათ ფერფლად ქცეული წინაპრები ყმუოდნენ მასში, ისევე როგორც ყმუოდნენ ისინი საუკუნეების განმავლობაში. ბეკის ყმუილში იგივე ბგერები ისმოდა, იგივე სევდა და განცდები, რასაც სიჩუმე, სიბნელე და სიცივე ბადებდა. ბეკის არსებიდან ამოხეთქვას ლამობდა წინაპართა ძველისძველი სიმღერა, და ძაღლიც ნელ-ნელა იბრუნებდა თავის წინაპართა პირვანდელ სახეს. და ყოველივე ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ხალხმა ჩრდილოეთში იპოვა ყვითელი ლითონი და კიდევ იმიტომ, რომ მეზადის დამხმარე მანუელი ისე მცირე ხელფასს იღებდა, რომ ძლივს ყოფნიდა ცოლისა და მისი მრავალრიცხოვანი ნაშიერის საჭიროებას.

## პირველყოფილი მხეცი იმარჯვებს

პირველყოფილ მხეცს ძლიერად გაედგა ფესვი ბეკის არსებაში და პრაქტიკული ცხოვრების მკაცრ პირობებში იგი სულ უფრო მეტად იზრდებოდა და ღონეს იკრებდა. მაგრამ ჯერჯერობით ეს შეუმჩნეველი რჩებოდა. გაღვიძებული მხეცური ცბიერება შველოდა მას შეეკავებინა თავისი ინსტინქტები. ამასთანავე, ახალ პირობებთან შეგუების აუცილებლობას იგი ისე დაეძაბა და მისგან ისეთ ძალას მოითხოვდა, რომ ბეცი არა მარტო არ იწევდა ჩხუბში, შეძლებისდაგვარად გაურბოდა კიდეც მას. ბეკის მოქმედებას თანდათან სიფრთხილე და დაკვირვებულობა შეემატა. მას არ უყვარდა სწრაფი, წინდაუხედავი მოქმედება და თუმცა მასსა და შპიცს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო სიძულვილმა დაისადგურა, ბეცი არასოდეს ამჟღავნებდა მღელვარებას და არასოდეს პირველი არ წაეკიდებოდა ხოლმე თავის მტერს.

შპიცი კი, პირიქით, ალბათ იმიტომ, რომ ბეკში სახიფათო მეტოქეს ხედავდა, შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ კბილების ღრქენით არ შეხვედროდა მას – ყოველ წუთს ცდილობდა გაეღიზიანებინა ბეცი და ჩხუბი წამოეწყო, რომელსაც უსათუოდ შეეწირებოდა ერთ-ერთი მათგანი. ის იყო, უნდა ატეხილიყო კიდეც ასეთი ჩხუბი მგზავრობის დასაწყისში, რომ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ შეუშალა ხელი. ერთხელ, დღის მიწურულს, მარხილი ტბა ლებარჟის ნაპირას გაჩერდა, უბადრუკ, მიუსაფარ, უსიცოცხლო ადგილას. ნამქერმა, წყვდიადმა და საშინელმა ქარმა, რომელიც გავარვარებულ დანასავით სერავდა კანს, აიძულა ადამიანები ღამის გასათევი ადგილები მოეძებნათ. შეუძლებელი იყო ამაზე უარესი ადგილის შერჩევა. მათ უკან კედელივით აღმართულიყო ციცაბო კლდე. პერო და ფრანსუა იძულებულნი იყვნენ ცეცხლი გაეჩაღებინათ და თავისი საძილე ტომრები პირდაპირ გაყინულ ტბაზე გაეშალათ. კარავი დაიპყრო, რომ მგზავრობა გაადვილებოდათ. მოაგროვეს ცოტაოდენი ფიჩხი, რომელიც წყალდიდობის დროს გამორიყულიყო, და ცეცხლი დაანთეს. მაგრამ ცეცხლმა მხოლოდ ყინული გააღწო ირგვლივ და მალევე ჩაქრა, ისე რომ, იძულებული იყვნენ სიბნელეში ევახშმათ.

ბეკმა მოიკალათა კლდის ძირში, რომელიც ქარისაგან იფარავდა. აქ ისეთი სიმყუდროვე და სითბო იყო, რომ უხალისოდ გამოძვრა იქიდან, როცა ფრანსუამ ცეცხლზე მომღვალა თევზი ჩამოურიგა ძაღლებს. როცა ბეკმა კუთვნილი ულუფა შეჭამა და თავის ადგილს დაუბრუნდა, აღმოჩნდა, რომ იგი სხვას დაეკავებინა. გამაფრთხილებელმა ღრენამ აუწყა ბეკს, რომ დამპყრობი შპიცი იყო. აქამდე ბეცი გაურბოდა თავის მტერთან შებმას, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო. მასში აღსდგა მხეცი. ბეცი ორივესათვის მოულოდნელი (განსაკუთრებით კი შპიცისათვის) გამმაგებით დაეძგერა მტერს. შპიცი მიეჩვია იმ აზრს, რომ მისი მეტოქე ყოველად მშიშარა ძაღლი იყო და თავი გაჰქონდა მხოლოდ ღონითა და დიდი წონით.

ფრანსუასაც გაუკვირდა, როცა გათელილი ბუნაგიდან ერთმანეთს ჩაფრენილი ბეცი და შპიცი გამოიჭრნენ, მაგრამ მაშინვე მიხვდა მიზეზს.

– ჰე-ჰეი, – გასძახა მან ბეკს. – აგრე, აგრე! აჩვენე სეირი მაგ საძაგელს! მაგ ქურდს, მაგას!

შპიცი საბრძოლველად იწევდა. ბრაზისა და მოუთმენლობისაგან ყმუოდა, გარს უვლიდა ბეკს და შესაფერ წუთს ეძებდა, რომ სცემოდა. გააფთრებულ ბეკს გადავიწყებოდა სიფრთხილე და ისიც გარს უვლიდა შპიცს უპირატესობის მოსაპოვებლად. უცრად მოხდა მოულოდნელი რამ, რამაც ხელი შეუშალა პირველობისათვის გამართულ ბრძოლას. ეს ბრძოლა მოხდა გვიან, როცა მძიმე, მომქანცველი გზის საკმაოდ დიდი მანძილი ჰქონდათ გავლილი.

პეროს ყვირილი და გინება, გაძვალტყავებულ ზურგზე კეტის ბრაგუნ და ტკივილით

გამოწვეული უეცარი ყმული თითქოს ნიშანი იყო შემდეგ ატეხილი ჯოჯოხეთური არეულობისა. ბანჯგვლიანი სხეულების ფუთფუთმა ბანაკი ერთბაშად გამოაცოცხლა. ასამდე მშიერი ძაღლი, რომლებმაც საჭმლის სუნი იკრეს, ინდიელთა რომელიღაც მახლობელი სოფლიდან მოცვივდა. იმ დროს, როცა ბეკი და შპიცი ერთმანეთს შეებნენ, ეს დაუპატიჟებელი სტუმრები ბანაკს მოედვნენ. ხოლო როცა პერო და ფრანსუა მსხვილი ხელკეტებით დაერივნენ, გამხეცებული ძაღლები ახლა მათ მისცვივდნენ. საჭმლის სუნმა გააგიჟა ისინი. პერომ დაინახა, რომ ერთმა ძაღლმა დრუნჩი ჩაჰყო სანოვავის ყუთში და თავისი მძიმე ხელკეტი მაგრად ჩასცხო გამხდარ ფერდებში. ყუთი გადაბრუნდა. იმავე წამს ოციოდე დამშეული ძაღლი პურსა და ბეკონს მივარდა და გაყოფაზე ერთმანეთს წაეკიდნენ. ახლა ხელკეტები დატრიალდა. ძაღლები ღმუოდნენ და წკავწკავებდნენ მწარე დარტყმებისაგან, მაგრამ მაინც გამმაგებული ეომებოდნენ ერთმანეთს ნადავლისათვის, სანამ უკანასკნელ ნამცეცამდე არ გადასანსლეს ყველაფერი.

ამასობაში პეროს შეშინებული ძაღლებიც გამოძვრნენ თავისი ბუნაგებიდან. გააფთრებული მომხდურები ახლა მათ დაესხნენ თავს. ბეკს აქამდე არასოდეს ენახა ასეთი ძაღლები. მათ სხეულებზე სათითაოდ დაითვლიდით ნეკნებს. ნამდვილი ჩონჩხები იყვნენ, რომლისთვისაც ზემოდან ჭუჭყიანი ტყავები გადაეკრათ. თვალები ანთებოდათ, პირიდან დორბლი სდიოდათ. საშინელნი და დაუძლეველნი იყვნენ შიმშილისაგან გახელებული ეს გაძვალტყავებული არსებანი. პირველივე შეტაკებაზე მასპინძლები კლდეს მიანარცხეს. ბეკს ერთბაშად სამი ძაღლი დაესხა თავს და ერთ წუთში დაუბინა მხრები და თავი. საშინელი გნიასი იდგა. ბილი, როგორც ყოველთვის, შესაბრალისად ყმუოდა. დეივი და სოლეკსი, რომლებსაც სისხლი სდიოდათ ჭრილობებიდან, გმირულად იბრძოდნენ მხარდამხარ. ჯო კბილებს აღრჭიალებდა, ერთ-ერთ მომხდურ ძაღლს კბილებით ჩააფრინდა წინა ფეხში და ძვალი გადაულრღნა. ეშმაკი პაიკი დაშავებულ მსხვერპლს ზურგზე შეახტა და ერთბაშად კისერი მოსტეხა. ბეკი ყელში სწვდა თავის მოწინააღმდეგეს, რომელსაც პირიდან დორბლი სდიოდა. სისხლმა იფეთქა, როცა ვენაში კბილები ჩაასო და ერთიანად დაასველა. თბილი სისხლის გემომ კიდევ უფრო გააშმაგა ბეკი. ახლა სხვა ძაღლს მივარდა და იმავ წუთს იგრძნო, რომ ვიღაცამ კბილები ჩაასო ყელში. ეს შპიცი იყო, იგი ვერაგულად დასხმოდა თავს. როგორც კი ბანაკის ნაწილი გაწმინდეს თავდამსხმელებისაგან, პერო და ფრანსუა ახლა თავისი ძაღლების საშველად გამოქანდნენ. მათი გამოჩენისთანავე მშიერი მხეცების მძინვარე ტალღამ უკან დაიხია. ბეკმაც დააღწია შპიცს თავი. მაგრამ სიმშვიდე მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა. პერო და ფრანსუა იძულებული იყვნენ სანოვავის გადასარჩენად გაქცეულიყვნენ. ინდიელების ძაღლები კვლავ დაერივნენ მათ ნაგაზებს. ბილიმ განწირულის გამბედაობით გაარღვია გაცოფებული ძაღლების რკალი და ტბის გაყინულ ზედაპირზე გაქანდა. მას უკან მიჰყვნენ პაიკი და დაბი, შემდეგ კი – პეროს ყველა ძაღლი. იმ დროს, როცა ბეკი ის-ის იყო უნდა გადამხტარიყო ყინულზე და მათ დასდევნებოდა, თვალი მოჰკრა მისკენ გამოქანებულ შპიცს, რომელიც იმ განზრახვით მორბოდა, რომ დამგერებოდა და წაექცია იგი. ბეკი რომ დაცემულიყო, მთელი ხროვა ძაღლების ქვეშ მოექცეოდა და სიკვდილი არ ასცდებოდა. მან მთელი ძალა მოიკრიბა, შპიცის თავდასხმა მოიგერია და სირბილით მიჰყვა დანარჩენებს.

ცოტა ხნის შემდეგ მარხილის ცხრავე ძაღლი ერთად შეგროვდა და ტყისკენ გაემშურა ღამის გასათევი ადგილის საძებნელად. მათ აღარავინ მისდევდა, მაგრამ საცოდავ დღეში კი იყვნენ: ვერ ნახავდით ვერც ერთ მათგანს, რომელსაც ოთხი-ხუთი ჭრილობა მაინც არ ჰქონოდა. ზოგიერთი უფრო მძიმედაც იყო დაშავებული. დაბს ძალიან ჰქონდა დაზიანებული უკანა ფეხი, დოლის, რომელიც დაიაში დაუმატეს მათ მარხილს, ყელზე

საშინელი ჭრილობა მოუჩანდა, ჯო ცალ თვალს გამოეთხოვა, კეთილი ბილი კი მთელი ღამე კვნესოდა და ყმუოდა \_ ნაფლეთებად ეკიდა საბრალოს ყური. განთიადზე დიდის ვაი-ვაგლახით დაბრუნდნენ ბანაკში. მოთარეშეები აღარსად იყვნენ. ფრანსუა და პერო უგუნებოდ დაუხვდათ. სანოვაგის თითქმის ნახევარი გაენადგურებინათ მომხდურებს. ეს კიდევ არაფერი, მშიერ ძაღლებს ტყავის თასმები, ღვედები და ბრეზენტის გადასახურავებიც კი დაეღრღნათ. მათ კბილებს არ გადარჩენოდა არაფერი, რაც კი დასაღეჭად გამოდგებოდა. პეროს ცხენ-ირმის ტყავის მოკასინებიც შეეჭამათ, ტყავის აკაზმულობის ნაწილები გამოეღრღნათ და ფრანსუას შოლტიც ორი ფუტით დამოკლებულიყო. ფრანსუამ თვალი მოაშორა ამ სამწუხარო სანახაობას, რათა თავისი ძაღლების ჭრილობებისათვის მიეხედა.

\_ ეჰ, ჩემო მეგობრებო! \_ ჩაილაპარაკა მან ჩუმად. \_ ეშმაკმა დალახვროს, ერთიც ვნახოთ და გაცოფდეთ! ხომ შეიძლება ყველა გაცოფდეს, ჰა, როგორ ფიქრობ, პერო?

შემფოთებულმა შიკრიკმა თავი გაიქნია. დოუსონამდე ოთხასი მილი იყო დარჩენილი და ესღა აკლდა ახლა, რომ ძაღლებს წყლის შიში დამართოდათ! ორი საათის გახურებული მუშაობისა და გულიანი ლანძღვა-გინების შემდეგ, აკაზმულობა წესრიგში მოიყვანეს და, მიუხედავად იმისა, რომ ძაღლებს ჭრილობები უზომოდ სტკიოდათ, კვლავ დიდის ვაი-ვაგლახით მიიწევდნენ წინ გზის ამ ყველაზე მძიმე მონაკვეთზე. არსად ისეთი გასაჭირი არ დასდგომიათ, როგორც ამ გადასარბენზე.

ოცდაათი მილის სიგანე მდინარე ოდნავადაც არ გაყინულიყო. მისი მშფოთვარე დინება წყნარ ყურეებზე შემორჩენილ ყინულებს ებრძოდა. ექვსი დღის ქანცგამწყვეტი შრომა დასჭირდათ ამ ოცდაათი საშინელი მილის გადასალახავად. ყოველი ნაბიჯი სიკვდილს უქადდა ძაღლებსა და ადამიანებს. გზის შემოწმების დროს პეროს თორმეტჯერ მაინც ჩაუტყდა ყინული. მხოლოდ გრძელი ჭოკი შველოდა მას, ისე ეჭირა ხელში, რომ დაცემისას ყინულჭრილზე გარდიგარდმო ედებოდა. ყინვა თანდათან ძლიერდებოდა, თერმომეტრი ორმოცდაათ გრადუსს უჩვენებდა. ყოველი ასეთი მარცხის შემდეგ პერო ცეცხლს ანთებდა და ტანსაცმელს იშრობდა, რომ საბედისწერო გაციება თავიდან აეცილებინა.

მაგრამ პეროს არაფერი აშინებდა. სწორედ იმიტომ დანიშნეს იგი მთავრობის შიკრიკად, რომ ასეთი შეუპოვარი იყო. იგი ყოველგვარ რისკზე მიდიოდა, გაბედულად აგებებდა ყინვას თავის გამხდარ, დანაოჭებულ სახეს და დღენიდაც ებრძოდა ყოველგვარ სიძნელეს. გათენებიდან დაღამებამდე თამამად მიაბიჯებდა პირქუში მდინარის ნაპირების გაყინულ ზოლზე, თუმცა ყინული იმსხვრეოდა, ფეხქვეშ იზნიქებოდა და მასზე გაჩერება ერთი წუთითაც კი საშიში იყო. ერთხელ მარხილი წყალში ჩავარდა და დეივი და ბეკიც თან ჩაიყოლა. ძაღლები კინალამ დაიხრჩვენ. ნახევრად გაყინულები ამოათრიეს წყლიდან. დაღუპვას რომ გადაერჩინათ, ცეცხლის დანთება დასჭირდათ. ძაღლები ყინულის სქელ ფენას დაეფარა. ფრანსუამ და პერომ ისე არბენინეს ძაღლები ცეცხლის გარშემო, რომ სულ ერთიანად გაიოფლნენ, მოლღვნენ და ბალანიც კი შეეტრუსათ.

მეორეჯერ შპიცი ჩავარდა და ძაღლების მთელი მწკრივი, ბეკის ჩათვლით, თან ჩაითრია. ბეკმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, რათა ყინულზე შეემაგრებინა თავი და უკან დაიხია. ოთხივე თათს აბჯენდა ყინულჭრილის ლიპ ნაპირს, თუმცა ყინულს ლაწალუწი გაჰქონდა ირგვლივ და იმსხვრეოდა. ბედზე ბეკის უკან დეივი იყო შებმული და ისიც მთელი ძალით იხევდა უკან. მარხილის ბოლოს კი ფრანსუა იდგა და ისეთი ძალით ეწეოდა მათ თავისკენ, რომ მთელ სახსრებს ტკაცატკუცი გაუდიოდა.

ერთხელ ყინული მარხილის წინაც ჩატყდა და უკანაც. გადარჩენის ერთდაერთი იმედი ციცაბო კლდე იყო. პერო რაღაც სასწაულით აცოცდა კლდეზე, სანამ დაბლა

მდგარი ფრანსუა ღმერთს სწორედ ამ სასწაულს ევედრებოდა. შემდეგ ერთ გრძელ თოკად გადააბეს ტყავები, ღვედები და მთელი აკაზმულობა, რაც კი ხელთ ჰქონდათ, და ყველა ძალის ერთიმეორის მიყოლებით კლდის წვერზე გადაიყვანეს. ყველაზე ბოლოს, როცა მარხილი და მთელი ბარგი გადაიტანეს, ფრანსუა გადაცოცდა. შემდეგ მოჰყვინენ ადგილის ძებნას, საიდანაც ისევ ძირს დაშვება იქნებოდა შესაძლებელი. ბოლოს ისევ თოკით დაეშვინენ დაბლა. ღამემ ისევ მდინარეზე მოუსწრო. იმ დღეს მხოლოდ მილის მეოთხედი გაიარეს.

ბეკი ფეხზე ძლივსლა იდგა, როცა ჰუტალინკვაში მივიდნენ. ყინული უკვე მაგარი იყო. გაწამდნენ სხვა ძაღლებიც. მიუხედავად ამისა, პერომ მაინც გადაწყვიტა დაკარგული დრო აენაზღაურებინა და შეუსვენებლად გარეკა ისინი წინ. პირველ დღეს ოცდათხუთმეტი მილი გაიარეს და «დიდ ორაგულს» მიაღწიეს. მეორე დღეს კიდევ ოცდათხუთმეტი მილი განვლეს «მცირე ორაგულამდე», ხოლო მესამე დღეს ორმოცი მილი მოიტოვეს უკან და უკვე «ხუთი თითის» ზღურბლს მიუახლოვდნენ.

ბეკს ისეთი მაგარი და გამძლე ფეხები არ ჰქონდა, როგორც ჩრდილოეთის ძაღლებს. მას შემდეგ, რაც მისი ველური წინაპრების უკანასკნელი წარმომადგენელი გამოქვაბულისა თუ ხიმინჯებიანი შენობების ბინადარმა მოაშინაურა, მისი ჯიშის ძაღლები თაობიდან თაობამდე სულ უფრო და უფრო განაზდნენ და გასათუთდნენ. ბეკი მთელი დღე კოჭლობით მიძუნძულებდა, ფეხები საშინლად სტკიოდა, ხოლო საღამოთი, როცა ღამის სათევად ჩერდებოდნენ, მკვდარივით ეცემოდა ძირს და შიმშილიც კი ვერ აიძულებდა ფეხზე წამოდგარიყო. როცა თევზს არიგებდნენ, ფრანსუა იქვე მიუტანდა ხოლმე ულუფას, მერე კი, ყოველ საღამოს, ვახშმის შემდეგ, ნახევარ საათს უზელდა ფეხებს. მან თავისი მოკასინებიც კი გასწირა – ზედა ნაწილები ჩამოაჭრა და ბეკს ოთხივე ფეხისათვის პაწაწინა მოკასინები შეუკერა. ამან ძალიან შეუმსუბუქა ბეკს ტანჯვა. პეროს დაღარულ სახესაც კი მოერია ღიმილი, როცა ერთ დილას ასეთი სურათის მოწმე გახდა. ფრანსუას დავიწყებოდა ბეკისათვის მოკასინების წამოცმა, ბეკი ზურგზე დაწოლილიყო, ოთხივე ფეხი აეშვირა და მუდარით იქნევდა ჰაერში და მანამდე არ დაიძრა ადგილიდან, სანამ ფეხები არ შეუმოსეს. ბეკს თანდათან გაუუხეშდა ფეხები, გაუმაგრდა, ამასობაში მოკასინებიც გაცვდა და გადაყარეს.

ერთ დილას, პელის მახლობლად, სადგომთან, როცა ძაღლებს მარხილში აბამდნენ, სრულიად მოულოდნელად გაცოფდა დოლი, თუმცა მანამდე არავითარი საეჭვო ნიშნები არ ეტყობოდა. დოლი უეცრად მგელივით აყმუვლდა, ისე საშინლად, ისე გულგამგმირავად ყმუოდა, რომ დანარჩენ ძაღლებს შიშისაგან ბალანი აეშალათ. დოლი პირიდაპირ ბეკისკენ გამოქანდა. იგი თავის სიცოცხლეში პირველად ხედავდა გაცოფებულ ძაღლს, ჰოდა, რა იცოდა, რომ უნდა მორიდებოდა. მიუხედავად ამისა, ინსტინქტურმა შიშმა აიტანა, დოლის ზურგი აქცია და მოჰკურცხლა. ბეკს შიში მიაქროლებდა. ერთი ნახტომის დაშორებით მისდევდა დოლი, იგი მძიმედ და ხმამაღლა ხვნეშოდა, პირიდან დუჟი სდიოდა. დოლი ვერ ეწეოდა ბეკს, და ვერც ბეკს დაეხსნა თავი დოლისაგან.

ბეკი ბუჩქნარში შევარდა და კუნძულის ბოლოს ამოჰყო თავი, გადასცურა ყინულივით დახერგილი სრუტე, გადავიდა მეორე კუნძულზე, შემდეგ მესამეზე, შემოხაზა წრე, ისევ კალაპოტს დაუბრუნდა და თავზარდაცემული გაქანდა ყინულზე. უკანმოუხედავად გარბოდა, ზურგს უკან კი, ერთ ნახტომზე ისევ ესმოდა დოლის ღრენა. მეხუთედი მილი რომ გაირბინა, უცებ ფრანსუას ძახილი შემოესმა. უკან მობრუნდა. სული ეხუთებოდა, ძლივს სუნთქავდა და ისე გარბოდა ფრანსუასაკენ, და კვლავ ერთი ნახტომით უსწრებდა დოლის. გადარჩენის მთელი იმედი ახლა მხოლოდ ფრანსუაზე იყო. ფრანსუას ხელში ცული ეჭირა და როცა ბეკმა წინ ჩაურბინა, ცული

გაცოფებული დოლის თავზე დაეშვა.

ძალაგამოლეული ბეკი ქშენა-ქშენით მილასლასდა მარხილამდე, ახლა შპიცმა ისარგებლა მისი უსუსურობით, დაეძგერა და, რაკი წინააღმდეგობას არ წააწყდა, კბილებით ჩააფრინდა და ორ ადგილას ძვლამდე ჩაასო ხორცში. მანამ არ მოეშვა, სანამ ფრანსუას შოლტმა არ გაიზუზუნა შპიცის თავზე და ბეკს საშუალება არ მისცა დაენახა, როგორ უმასპინძლდებოდნენ მის მტერს, – ასე უმოწყალოდ მარხილის არც ერთი ძაღლი არ უცემიათ ჯერ.

– უ-უ, რა კუდიანია ეს შპიცი! – თქვა პერომ, – ოდესმე სულ დაგლეჯს ბეკს.

– დარდი ნუ გაქვს, ბეკში ორი კუდიანი ზის ერთად! – მიუგო ფრანსუამ. – მე სულ თვალს ვადევნებ და, იცი, რას გეტყვი? ერთ მშვენიერ დღეს ბეკი ისე გამხეცდება, რომ მაგ შენს შპიცს სულ დაღეჭავს და ყინულზე გადმოაფურთხებს, დამიჯერე!

ამის შემდეგ ბეკსა და შპიცს შორის აშკარა მტრობა ჩამოვარდა. შპიცი, მარხილის მთელი შემადგენლობის აღიარებული მოთავე და წინამძღოლი, ამ უცნაურ სამხრეთელში ისეთ ძაღლს ხედავდა, რომელიც მის პირველობას საფრთხეს უქადდა. ბეკი უცნაურად იმიტომ ეჩვენებოდა, რომ სამხრეთის ძაღლებიდან, რომელიც შპიცს ბევრი ენახა, აქამდის არც ერთს არ შეეძლო მეტოქეობა გაეწია ადგილობრივი ძაღლებისათვის არც ბანაკის სადგომებზე და არც გზაში. ყველა ეს სამხრეთიდან მოსულნი ძაღლები აზიზნი იყვნენ და მალე იღუპებოდნენ მათთვის აუტანელი მძიმე სამუშაოს, ყინვებისა და შიმშილისაგან. ბეკი ერთადერთი გამონაკლისი იყო. მან ყველაფერს გაუძლო, შეეგუა ახალ ცხოვრებას, წარმატებასაც აღწევდა და არ ჩამორჩებოდა ჩრდილოეთელებს არც ძალ-ღონეში, არც მამაცობასა და არც მრისხანებაში. ამასთან, ბეკი ძალაუფლების მოყვარულიც გახლდათ, ხოლო წითელსვიტერიანი ადამიანის კეტმა გონებიდან ამოუგდო წინანდელი უგუნური გაბედულება, სიფიცხე და, თუმცა პირველობისაკენ ისწრაფვოდა, ისეთი ჯიუტი მოთმინებით ელოდა შესაფერ მომენტს, როგორითაც გამოირჩევიან ველურები.

პირველობისათვის ბრძოლა გარდაუვალი იყო და ბეკი იღვწოდა მისთვის. ამას მოითხოვდა მისი ბუნება, მთელი მისი არსება მოეცვა იმ მიუწვდომელ სიამაყეს, რომელიც აიძულებს მარხილის ძაღლს უკანასკნელ სულისთქმამდე არ ჩამოდგეს გზიდან, სიხარულით ატაროს თავისი აკაზმულობა და დარდსაც კი გადაჰყვეს, როცა მარხილიდან გააძევენ. ეს სიამაყე იღვიძებდა დეივშიც, როცა მას შუა ძაღლად შეაბამდნენ ხოლმე. იგივე სიამაყე აიძულებდა სოლეკსს, მთელი ძალ-ღონე დაეძაბა და უფრო ძალუმად გაეწია მარხილი. იგი აღაფრთოვანებდა ყველა ძაღლს, როცა გამგზავრების დრო დგებოდა და ყველა ბრაზიან და პირქუმ პირუტყვს ძაღლონით სავსე, პატივმოყვარე და დაუღალავ ქმნილებად აქცევდა. ეს სიამაყე თან სდევდა მათ მთელი დღის განმავლობაში და ტოვებდა მხოლოდ საღამოთი, სადგომზე, როცა მათ კვლავ მოუსვენრობა და უკმაყოფილება დაეუფლებოდათ. წინამძღოლი შპიცი სწორედ ამ პროფესიული სიამაყის გამო კბენდა იმ ძაღლებს, რომლებსაც ფეხი ეშლებოდათ, თასმებში იხლართებოდნენ ანდა იმალებოდნენ დილით, როცა მარხილში შებმის დრო იყო. იმავე სიამაყის გამო ეშინოდა შპიცს, რომ უეცრად ბეკი არ დაეყენებინათ წინამძღოლად მის მაგიერ, რადგან ბეკი ისწრაფვოდა ამისკენ.

ბეკი ახლა აშკარად ილტვოდა წინამძღოლობის მოსაპოვებლად. იგი შპიცსა და იმ ზარმაც ძაღლებს შორის დგებოდა, რომლების დასჯაც უნდოდა ხოლმე შპიცს. ბეკი ამას შეგნებულად აკეთებდა. ერთხელ, ღამით, დიდი თოვლი მოვიდა, დილით კი ზარმაცი და გაიძვერა პაიკი არ გამოცხადდა მარხილთან. იგი თავის მიერ ამოთხრილ ღრმა ორმოში ჩამალულიყო თოვლქვეშ. ამაოდ დაეძებდა ფრანსუა. შპიცი ცოფებს ყრიდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, მთელ ბანაკს ყნოსავდა, თხრიდა ყველა საეჭვო ორმოს და ისე

მშვიდვარედ იღრინებოდა, რომ პაიკი, რომელსაც ესმოდა მისი ღრენა, შიშისაგან კანკალებდა.

როცა ბოლოს და ბოლოს ბუნაგიდან გამოაგდეს და შპიცი ეცა, რომ ჭკუა ესწავლებინა მისთვის, მასზე არანაკლებ გამძვინვარებული ბეკი მათ შუა შეიჭრა. ეს ისეთი მოულოდნელი და მარჯვე ფანდი იყო, რომ უკუგდებულმა შპიცმა თავი ვერ შეიმაგრა და დაეცა. შიშისაგან აკანკალებული მხდალი პაიკი ასეთი აშკარა ამბოხების დანახვაზე ერთბაშად გამხნევდა და წაქცეულ მეთაურს ეცა. ბეკმა დაივიწყა პატიოსანი ბრძოლის წესები და მივარდა შპიცს. მაგრამ ფრანსუამ, რომელიც აქამდე ამ სანახაობით ერთობოდა, თავის მოვალეობად ჩათვალა სამართლიანობა აღედგინა და მთელი ძალით გადაუჭირა შოლტი ბეკს. მაინც ვერ მოაცილეს ბეკი თოვლზე გართხმულ მოწინააღმდეგეს. მაშინ საქმეში ფრანსუამ შოლტის ტარი ჩარია. დარტყმისაგან რეტდასხმული ბეკი უკან გადავარდა. შოლტი კარგა ხანს სეირნობდა მის ფერდებზე, შპიცმა კი დრო იხელთა და საფუძვლიანად გაუსწორა ანგარიში მრავალცოდვილ პაიკს.

შემდგომ დღეებშიც, ვიდრე ისინი დოუსონში ჩავიდოდნენ, ბეკი ყოველთვის ერეოდა საქმეში, როცა შპიცი დამნაშავე ძალებს უსწორდებოდა. მაგრამ ამას ახლა ეშმაკურად აკეთებდა, მხოლოდ მაშინ, როცა ფრანსუა ახლომახლო არ ჩანდა. ბეკის შენიღბული ამბოხება ურჩობის ნიშანი იყო და მარხილში შებმული ძალების დისციპლინა თანდათან დაეცა. მხოლოდ დეივი და სოლექსი არ აპყვნენ, დანარჩენი ძალები კი სულ უფრო და უფრო ცუდად იქცეოდნენ. ყველაფერი აირდაირია. ბოლო აღარ უჩანდა კინკლაობას. ატმოსფერო დაიძაბა და ამის მიზეზი ბეკი გახლდათ. ფრანსუას მოსვენება დაეკარგა – ერთთავად ეშინოდა, ბეკი და შპიცი სამკვდრო-სასიცოცხლოდ არ შეებან ერთმანეთსო. კარგად ესმოდა, რომ ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო. იგი მალიმალ გამოძვრებოდა ხოლმე ღამე თავისი საძილე ტომრიდან. როგორც კი ჩხუბის ხმას გაიგონებდა, ყოველთვის შიშობდა, ვაითუ, ბეკი და შპიცი ეცნენ ერთმანეთსო.

მაგრამ საამისო შემთხვევა ჯერჯერობით არ მისცემოდათ და როცა ერთ ღრუბლიან დღეს, როგორც იქნა, მიაღწიეს დოუსონს, დიდი ბრძოლა ჯერ კიდევ ელოდა მათ. დოუსონში ბევრი ადამიანი და კიდევ მეტი ძალი ცხოვრობდა. ბეკი ხედავდა, რომ ყველა ძალი მუშაობდა. ეტყობა, აქ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. მთელი დღის განმავლობაში მთავარ ქუჩაზე მარხილებში შებმული ძალების გრძელი მწკრივი მიდი-მოდიოდა და ღამეც კი არ წყდებოდა ეყვნების ჟღარუნი. ძალები ეზიდებოდნენ ქოხებისათვის ძელებს, შეშას და ათასგვარ ტვირთს საბადოებზე. ისინი აქ იმ სამუშაოს ასრულებდნენ, რასაც სანტა-კლარას ველებზე ცხენები აკეთებდნენ. მათ შორის სამხრეთელებიც ერივნენ, მაგრამ მეტწილად ადგილობრივი მგლის ჯიშის ძალები იყვნენ. დაღამდებოდა თუ არა, რეგულარულად, ცხრა საათზე, თორმეტზე და ღამის სამზე ისინი მოჰყვებოდნენ თავის ღამის სიმღერას – საზარლად და იდუმლად აღმუვლდებოდნენ და ბეკიც სიამოვნებით უერთებდა მათ თავის ხმას.

ასეთ ღამეებში, როცა ძალა ყინულოვან დაფიონად კიაფობდა ჩრდილოეთის ციალი და სიცივისაგან ცაში ვარსკვლავები ცეკვავენ, დამზრალი მიწა კი თოვლის სუდარის ქვეშ იყინებოდა, ძალების ეს სიმღერა ბრძოლაში გამოწვევას მოგაგონებდათ, სევდითა და გაბმული მოთქმა-ქვითინით რომ არ ყოფილიყო აღსავსე. არა, მასში ცხოვრების სამდურავი უფრო ისმოდა, არსებობისათვის მძიმე ტანჯვის სამდურავი. ეს იყო ძველისძველი სიმღერა იმ დროისა, ისეთივე ძველი, როგორც მათი მოდგმა დედამიწაზე, ერთ-ერთი პირველი სიმღერა იმ დროისა როცა ყველა სიმღერა ქვეყანაზე სევდით იყო სავსე. მასში მოისმოდა უთვალავ თაობათა გოდება. ეს იყო ჩივილი, რომელიც რაღაც უცნაურად აღელვებდა ბეკს. უცხო ძალებთან ერთად ისიც კვნესოდა და ყმუოდა იმ ტანჯვის, იმ შემზარავი შიშის გამო სიცივისა და წყვიდადის

იდუმალეების წინაშე, რომელიც აყმუვლებდა მის ველურ წინაპრებს. და უკვე ის, რომ ამ ძველისძველი სევდის გამოძახილი აღელვებდა ბეკს, იმაზე მეტყველებდა, რომ, საუკუნეების განმავლობაში ადამიანებთან მშვიდი ცხოვრების მიუხედავად, იგი შეუჩერებლად უბრუნდებოდა იმ უძველეს ხანას, როდესაც ეს ყმუილი იზადებოდა.

დოუსონში მისვლიდან შვიდი დღის შემდეგ ისინი კვლავ დაემზენ ციცაბო ნაპირით იუკონის ყინულზე და ისევ დაიასა და მლაშე წყლისკენ იბრუნეს პირი. ახლა პეროს უფრო სასწრაფო ფოსტა მიჰქონდა, ვიდრე ის, რომელიც დოუსონში ჩამოიტანა. თანაც აზარტში იყო შესული და გადაწყვიტა წლიური რეკორდი დაემყარებინა სიჩქარეში. ამას სხვადასხვა გარემოებაც უწყობდა ხელს: მთელი კვირის დასვენების შემდეგ ძალებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს და კარგად გრძნობდნენ თავს; გზა, რომელიც მათ ერთი კვირის წინათ გაკვალეს თოვლში, სხვა მგზავრებმა კიდევ უკეთ დატკეპნეს; ამავე დროს პოლიციამ ამ გზაზე ორ-სამ ადგილას სურსათის საწყობი გახსნა ადამიანებისა და ძალებისათვის, ისე რომ, ახლა მსუბუქად დატვირთულთ შეეძლოთ განეგრძოთ გზა.

პირველსავე დღეს აყვნენ იუკონს და ორმოცდაათი მილი გაიარეს; ხოლო მეორე დღის ბოლოს უკვე პელის მიუახლოვდნენ. უნდა ითქვას, რომ ასეთი არაჩვეულებრივი სისწრაფე ფრანსუას ცოტა მღელვარებად და დავიდარაბად როდი დაუჯდა. ბეკის მიერ ატეხილმა შფოთმა დაარღვია სოლიდარობა. ძალები უკვე აღარ გარბოდნენ ისე შეთანხმებულად, როგორც წინათ. ბეკის მფარველობით გათამამებული მემბოხეები ხშირად თავხედობდნენ. შპიცისა ისე აღარ ეშინოდათ, როგორც წინამძღოლისა უნდა შინებოდათ. წინანდელი შიში მის წინაშე გაქრა და არა თუ ბეკი, სხვა ძალებიც აღარ ცნობდნენ მის პირველობას. ერთხელ, ღამით, პაიკმა შპიცს ნახევარი თევზი მოჰპარა და ბეკის მფარველობის იმედით იქვე შესანსლა. მეორეჯერ დაბი და ჯო ეცნენ შპიცს, დაასწრეს, რომ თვითონ არ მიეღოთ დამსახურებული სასჯელი. კეთილმა ბილმაც კი დაკარგა სათნოების ნაწილი და უკვე ისე მლიქვნელურად აღარ წკმუტუნებდა, როგორც ადრე. ბეკი, როცა კი შპიცს გვერდით გაუვლიდა, მუდამ იღრინებოდა და მუქარით იბურძგნებოდა. საერთოდ, ნამდვილი ჩხუბისთავივით იქცეოდა და შპიცის ცხვირწინ თავხედურად დააბიჯებდა.

დისციპლინის მოშლამ ძალების ურთიერთდამოკიდებულებაზეც იმოქმედა. ისინი უწინდელზე უფრო მეტად კინკლაობდნენ ერთმანეთში და დროდადრო ბანაკი ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცეოდა ხოლმე. მხოლოდ დეივი და სოლეკსი ინარჩუნებდნენ წინანდებურად სიმშვიდეს, თუმცა მაინცდამაინც მოსვენებულად არც ისინი იყვნენ გაუთავებელი აურზაურის გამო. ფრანსუა გაუგებარი სიტყვებით ილანძვებოდა, გამმაგებული უმწეოდ აბრახუნებდა ფეხებს და თმას იგლეჯდა. მისი შოლტი წამდაუწუმ ხვდებოდა ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ ამაოდ. საკმარისი იყო ფრანსუა მიბრუნებულიყო, რომ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ფრანსუა იცავდა შპიცს, ბეკი კი ყველა დანარჩენს. ფრანსუამ კარგად იცოდა, რომ ყველაფერში ბეკი იყო დამნაშავე და ბეკიც გრძნობდა, რომ ფრანსუა ხვდებოდა ამას. მაგრამ ბეკს იმდენი ჭკუა ჰქონდა, რომ დანაშაულზე მისი წასწრება შეუძლებელი გახდა. მარხილში კარგად მუშაობდა, რადგან მუშაობა მისთვის უკვე სიამოვნებად იქცა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად სიამოვნებდა, როცა ჩუმად წააჩხუბებდა ამხანაგებს და შემდეგ თავისი დანაშაულის კვალს წაშლიდა.

ერთხელ, საღამო ხანს, ტეჰკინის შესართავთან შესვენებისას, ვახშმის შემდეგ დაბმა კურდღელი დააფრთხო, დაჭერით კი ვერ დაიჭირა. ერთ წუთში ძალების მთელი ხროვა დაედევნა მსხვერპლს. ბანაკიდან ას იარღზე ჩრდილო-დასავლეთის პოლიციის სადგომი იყო. პოლიციას ორმოცდაათიოდე ძალი ჰყავდა – ყველამ მიიღო მონაწილეობა ნადირობაში. კურდღელი სწრაფად დაუყვა მდინარეს, შემდეგ ყურისაკენ გაუხვია, რომელსაც ყინვის მყარი ფენა ფარავდა. მსუბუქად მიხტოდა ღრმა თოვლში,

მაშინ როცა მძიმე ძაღლები ყოველ ნაბიჯზე ეფლობოდნენ. ბეკი წინ მირბოდა და სამოცი ძაღლისაგან შემდგარი ხროვა უკან მისდევდა. მოსახვევს მოსახვევზე იტოვებდა უკან, მაგრამ მაინც ვერ ეწეოდა კურდღელს. ხან ძირს გაიშხლართებოდა და მეტი ჟინიანობით აწკმუტუნდებოდა. მისი მშვენიერი სხეული სწრაფად გაიელვებდა ხოლმე ჰაერში მთვარის მკრთალ შუქზე ცივი ღამის თეთრ მოჩვენებასავით; სწრაფად მიჰქროდა კურდღელიც.

იმ შორეულმა ინსტინქტებმა, რომლებიც წლის გარკვეულ დროს ადამიანებს ხმაურიანი ქალაქებიდან ტყესა და ველებში მიერეკება ცოცხალ არსებათა ტყვიის ბურთულებით მოსაკლავად, ახლა ბეკშიც გაიღვიძა – სისხლისმსმელობა და მოკვლის სიხარული მისთვის გაცილებით უფრო ბუნებრივი იყო. ბეკი მთელი ხროვის წინ გარბოდა, თავაწყვეტილი სიშმაგით მისდევდა თავის მსხვერპლს, ამ ცოცხალ ხორცს, რომ კბილები ჩაესო, წაეხრჩო და თბილ სისხლში თვალეზამდე ჩაეფლო დრუნჩი.

არსებობს ექსტაზი, რომელიც ცხოვრების მწვერვალს, სასიცოცხლო ძალების უკიდურეს დამაბვას წარმოადგენს და პარადოქსულია, რომ ეს ექსტაზი ცხოვრების შეგრძნების სისავსეა, ამავე დროს, საკუთარი თავისა და გარემოს სრული დავიწყებაა. ასეთი თავდავიწყებული აღტყინება ესტუმრება ხოლმე მხატვარ-შემოქმედს შთაგონების დროს. იგი ეუფლება მეომარს ბრძოლის ველზე და ბრძოლის ჟინით მთვრალი მეომარიც უმოწყალოდ ხოცავს მტერს. სწორედ ასეთი ექსტაზით შეპყრობილი ბეკი მიუძღოდა ძაღლების ხროვას და გამარჯვების ძველებური მგლური ყიჟინით მისდევდა მსხვერპლს, რომელიც მთვარის შუქზე გარბოდა მის წინ. ეს ექსტაზი მისივე არსების შეუცნობი წიაღიდან მომდინარეობდა და მას კვლავ დროთა სიღრმეში აბრუნებდა. სიცოცხლე დუღდა მასში, მჩქეფარე ნაკადად უვლიდა სხეულში და ყოველი კუნთი, ყოველი მარღვი უთრთოდა. ცეცხლი ედებოდა და ცხოვრების სიხარული მოძრაობად გარდაიქმნებოდა ამ გაშმაგებულ დევნაში ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, მკვდარ, სიცივისაგან გათოშილ მიწაზე.

თვით კრიტიკულ წუთებშიაც კი ყოველთვის გულგრილი და დინჯი შპიცი ხროვას გამოეყო და, კურდღლისთვის რომ გზა გადაეჭრა, გაქანდა ვიწრო ზოლად შეჭრილი ადგილისკენ, რომელსაც მდინარე გარშემო უვლიდა. ბეკმა ვერ შენიშნა ეს, მან მდინარის საქცევს შემოუარა. წინ მხოლოდ კურდღლის თეთრ აჩრდილს ხედავდა, რომელიც დროდადრო გაიელვებდა. უცბად, მეორე თეთრი აჩრდილი, პირველზე უფრო მოზრდილი, მდინარის ფლატედან პირდაპირ კურდღლის წინ გადმოხტა გზაზე. ეს შპიცი იყო. კურდღელს უკან შემობრუნება აღარ შეეძლო. შურდულივით გამოქანებულმა შპიცმა თავის მსხვერპლს კბილები ჩაასო ზურგში. კურდღელმა ისე შეჰყვირა, როგორც ადამიანი ყვირის ხოლმე წამების დროს. სიკვდილის რკინის მარწუხებში მოხვედრილის სიცოცხლისადმი ეს ღალადისი რომ შემოესმა, მთელმა ხროვამ, რომელიც ბეკს მიჰყვებოდა, სიხარულისაგან ველური ყმულილი მორთო.

მხოლოდ ბეკს არ ამოუღია ხმა. იგი არც შეჩერებულა და ისეთი ელვისებური სისწრაფით დაეძგერა შპიცს, რომ ვერც კი მოასწრო ყელში სწვდომოდა. ორივენი ძირს დაეცნენ, გადაკოტრილდნენ და თოვლის ბუქი დააყენეს. შპიცი პირველი წამოხტა, ისე სწრაფად, თითქოს არც კი წაქცეულიყო, ეცა ბეკს, მხარში უკბინა და გვერდზე გადახტა. ხაფანგის ფოლადის კბილებით ორჯერ დაიხურა მისი ყბები, მერე განზე გახტა, რომ შორიდან უფრო მარჯვედ დაძგერებოდა მტერს. დაიღრინა, ზედა ტუჩი აზიდა და კბილები გააღრჭიალა.

ბეკმა იგრძნო, რომ დადგა გადამწყვეტი მომენტი, რომ ეს შებმა სამკვდრო-სასიცოცხლო იქნებოდა. დადგა წუთი, როცა ყურებგალურსული ძაღლები ღრენით უვლიან ერთმანეთს გარს და დამაბული ელიან ხელსაყრელ წუთს თავდასასხმელად;

ბეკს უეცრად მოეჩვენა, თითქოს ყველაფერი ეს ნაცნობი იყო მისთვის, თითქოს ზუსტად ასეთი რამ უკვე მომხდარიყო ადრე: გარშემო თეთრი ტყე, მიწა, მთვარის შუქი და ბრძოლის მოლოდინი. ირგვლივ გამეფებულ თეთრ მდუმარებას რაღაც არაამქვეყნიური სიმშვიდე დაუფლებოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა, არაფერი იძვროდა, ფოთოლიც კი არ შრიალებდა, გაყინულ ჰაერში ძაღლების ამონასუნთქი ოხშივარი ადიოდა მხოლოდ.

მგლების ამ ცუდად მოშინაურებულმა შთამომავლებმა სწრაფად მოუღეს ბოლო კურდღელს და ახლა დამაბული და ჩუმი ლოდინით შემოეხვივნენ გარს მოჩხუბრებს. თვალები ანთებოდათ. დაღებული ხახებიდან ორთქლი ნელ-ნელა ადიოდა მაღლა. უძველესი დროის ეს სურათი ბეკისათვის არც ახალი იყო, არც უცნაური. ეს თითქოს ყოველთვის ასე ხდებოდა და სრულიად ბუნებრივად ეჩვენებოდა.

შპიცი გამოცდილი მებრძოლი იყო. გზაში, შპიცბერგენიდან მოყოლებული, მთელი არქტიკის, კანადისა და «მწირი მიწის» გავლისას მას არა ერთი და ორი ძალი შეხვედრია. ყველა დაუმარცხებია და დაუმორჩილებია. საშინელი გამძვინვარება იცოდა, მაგრამ გონება მუდამ ნათელი ჰქონდა. დაგლეჯისა და მოსპობის წყურვილით აგზნებული შპიცი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა, რომ მისი მოწინააღმდეგე იმავე სურვილით იყო შეპყრობილი. იგი ისე არასოდეს დაეცემოდა მტერს, რომ თავდაცვისათვისაც არ მომზადებულიყო. არასოდეს არ დაიწყებდა თავდასხმას ისე, თუ წინასწარვე არ უზრუნველყოფდა საკუთარ გამარჯვებას.

ამოდ ცდილობდა ბეკი ყელში სწვდომოდა ამ უზარმაზარ თეთრ ძაღლს. როგორც კი მისი ეშვები მოწინააღმდეგის დაუცველ ადგილს მისწვდებოდა, მაშინვე შპიცი თავის ეშვებს შეაგებებდა. ეშვი ეშვს ხვდებოდა, დრუნჩი ორთავეს დასეროდა და დასისხლიანებოდა. ბეკი კი ვერა და ვერ ახერხებდა ფხიზელი მოწინააღმდეგის მოტყუებას. იგი გაცეცხლდა და მოულოდნელი, გრიგალისებრი თავდასხმებით გააოგნა შპიცი. ისევ და ისევ უმიზნებდა თოვლივით თეთრ ყელს, რომელშიც ასე იგრძნობოდა სიცოცხლის მაჯისცემა, მაგრამ შპიცი ყოველთვის კბენდა და განზე ხტებოდა. მაშინ ბეკმა სხვა ფანდი წამოიწყო: გაიჭრებოდა წინ, თითქოს მეტოქეს ყელში უნდა სწვდესო, მაგრამ უცებ თავს უკან გადაწევდა, შეტრიალდებოდა, მხარს დააჯახებდა შპიცს და ჯიქურად ცდილობდა მის წაქცევას. მაგრამ შპიცი ასწრებდა კბილი გაეკრა მისთვის მხარში და კვლავ განზე ხტებოდა ხოლმე მსუბუქად.

შპიცი ჯერ კიდევ სრულიად უვნებელი იყო, ბეკს კი სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა და ქოშინებდა. ბრძოლა თანდათან მწვავდებოდა. მათ გარშემო მგლების მსგავსად შეჯგუფებული ძაღლები დუმილით ელოდნენ იმ წუთს, როცა ერთ-ერთი მათგანი დაეცემოდა, რომ ბოლო მოეღოთ დამარცხებულისათვის. როცა ბეკს ქოშინი აუვარდა, შპიცი თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა და სულის მოთქმას არ აცლიდა მოწინააღმდეგეს. ბეკი ფეხზე ძლივსლა იდგა. ერთხელ დაეცა კიდევ, და იმავე წუთს სამოცივე ძალი ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ ბეკი სწრაფად წამოხტა და ძაღლები ისევ გაირინდნენ მოლოდინში.

ბეკს გააჩნდა ის, რაც ადამიანსაც და მხეცსაც სიდიადეს ანიჭებს: წარმოსახვის უნარი. ბრძოლაში იგი ინსტინქტს ემორჩილებოდა, მაგრამ არც გონება წყვეტდა აზროვნებას. იგი ისე ებგერა მტერს, თითქოს წინა მანევრის გამეორება, მხრით დაჯახება სწადიაო. მაგრამ უკანასკნელ წუთს მიწაზე გაწვა და მარცხენა წინა ფეხში ჩააფრინდა კბილებით. გადატეხილმა ძვალმა ტკაცუნს გაიღო და თეთრი ძალი სამ ფეხზე აღმოჩნდა. სამჯერ სცადა ბეკმა შპიცის წაქცევა, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ იგივე ხერხი გაიმეორა და ახლა მარჯვენა წინა ფეხი გადაუღრღნა.

ტკივილისა და უმწეო მდგომარეობის მიუხედავად, შპიცი თავს ძალას ატანდა, რომ არ წაქცეულიყო. იგი ხედავდა ძაღლების მდუმარე წრეს, მათ ანთებულ თვალებს,

გადმოგდებულ ენებს და ამონასუნთქ ვერცხლისფერ ოხშივარს, რომელიც მაღლა მიიწევდა. წრე სულ უფრო მჭიდროდ იკვროდა მის ირგვლივ, მას კი არაერთხელ უნახავს, როგორ ვიწროვდებოდა ეს წრე დამარცხებულის გარშემო. ამჯერად დამარცხებული თვითონ იყო.

მისი ბედი უკვე გადაწყდა, ბეკი ულმოხელი იყო. ლმოხიერება უფრო რბილ ჰავას შეეფერებოდა. იგი საბოლოო დარტყმისათვის ემზადებოდა. ძაღლებმა ისე ახლოს მიიწიეს, რომ ბეკი უკვე საკუთარ ფერდებზე გძრნობდა მათ სუნთქვას. შპიცის ზურგს უკან და აქეთ-იქით იგი ხედავდა მიწაზე გაწოლილ, ნახტომისათვის გამზადებულ არსებებს, თვალებს, რომლებიც ხარბად მისჩერებოდნენ მას. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ძაღლები ერთ ადგილას გაირინდნენ, თითქოს გაქვავდნენო. მხოლოდ შპიცი კანკალებდა და ბარბაცებდა ბალანაშლილი. იგი მძვინვარედ ღმუოდა, თითქოს უნდოდა დაეშინებინა მოახლოებული სიკვდილი. მაგრამ, აი, ბეკი კვლავ დაემგერა მას და იმწამსვე უკან გადახტა. დაძგერებამ ამჯერად უქმად არ ჩაიარა.

მთვარით განათებულ თოვლზე ძაღლების მუქი წრე ერთ წერტილად შეიკრა და შპიცი გაუჩინარდა. ბეკი კი იდგა გამარჯვებული და ამაყად იყურებოდა. ეს იყო პირველყოფილი მოზეიმე მხეცი, რომელმაც მოკლა და ახლა ტკბებოდა თავისი ნამოქმედარით.

#### IV

### ვინ გაიმარჯვა პირველობისათვის ბრძოლაში

\_ აჰა, რა გითხარი? განა მართალი არ ვიყავი, როცა ვამბობდი, ბეკში ორი ეშმაკი ზის-მეთქი?

ასე ლაპარაკობდა ფრანსუა მეორე დილით, როცა ნახა, რომ შპიცი სადღაც გაქრა, ხოლო ბეკი მთლად დაგლეჯილი იყო. მან ცეცხლთან მიათრია ბეკი და ცეცხლის შუქზე უჩვენა პეროს მისი ჭრილობები.

\_ ეს შპიცი ველური მხეცივით იბრძვის, \_ თქვა პერომ, როცა ბეკის პირდაღებული ჭრილობები და ნაკბენები გასინჯა.

\_ ბეკს კი ორი მხეცისოდენა ღონე აქვს! \_ მიუგო ფრანსუამ, \_ ახლა საქმე კარგად წავა. შპიცი აღარ იქნება და ჩხუბსაც ბოლო მოეღება.

სანამ პერო მარხილში აწყობდა ბარგი-ბარხანას, ფრანსუა თასმებს უკეთებდა ძაღლებს. ბეკი მივიდა წინამძღოლის ადგილას, სადაც შპიცს აყენებდნენ ხოლმე. ფრანსუამ ყურადღება არ მიაქცია მას და ამ სასურველ ადგილას სოლეკსი მიიყვანა. წინამძღოლის ამდგილზე ფრანსუას ყველაზე შესაფერისად სოლეკსი მიაჩნდა. მაგრამ ბეკი გაშმაგებით ეცა სოლეკსს, გააგდო იგი და თვითონ დაიკავა მეთაურის ადგილი.

\_ ეჰე! \_ წამოიძახა ფრანსუამ და აღფრთოვანებით შემოიკრა თეძოზე ხელი. \_ ერთი ამას უყურე! შპიცი დაგლიჯა და ახლა წინამძღოლობა უნდა! მომშორდი, შე ყაჩაღო! \_ დაუყვირა მან, მაგრამ ბეკი ადგილიდან არ დაიძრა.

ფრანსუამ კისერში წაავლო ხელი და, თუმცა ბეკმა მრისხანედ შეუღრინა, მაინც განზე გაიყვანა, წინამძღოლის ადგილას კი ისევ სოლეკსი დააყენა. ბებერ ძაღლს არ მოეწონა ეს: ეტყობოდა, ეშინოდა ბეკისა. ფრანსუა ჯიუტი იყო და თავისი უნდოდა გაეტანა, მაგრამ როგორც კი მიბრუნდა, ბეკმა ისევ გააგდო სოლეკსი, და ისიც სიხარულით გაეცალა.

ახლა კი გაბრაზდა ფრანსუა.

\_ მე შენ გიჩვენებ სეირს! \_ დაუყვია მან, გაიქცა და მალე ხელკეტით დაბრუნდა.

ბეკს გაახსენდა წითელსვიტერიანი კაცი და ნელ-ნელა დაიხია უკან. აღარ უცდია სოლეკსის გაგდება, როდესაც ეს უკანასკნელი კვლავ წინამძღოლის ადგილას დააყენეს. მაგრამ ბეკი იქვე შორიანხლოს ტრიალებდა, რომ ხელკეტით ვერ მისწვდომოდნენ. ბრაზიანი და ნაწყენი იღრინებოდა, თვალს არ აცილებდა ხელკეტს, რომ მოესწრო გაქცევა, თუკი ფრანსუა მოუქნევდა. მან უკვე გამოცდილებით იცოდა, როგორ მოქმედებდა ეს იარაღი.

ფრანსუამ თავისი საქმე განაგრძო და ბეკს მხოლოდ მაშინ დაუძახა, როცა ჯერი მასზე მიდგა. უნდოდა ძველ ადგილას შეება იგი, დეივის წინ. ბეკმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. ფრანსუა მისკენ წავიდა, მაგრამ ძალი უფრო შორს გაიქცა. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ფრანსუამ გადააგდო ხელკეტი, იფიქრა, ბეკს ამის ეშინიაო. მაგრამ საქმე ეს როდი იყო! ბეკი აშკარად აჯანყდა \_ იგი წინამძღოლის ადგილს მოითხოვდა! წესით ეკუთვნოდა კიდეც, ბეკმა დაიმსახურა იგი და უფრო ნაკლებზე თანახმა აღარ იყო.

საქმეში პერო ჩაერია. მთელი საათი უშედეგოდ სდიეს ბეკს. ჯოხებს ესროდნენ, მაგრამ ბეკი ახერხებდა მათ აცდენას. ისინი წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ ბეკს, მის მშობლებსა და წინაპრებს, მის ჯერ კიდევ არარსებულ შთამომავლობას, ყოველ ბალანს მის სხეულზე და ყოველ წვეთ სისხლს, რომელიც სცემდა მის ძარღვებში. ბეკი წყევლაზე ღრენით და ყმუილით აძლევდა პასუხს და ახლოს არავის არ იკარებდა. იგი არ ცდილობდა გაქცევას, მაგრამ კარვის ახლომახლო ტრიალებდა და აშკარად აგრძნობინებდა ადამიანებს, რომ თუ მის სურვილს დააკმაყოფილებდნენ, იგი მოვიდოდა და კვლავ დამჯერი გახდებოდა.

ბოლოს ფრანსუა თოვლზე დაჯდა და კეფა მოიფხანა. პერომ საათს დახედა და შეიკურთხა. დრო გადიოდა. ერთი საათის წინ უნდა გასდგომოდნენ გზას. ფრანსუამ ისევ მოიფხანა კეფა, თავი გაიქნია და დარცხვენით გაუღიმა პეროს. პასუხად შიკრიკმა მხრები აიჩჩა, თითქოს გამოტყდა, დამარცხებულები ვართო. მაშინ ფრანსუა სოლეკსთან მივიდა და ბეკი მოიხმო. ბეკმა ჩაიცინა თავისებურად, ძალღურად, მაგრამ ჯერ კიდევ გარკვეული მანძილის დაშორებით იდგა. ფრანსუამ გამოხსნა შებმული სოლეკსი და ძველ ადგილას დააბრუნა. მარხილის მთელი შემადგენლობა უკვე დაეწყო და მზად იყო გასამგზავრებლად. ბეკისათვის ახლა უკვე, წინამძღოლის გარდა, სხვა ადგილი აღარ დარჩა. ერთხელ კიდევ მოიხმო ფრანსუამ ბეკი, ბეკმაც კვლავ ჩაიცინა, მაგრამ ადგილიდან მაინც არ დაძრულა.

\_ ხელკეტი გადააგდე, \_ გასძახა პერომ.

ფრანსუა დაემორჩილა. მხოლოდ მაშინ მივიდა ბეკი გამარჯვებულის იერით და მთელი შებმა ძაღლების სათავეში ჩადგა. ბეკს ღვედები ჩამოაცვეს, მიყინული მარხილი ადგილიდან დაძრეს და მდინარის ზედაპირზე გააქროლეს. კაცები თხილამურებით მისდევდნენ გვერდით.

ფრანსუა ადრეც კარგი წარმოდგენისა იყო ბეკზე და ამტკიცებდა, მასში ორი ეშმაკი ზისო, მაგრამ ერთი დღეც არ იყო გასული, რომ დარწმუნდა, მაინც საკმარისად ვერ ვაფასებდიო ამ ძაღლს. ბეკმა ერთბაშად შეიფერა წინამძღოლობა. საზრიანობით, სისწრაფითა და გამბედაობით იგი შპიცსაც აღემატებოდა, ამ საუკეთესო წინამძღოლს, რომელიც კი ოდესმე ენახა ფრანსუას.

მაგრამ უფრო განსაცვიფრებელი იყო ბეკის უნარი თავისი ნება-სურვილისათვის დაემორჩილებინა ყველა. მან ყველა ძალი აიძულა, შეესრულებინა მისი მოთხოვნები. დეივი და სოლეკსი არ ერჩოდნენ ახალ წინამძღოლს, ან რა საქმე ჰქონდათ მასთან. მათი საქმე მხოლოდ შრომა იყო, მძიმე შრომა, მარხილის ზიდვა დაუსრულებლად. და სანამ

არავინ უშლიდათ, ყველაფერზე თანახმანი იყვნენ, თუგინდ ბილი დაეყენებინათ წინამძღოლად, ოღონდ კი წესრიგი დაემყარებინა! მაგრამ დანარჩენმა ძაღლებმა ბოლო დროს შპიცთან თავი აიშვეს და ახლა გაკვირვებულები იყვნენ იმ სიმკაცრით, რომლითაც ბეკი მოუწოდებდა წესრიგისაკენ.

პაიკი, რომელიც საერთოდ ბეკის უკან ება, წინათ მარხილს მხოლოდ იმოდენა ძალით ეწეოდა, რაც აუცილებელი იყო, ახლა კი წინამძღოლი ხშირ-ხშირად უზიბებდა სიზარმაცისათვის და პაიკიც პირველი დღიდანვე ისე გულმოდგინედ შრომობდა, როგორც არასდროს თავის სიცოცხლეში. ჯო პირველსავე საღამოს დაისაჯა სადგომზე, თვით შპიციც კი ვერ ახერხებდა ამას. ბეკმა ქვეშ ამოიღო ჯო და მანამდე ჯიჯგნა, სანამ ჯომ თავი არ დაანება ღრენას, წკმუტუნი არ დაიწყო და შეწყნარება არ ითხოვა.

მარხილის მთელმა შემადგენლობამ ერთბაშად უკეთ დაიწყო მუშაობა. აღდგა უწინდელი შეთანხმებული მოძრაობა და ყველა ძაღლი თავ-თავის ადგილას ისე მირბოდა, თითქოს მარხილს ერთი ძაღლი ეწევო. რინკ რეპიდის მისადგომებთან პერომ კიდევ ორი ძაღლი – კანადის დოგი – იყიდა: ტიკი და კუნა. ბეკმა ისინი ისე მალე გამოწვრთნა, რომ ფრანსუამ პირი დაადო განცვიფრებისაგან.

– სანთლით ვერ იპოვი ასეთ ძაღლს, როგორც ბეკია! – გაიძახოდა იგი, – ღმერთმანი, ასეთში ათასი დოლარიც ალალია. რას იტყვი, პერო?

პერო ეთანხმებოდა. მან ამ დროისათვის სიჩქარის რეკორდი გააუმჯობესა და დღითი დღე კიდევ უფრო უმატებდა. გზა კარგი იყო, მაგარი, კარგად დატკეპნილი, ფაფუკი, რბილი თოვლით როდი იყო დაფარული, რომელიც ასე აძნელებს ხოლმე მგზავრობას. თანაც არც ისე ძალიან ციოდა. ტემპერატურა მინუს ორმოცდაათ გრადუსამდე დაეცა და ამ დონეზე გაჩერდა. პერო და ფრანსუა მორიგეობით ხან მარხილზე ისხდნენ, ხან თხილამურებით მისდევდნენ მას გვერდით, ძაღლები კი მთელი სისწრაფით მიჰროდნენ და იშვიათად თუ დაისვენებდნენ.

ოცდაათმილიანი მდინარის ზედაპირი ყინულის უკვე საკმაოდ სქელი ფენით დაიფარა. მათ ერთ დღეში დაფარეს ის მანძილი, რომელსაც დოუსონისკენ მიმავლებმა ათი დღე მოანდომეს. შემდეგ შეუსვენებლად გაირბინეს სამოცი მილი ლე-ბარჟის ტბიდან «თეთრი ცხენის» მისადგომებამდე. მარშის, ტაგიშისა და ბენეტის ტბებზე სამოცდაათი მილი დაფარეს. ძაღლები ისეთი სისწრაფით მიჰქროდნენ, რომ, ფრანსუა და პერო, თუ თხილამურებით მიჰყვებოდნენ, იძულებული ხდებოდნენ მარხილს გამობმულ თოკს ჩაბლაუჭებოდნენ. დაბოლოს, მეორე კვირის უკანასკნელ საღამოს მათ გადალახეს თეთრი უღელტეხილი და ზღვისკენ დაემხვენ, იქ, სადაც სკაგუეის და ნავსადგურში მიბმული გემების შუქ-სინათლეები ციმციმებდა.

ეს იყო რეკორდული გადარბენა. ორი კვირის მანძილზე დღეში საშუალოდ ორმოც მილს გადიოდნენ. მთელი სამი დღის განმავლობაში ფრანსუა და პერო ამაყად გაჭიმულები დასეირნობდნენ სკაგუეის მთავარ ქუჩაზე. მათ ყოველი მხრიდან ეპატიჟებოდნენ დასალევად, მათი მარხილის ირგვლივ კი ძაღლების მცოდნეთა და შემსყიდველთა აღფრთოვანებული ბრბო იყრიდა თავს. მაგრამ მალე დასავლეთიდან ჩამოსული სამი თუ ოთხი ბანდიტი შეეცადა ქალაქის გამარცვას, რისთვისაც ისე დაცხრილეს ტყვიებით, რომ საპილპილეს დაამსგავსეს. და ხალხიც ახალი სენსაციით გაერთო. ამასობაში პერომ ოფიციალური განკარგულება მიიღო. როცა ფრანსუამ შეიტყო ეს, ბეკს მოუხმო, კისერზე ხელები შემოხვია და ატირდა. ფრანსუა და პერო ბეკს ეთხოვებოდნენ. როგორც ადრე სხვა ადამიანები, ისინიც სამუდამოდ გაქრნენ ბეკის ცხოვრებიდან.

ბეკი და სხვა ძაღლები გადასცეს ვიღაც ნარევი სისხლის შოტლანდიელს და თორმეტიოდე მარხილის სხვა ძაღლებთან ერთად ისინი კვლავ გაუდგნენ მომქანცველ

გზას დოუსონისკენ. ახლა უკვე მსუბუქად დატვირთულები როდი მიდიოდნენ, არც რეკორდებისთვის ეცალათ. არა, ისინი ახლა დღენიადაგ შეუსვენებლივ შრომობდნენ, მიიმედ დატვირთულ მარხილებს ეწეოდნენ. ეს იყო საფოსტო ალალი, რომელსაც ქვეყნის ყველა კუთხიდან მიჰქონდა ამბავი იმ ადამიანებთან, რომლებიც ოქროს ჩრდილოეთ პოლუსის მისადგომებთან ეძებდნენ.

ბეკს ეს არ მოსწონდა, მაგრამ მაინც ენერგიულად ეწეოდა ჭაპანს იმ პროფესიული სიამაყის გამო, რომელიც ალაფროვანებდა დეივსა და სოლევს, და თვალყურს ადევნებდა, რომ ყველა მის ამხანაგს, ამაცობდნენ ისინი თავიანთი სამუშაოთი თუ არა, პირნათლად შეესრულებინა დაკისრებული მოვალეობა. ცხოვრება მომართული მანქანასავით ერთფეროვნად მიედინებოდა. ერთი დღე მეორეს ჰგავდა. ყოველ დილით, განკუთვნილ დროს, მზარეულები თავის საქმეს იწყებდნენ, აჩალებდნენ ცეცხლს და ამზადებდნენ საუზმეს, შემდეგ ზოგი მარხილზე ტვირთავდა კარვებსა და დანარჩენ ბარგს, ზოგიც ძაღლებს აბამდა მარხილში. გზას ერთი საათით ადრე გაუდგებოდნენ ხოლმე, ვიდრე ღამის სინათლე ჩამუქდებოდა, რაც განთიადის მოახლოებას იუწყებოდა. სადამოობით ისვენებდნენ. ზოგი კარვებს შლიდა, ზოგი შეშას აპობდა და ამტვრევდა ნამვის ტოტებს მიწაზე დასაფენად, ზოგს კიდევ წყალი ან ყინული მოჰქონდა მზარეულებისათვის, აჭმევდა ძაღლებს. ბეკისა და მისი ამხანაგებისათვის ეს ყველაზე უფრო სასიხარულო წუთები იყო. თუმცა მერეც არა უშავდა, როცა თავის ულუფა თევზს შეჭამდნენ და უსაქმოდ დაეხეტებოდნენ ერთი ან ორი საათის განმავლობაში სხვა ძაღლებს შორის, რომელთა რიცხვი აქ ასს აღემატებოდა. მათ შორის საშიში მოჩხუბრებიც ერივნენ, მაგრამ ერთი სამიოდ შეჯახების შემდეგ ყველაზე უფრო მძვინვარე ძაღლებთან ბეკის ავტორიტეტი საყოველთაოდ აღიარეს და საკმარისი იყო, კბილები გაეხრჭიალებინა და ბალანი აშლოდა, რომ ყველანი შიშით აქცევდნენ ზურგს.

ბეკს ყველაზე მეტად მაინც ცეცხლის პირას წოლა უყვარდა. შემოიკეცავდა უკანა ფეხებს, წინა თათებს გაჭიმავდა და თავაწეული, დაფიქრებით შესცქეროდა ცეცხლს. ასეთ წუთებში ხანდახან აგონდებოდა მოსამართლე მილერის დიდი სახლი სანტა-კლარას მზიურ ველზე, ცემენტის აუზი, სადაც იგი ბანაობდა, მექსიკური უბალნო იზაბელა და იაპონური მოჰსი – ტუტსი. მაგრამ უფრო ხშირად ბეკი წითელსვიტერიან კაცზე, კერლის სიკვდილზე, შპიცთან დიად ბრძოლაზე და იმ გემრიელ საჭმელებზე ფიქრობდა, ოდესმე რომ უჭამია ან უნდოდა ეჭამა. ბეკი არ ნაღვლობდა სამშობლოზე. მზიური ქვეყანა მისთვის შორეულ და ბუნდოვან მოგონებად იქცა და უკვე აღარ აღელვებდა. ახლა მას შორეულ წინაპართა დროის მოგონებები დაეუფლა, რომლის მეოხებითაც ის, რაც წინათ მისთვის უცნობი იყო, ახლა კარგად ნაცნობი გახდა. ადრე მიძინებული ინსტინქტები (რომლებიც ასევე წინაპართა ცხოვრების გამოძახილი იყო) ახლა კვლავ აღდგნენ და ძლიერად ამოძრავდნენ.

დროდადრო, როცა ასე იწვა და მილულული თვალებით შესცქეროდა ცეცხლის ალს, ბეკს ეჩვენებოდა, თითქოს ალი სხვა კოცონისა იყო, რომლის პირასაც იგი ოდესღაც თბებოდა და თავის ახლოს ხედავდა არა მეტის-მზარეულს, არამედ სულ სხვა ადამიანს. იმ სხვას ფეხები უფრო მოკლე ჰქონდა, ხელები კი – უფრო გრძელი, კუნთები – დაკვანძული თოკის მსგავსი და არა ასე გლუვი და ქონმოდებული, თმა – უფრო გრძელი და აბურმგნული, თავის ქალა – თხემიდან თვალებისაკენ დაქანებული. ეს ადამიანი უცნაურ ბგერებს გამოსცემდა და, ეტყობოდა, ძალზე ეშინოდა სიბნელისა, რადგან წამდაუწუმ აკვირდებოდა მას და ხელს უჭერდა ბოლოში ქვაგამობმულ ჯოხს, რომელიც მუხლს ქვემოთ დასთრევდა. იგი თითქმის შიშველი იყო. მხოლოდ ზურგზე ჰქონდა მოგდებული დახეული და ცეცხლისაგან დახრუკული ტყავი. მაგრამ სხეული ბალნით ჰქონდა შემოსილი: მკერდი, ბეჭები, მკლავები და ბარძაყები ხშირ ბალანს

დაეფარა. იგი გამართული როდი იდგა, წინწახრილი და მუხლებში მოღუნული დადიოდა. სხეული საოცრად მოქნილი ჰქონდა, კატასავით მოქნილი და დამაბული, ისეთი, როგორც იმათა აქვთ, ვინც ერთთავად ძრწოლას განიცდის უჩინარი თუ აშკარა საშიშროების წინაშე.

ეს ბალნიანი ადამიანი ხანდახან ცეცხლის პირას ჩაცუცქული თვლემდა. თავი ჩაექინდრა, იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, ხელები კი თავზე შემოეწყო, გეგონებოდათ, წვიმისაგან იფარავსო. ცეცხლს იქით კი, შორს, სიბნელეში, ანათებდა უამრავი წყვილ-წყვილი გავარვარებული ნაკვერჩხალი და ბეკმა იცოდა, რომ ეს მტაცებელ ცხოველთა თვალები იყო. მას ესმოდა, როგორ გაუდიოდა ლაწა-ლუწი ბუჩქებს, რომლებშიც ისინი გზას მიიკვლევდნენ, ესმოდა ყოველი ჩქამი, რაც მათ მოახლოებას იუწყებოდა. და როცა იუკონის ნაპირას გაწოლილი ბეკი ზანტად შეჰყურებდა ცეცხლს და ზმანებებს ეძლეოდა, იმ მეორე, უცნობი სამყაროს ეს ხმები და ხილვანი იმდენად უკარგავდა მოსვენებას, რომ ბალანი ყალყზე უდგებოდა, ჩუმად წკმუტუნებდა, ან ყრუდ იღრინებოდა. მაშინ მზარეული მეტისი აფხიზლებდა: «ჰეი, ბეკ, გაიღვიძე!» – და ზმანებანი სადღაც ქრებოდა, თვალწინ ისევ რეალური სამყარო წარმოუდგებოდა და ბეკიც, თითქოს მართლა ახლა გამოიღვიძაო, მთქნარებითა და ზმორებით წამოდგებოდა.

გზა ძნელი იყო, ტვირთი – მძიმე, სამუშაო ქანცს აცლიდა ძაღლებს. გაილახნენ, საცოდავად გამოიყურებოდნენ. როგორც იქნა, დოუსონს მიაღწიეს. ათი დღის ან ერთი კვირის დასვენება მაინც სჭირდებოდათ. მაგრამ უკვე ორი დღის შემდეგ წერილებით დატვირთულნი კვლავ დაემზნენ «ყაზარმიდან» იუკონის ყინულზე. ძაღლები მოიქანცნენ, მძლოლები ბუზღუნებდნენ, ყოველივე ამას ზედ ერთვოდა თოვლი, რომელიც განუწყვეტლივ მოდიოდა. ამ რბილი, ფაფუკი, გაუტკეპნელი თოვლით მოფენილ გზაზე სიარული ჭირდა, უფრო მეტად იხეხებოდა მარხილის კავები და ძაღლებსაც უფრო უძნელდებოდათ ტვირთის ზიდვა. მაგრამ ადამიანები კარგად უმკლავდებოდნენ ყოველგვარ სიძნელეს და გულმოდგინედ უვლიდნენ ძაღლებს.

ყოველ საღამოს, დაბანაკებისას, მარხილების მძლოლები, უპირველეს ყოვლისა, ძაღლებს მიხედავდნენ ხოლმე. ძაღლები ადამიანებზე ადრე ვახშობდნენ და არც ერთი კაცი ისე არ ჩამძვრებოდა თავის საძილე ტომარაში, თუ ყველა თათს არ გაუსინჯავდა ძაღლებს. ძაღლებს მაინც ელეოდათ ძალ-ღონე. ზამთრის დადგომიდან უკვე ათას რვაასი მილი გაიარეს და ამ მომქანცველსა და ძნელ გზაზე თან მიაქროლებდნენ მძიმედ დატვირთულ მარხილებს. ათას რვაასი მილი კი ყველაზე უფრო მაგარ და გამძლე ძაღლსაც გასტეხს. ბეკი ჯერჯერობით არ ყრიდა ფარ-ხმალს, ამუშავებდა სხვებსაც და წესრიგს იცავდა თავისი მარხილის ძაღლებში, მაგრამ ისიც ძალზე გადაღლილი იყო. ბილი მთელი ღამეები იღრინებოდა და ძილში კვნესოდა, ჯო აღრენილი და მოღუშული დადიოდა, სოლეკსთან კი საშიში იყო ახლოს მისვლა არა მარტო ბრმა, არამედ ჯანსაღი თვალის მხრიდანაც კი.

მაგრამ ყველაზე მეტად დეივი დაიტანჯა. უცნაური რამ ემართებოდა. საშინლად ნერვული და მიუკარებელი გახდა. როგორც კი დასასვენებლად შეჩერდებოდნენ, დეივი მაშინვე ორმოს ამოთხრიდა და შიგ ჩამძვრებოდა – მარეკს იქ მიჰქონდა მისთვის საჭმელი. როგორც კი მარხილიდან გამოხსნიდნენ, დილამდე, სანამ ისევ შებმის დრო არ დადგებოდა, დეივი ორმოში იწვა გაუნძრევლად. ხანდახან გზაში, როცა ერთბაშად გაჩერებული მარხილის მაგარი ბიძგი დეივს უკან დასწევდა ან დაიძაბებოდა, რომ მძიმე მარხილი ადგილიდან დაემრა, იგი საცოდავად კვნესოდა. მარეკმა არაერთხელ გასინჯა დეივი, მაგრამ ვერაფერი გაუგო. ბოლოს ყველა მარეკი დაინტერესდა. მსჯელობდნენ ამაზე საუზმობის დროს და ძილის წინ, როცა ჩიბუხს აბოლებდნენ. ერთ საღამოს

ნამდვილი კონსილიუმი მოაწყვეს. დეივი ცეცხლთან მიიყვანეს და ისე გულმოდგინედ გასინჯეს და მოუსრისეს ყველაფერი, რომ რამდენჯერმე აყმუვლდა ტკივილისაგან. ძვლის გადატეხილობა არ აღმოჩნდა და ვერც ვერაფერი გამოარკვიეს. დეივს ალბათ შიგნეული აწუხებდა.

იმ დროისათვის, როცა მათ კასიარის მეჩქეს მიაღწიეს, დეივი იმდენად დასუსტებული იყო, რომ წამდაუწუმ ძირს ეცემოდა. შოტლანდიელმა ნიშანი მისცა, გაჩერდითო, დეივი გამოხსნა და მის მაგივრად შუაში ახლო მდგარი სოლეკსი დააყენა. ფიქრობდა შეესვენებინა დეივი, საშუალება მიეცა ცოტა ხანს თავისუფლად გაჰყოლოდა მარხილს. მაგრამ დეივს, მიუხედავად სისუსტისა, არ უნდოდა შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ იგი თავისი ადგილიდან გაათავისუფლეს. როდესაც თასმებს ხსნიდნენ, იღრინებოდა და ყმუოდა, ხოლო როცა მის ადგილზე, რომელიც მას ამდენ ხანს ეკავა, სოლეკსი დაინახა, შესაბრალისად შეჰყურებდა. მისი თავმოყვარეობა შელახული იყო და სასიკვდილოდ განწირული დეივი ყოველნაირად გამოხატავდა პროტესტს.

როცა მარხილები დაიძრა, დეივი გვერდით მიჰყვა. დროდადრო ფაფუკ თოვლში ეფლობოდა, ყოველ წუთს ცდილობდა კბილი გაეკრა სოლეკსისათვის, ხან კიდევ მივარდებოდა და მისი წაქცევა, გაკვალული გზიდან თოვლში გადაგდება უნდოდა. რამდენჯერმე დააპირა მარხილსა და სოლეკსს შორის ჩადგომა. გაუთავებლად წკმუტუნებდა და ყეფდა ტკივილისა და წყენისაგან. შოტლანდიელი ცდილობდა, შოლტით მოემორებინა იგი, მაგრამ დეივი ყურადღებას არ აქცევდა მწველ დარტყმებს. შოტლანდიელს კი სინდისი ნებას არ აძლევდა, უფრო მაგრად გადაეჭირა შოლტი. დეივს არ უნდოდა მშვიდად მიჰყოლოდა მარხილის უკან გაკვალულ გზას, სადაც ადვილი იყო სირბილი და წამდაუწუმ ფაფუკ თოვლში ეფლობოდა. მალე მთლად გამოეცალა ძალა და დაეცა, ადგილიდან ვეღარ დაიძრა. ნაღვლიანი წკმუტუნით აცილებდა მარხილების გრძელ მწკრივს, რომელიც მის გვერდით მიჰქროდა.

დეივმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და რის ვაი-ვაგლახით მიჰყვა უკან მარხილებს, სანამ ისინი შესასვენებლად არ გაჩერდნენ. გაჭირვებით მიათრია სხეული თავის ძველ ადგილამდე და სოლეკსის გვერდით გაჩერდა. ძაღლების მარეკი მეზობელი მარხილისაკენ წავიდა ჩიბუხის მოსაკიდებლად. მალე უკანვე დაბრუნდა და წასვლის ნიშანი მისცა. ძაღლები საოცრად მსუბუქად, ძალ-ღონის დაუძაბავად დაიძრნენ. უეცრად ყველამ შემფოთებით მოაბრუნა უკან თავი და გაკვირვებული გაჩერდა. მარეკიც სახტად დარჩა. მარხილი ადგილიდან არ დაიძრა. ამხანაგებს გასძახა, უნდოდა მათაც ენახათ ეს საოცრება: დეივს გადაელრღნა სოლეკსის ორივე თასმა და ახლა თვითონ იდგა მარხილის წინ თავის ძველ ადგილას.

დეივი მუდარით შეჰყურებდა, არ გამაგდოთო. მარეკი საგონებელში ჩავარდა. ამხანაგებმა საუბარი ჩამოუგდეს იმაზე, თუ როგორ განიცდიდნენ ძაღლები მარხილიდან გაძევებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მძიმე სამუშაო სიცოცხლის ფასად უღირდათ. ისეთი შემთხვევებიც მოიგონეს, როცა სიბერისა და ავადმყოფობის გამო მარხილიდან გაძევებული ძაღლები დარდს გადაჰყვებოდნენ ხოლმე. საბოლოოდ ასე გადაწყვიტეს, რაკილა დეივი მაინც განწირული იყო, შეეცოდებინათ და საშუალება მიეცათ მშვიდად მომკვდარიყო თავის ადგილას, მარხილთან. დეივი კვლავ შეაბეს მარხილში. მან წინანდელი სიამაყით გასწია წინ, თუმცა დროდადრო შინაგანი ტკივილისაგან უნებლიე კვნესა აღმოხდებოდა ხოლმე. რამდენჯერმე დაეცა კიდევ და სხვა ძაღლები თასმებში გაბმულს მიათრევდნენ. ერთხელ კი მარხილი დაეჯახა და უკანა ფეხით კოჭლობა დაიწყო.

მაინც ცდილობდა ყოჩაღად ყოფილიყო, სანამ შესასვენებლად არ გაჩერდნენ. მარეკმა ცეცხლთან მიუჩინა ადგილი. დილის პირს საცოდავი ისე დასუსტდა, სიარული ვეღარ

შემლო. როცა შებმის დრო მოვიდა, ძლივს მილასლასდა მარეკთან. მაგრამ ისევ დაეცა. შემდეგ მუცლით მიბობლდა იმ ადგილას, სადაც მის ამხანაგებს თასმებს უკეთებდნენ. იშვერდა წინა ფეხებს და ოდნავი ბიძგით ახერხებდა ერთი-ორი დუიმით სხეულის გადათრევას, შემდეგ ისევ იგივეს იმეორებდა. მაგრამ ძალ-ღონემ მალე უმტყუნა. მიმავალი ძაღლები ხედავდნენ, როგორ იწვა დეივი თოვლზე, მძიმედ სუნთქავდა და სევდიანი თვალებით აცილებდა მათ. მისი სასოწარკვეთილი ყმული მანამდე ესმოდათ, სანამ სანაპირო ტყეს არ მიეფარნენ.

ტყის იქით მარხილების ქარავანი შეჩერდა. შოტლანდიელი ნელი ნაბიჯით გაემართა ახლად დატოვებული სადგომისაკენ. ადამიანებმა ლაპარაკი შეწყვიტეს. გაისმა დამბაჩის გასროლა. შოტლანდიელი სწრაფად დაბრუნდა უკან. გაიშხულია შოლტმა, მხიარულად აწკრილდნენ ზანზალაკები და მარხილი დაიძრა. მაგრამ ბეკმა იცოდა, ყველა ძაღლმა იცოდა, რაც მოხდა იქ – სანაპირო ტყის გადაღმა.

## V

### ჯაფისა და მგზავრობის სიძნელები

დოუსონიდან წასვლის ოცდაათი დღის შემდეგ «მლაშე წყლების» საფოსტო მარხილების ქარავანი ბეკის მეთაურობით სკაგუეში ჩავიდა. ძაღლები საშინლად გაწამდნენ და ღონე გამოელიათ. ბეკი უკვე ას ორმოცს კი არა, ას თხუთმეტ გირვანქასდა იწონიდა. ნაკლები წონის ძაღლები ბეკზე უფრო მეტად გაილახნენ. სიმულიანტი პაიკი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მარჯვენდ ატყუებდა მარეკებს, ახლა უკვე მოჩვენებით კი არა, ნამდვილად კოჭლობდა. სოლეკსიც დაკოჭლდა, დაბს კი ნალრძობი ჰქონდა ბეჭი და ძალიან იტანჯებოდა.

თათები ყველას საშინლად სტკიოდა. მათ ფეხებს დაეკარგათ უწინდელი სიმტკიცე, სიმკვირცხლე და ისე მძიმედ აბიჯებდნენ, რომ მთელი სხეული ერყეოდათ და ძაღლებიც ორჯერ უფრო მეტად იღლებოდნენ. ყველაფერი ამ საშინელი დაღლილობის ბრალი იყო. ეს არ იყო ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი დამაბულობის დაღლილობა, რომელიც ორ-სამ საათში ქრება. ეს დაღლილობა ენერგიის თანდათანობითი და ხანგრძლივი გამოფიტვისა და მრავალი თვის მანძილზე შრომის შედეგად ჩნდება. ძაღლებს ენერგიის არავითარი მარაგი და მისი აღდგენის აღარავითარი უნარი აღარ შერჩათ. უკანასკნელი ძალ-ღონის ნატამალი დახარჯული იყო, სხეულის ყოველი კუნთი, ყოველი ძარღვი, ყოველი უჯრედი – უზომოდ დაღლილი. არც გასაკვირია, ხუთ თვეზე უფრო ნაკლებ დროში გაირბინეს ძაღლებმა ორნახევარი ათასი მილი, ხოლო უკანასკნელი ათას რვაასი მილის მანძილზე მხოლოდ ხუთი დღე დაისვენეს. როცა მარხილების ქარავანი სკაგუეში მივიდა, ძაღლები ფეხზე ძლივსდა იდგნენ. გაჭირვებით ეწეოდნენ ღვედებს, ხოლო დაღმართში ძალის უზომოდ დამაბუა უხდებოდათ, რომ მარხილი არ დასჯახებოდათ.

– აბა, აბა, თავს ძალა დაატანეთ, ჩემო საბრალო ხეიბრებო! – ამხნეებდა მათ მარეკი, როცა ისინი სკაგუეის მთავარ ქუჩაზე მილასლასებდნენ. – საცაა მივალთ, მალე დავისვენებთ, როგორც საჭიროა. ჰო, ჰო, დიდხანს დავისვენებთ!

მარეკები დარწმუნებული იყვნენ, რომ შესვენება ხანგრძლივი იქნებოდა. მათაც ხომ ათას ორასი მილი გაიარეს თხილამურებით, მთელი გზის განმავლობაში მხოლოდ ორი დღე დაისვენეს და ლოგიკურად იყო და სამართლიანად, რომ ხანგრძლივად დაესვენათ. მაგრამ კლონდაიკში მსოფლიოს ყველა კუთხიდან იმდენი მამაკაცი ჩამოვიდა, ხოლო

სამშობლოში მათ იმდენი შეყვარებული, კანონიერი მეუღლე და ნათესავი დარჩათ, რომ წერილთა გროვები ალპების სიმაღლეს აღწევდა. იგზავნებოდა აგრეთვე მმართველობის ყოველგვარი განკარგულებები.

და, აი, ნაბრძანები იყო უვარგისი ძაღლები ახლებით შეეცვალათ და ისევ გასდგომოდნენ გზას. მწყობრიდან გამოსული ძაღლები კი როგორმე უნდა გაესაღებინათ, და რადგან დოლარები, როგორც ცნობილია, გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე ძაღლები, ამ უკანასკნელებს სასწრაფოდ ჰყიდდნენ...

მხოლოდ სამი დღე დაისვენეს მათ სკაგუეში და ამ სამ დღეში იგრძნეს ბეკმა და მისმა ამხანაგებმა, როგორ დაიღალნენ და დაუძლურდნენ. მეოთხე დილას მოვიდა ორი ამერიკელი შტატებიდან და ჩალის ფასად იყიდა ისინი მთელ ადვოკატთა ერთად. ეს კაცები ერთმანეთს «ჰელსა» და «ჩარლზს» ეძახდნენ. ჩარლზი შუახნის მამაკაცი იყო, ღია ფერის კანი ჰქონდა, უფერული, ერთთავად ცრემლმდინარი თვალები და საგანგებოდ გადაგრეხილი უღვაშები, რომელთაც თითქოს ჩამოშვებული ტუჩების სიმჭკნარე უნდა დაეფარათ. ჰელი შესახედავად ცხრამეტი-ოცი წლისა იყო. დიდი კოლტი და სანადირო დანა ვაზნებით სავსე ქამარში ჰქონდა გარჭობილი. და სწორედ ეს ქამარი შეადგენდა მის ერთადერთ გამოსარჩევ ნივთს. იგი თავისი პატრონის სიჭაბუკეზე, საოცარ გამოუცდელობაზე მეტყველებდა. მეტად შეუფერებელი იყვნენ ორივენი ამ გარემოსთვის. რატომ გასწირეს თავი და რად ჩამოვიდნენ შორეულ ჩრდილოეთში, ამოუხსნელი გამოცანა იყო ჩვენი გონებისათვის.

ბეკმა გაიგონა, როგორ ევაჭრებოდა ეს ორი კაცი სახელმწიფო აგენტს, დაინახა, როგორ გადასცეს მას ფული, და მიხვდა, რომ შოტლანდიელი და საფოსტო ადვოკატის სხვა მარეკები სამუდამოდ მიდიოდნენ მისი ცხოვრებიდან ისევე, როგორც წავიდნენ პერო და ფრანსუა, იმათზე ადრე კი სხვები. როცა ბეკი და ადვოკატის სხვა ძაღლები ახალი პატრონების ბანაკში მიიქცნენ, ბეკს მაშინვე თვალში ეცა უსუფთაობა და უწესრიგობა. კარავი მხოლოდ ნახევრად იყო გაშლილი, ჭურჭელი გაურეცხავი ეწყო, სადაც რა მოხვდებოდა, იქ ეყარა ყველაფერი. აქ მან ქალიც ნახა. მამაკაცები მას მერსედესს ეძახდნენ. მერსედესი ჩარლზის ცოლი იყო და ჰელის – და; ეტყობა, ოჯახური ექსპედიცია გახლდათ.

ბეკი მძიმე წინათგრძნობით ადევნებდა თვალს, როგორ შლიდნენ ისინი კარავს და ტვირთავდნენ მარხილს. ძალიან მონდომებით აკეთებდნენ ყველაფერს, მაგრამ უაზროდ. კარავი ისე უხერხულად შეკრეს, რომ სამჯერ უფრო მეტ ადგილს იჭერდა, ვიდრე უნდა დაეჭირა. კალის ჭურჭელი გაურეცხავი ჩაალაგეს. მერსედესი ერთთავად ფუსფუსებდა, ფეხებში ედებოდა მამაკაცებს და გაუთავებლად ლაპარაკობდა, ხან ჭკუას ასწავლიდა, ხან რჩევა-დარიგებებს ამღებდა. როცა ტანსაცმლით სავსე ტომარა მარხილის წინა ნაწილზე დადეს, მერსედესმა განაცხადა, ამის ადგილი წინ კი არა, უკან არისო. ტომარა უკან მოათავსეს, ზემოდან კიდევ რამდენიმე ტომარა დაადეს, მაგრამ უცებ მერსედესმა აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი ნივთი, რომელიც სწორედ იმ ტომარაში უნდა ჩაეწყოთ, დარჩენოდათ და იძულებული გახდნენ ისევ გადმოეღებინათ ყველაფერი.

მეზობელი კარვიდან სამი მამაკაცი გამოვიდა. ისინი უყურებდნენ მათ, ერთმანეთს თვალს უკრავდნენ და ჩუმ-ჩუმად ელიმებოდათ.

– ჰმ, კარგა ძალი ტვირთი გქონიათ! – შენიშნა ერთ-ერთმა. – მართალია, მე არ მეკითხება თქვენი ჭკუის დარიგება, მაგრამ თქვენს ადგილზე კარავს აღარ წავიღებდი.

– ეს წარმოუდგენელია, – წამოიძახა მერსედესმა, და შიშის გამომხატველი კოჰწიაობით ხელი ხელს შემოჰკრა. – უკარვოდ, აბა, რა მეშველება?

– უკვე გაზაფხულია, სიცივეები აღარ იქნება, – მიუგო მეზობელმა.

მერსედესმა მტკიცედ გააქნია თავი, ჩარლზმა და ჰელმა კი ზვინად დადგმულ ფუთებს უკანასკნელი ტვირთი დაადეს.

– გგონია, ჩაიტანენ? – იკითხა ერთ-ერთმა მაყურებელმა.

– რატომაც არა? – უკმეხად შეეკითხა ჩარლზი.

– ოჰ, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – გულთბილად მიუგო კაცმა, – უბრალოდ, მომეჩვენა, რომ მარხილი გადატვირთული გაქვთ.

ჩარლზმა მას ზურგი შეაქცია და გულდასმით შეუდგა თასმების გადაჭერას, თუმცა ხეირიანად არ გამოუდიოდა.

– ჰო, რა უჭირს მერე, – ჩაერია საუბარში მეორე მეზობელი. – ძაღლებს შეუძლიათ მთელი დღე ირბინონ ასეთი ტვირთით.

– რა თქმა უნდა, – მიუგო ჰელმა ყინულივით ცივი თავაზიანობით, შემდეგ ცალი ხელით შოლტი მოიქნია, მეორეთი კი საბრუნ ჭოკს ჩაეჭიდა.

– აბა, გასწით! – დაუყვირა მან. – წინ!

ძაღლებმა მთელი ძალით გაიწიეს, დაიძაბნენ, მაგრამ უმაღვე მოეშვნენ, ღონე არ ეყოთ მარხილის ადგილიდან დასაძრავად.

– წელმოწყვეტილო პირუტყვებო! – დაუყვირა ჰელმა, – მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! – შოლტი მაღლა ასწია და უნდოდა დაერტყა ძაღლებისათვის.

მაგრამ საქმეში მერსედესი ჩაერია.

– არ გაბედო, ჰელ! – დაიყვირა მან და მათრახი ხელიდან გამოგლიჯა ძმას. – საწყალი ძაღლები! მომეცი სიტყვა, რომ გზაში უხეშად არ მოეპყრობი მათ, თორემ აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

– ბევრი გაგეგება! – შეუბღვირა ჰელმა. – როცა არ იცი, როგორ უნდა მოეპყრო ძაღლებს, ნუ ეჩრები. ისინი ზარმაცები არიან, მორჩა და გათავდა. მხოლოდ შოლტი სწამთ. ვისაც გინდა, ჰკითხე, აი, თუნდაც ამ ადამიანებს.

მერსედესმა მუდარით გადახედა მეზობლებს. მის ლამაზ სახეზე ზიზღი იხატებოდა, როცა პირუტყვის წამებას შეჰყურებდა.

– ამ ძაღლებს, თუ გინდათ მართალი იცოდეთ, სული ძლივს უდგათ, – მიუგო ერთ-ერთმა მათგანმა. – მთლად ღონემიხდილნი არიან. დასვენება სჭირდებათ.

– რა დროს დასვენებაა, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! – ჩაიბურტყუნა პირტიტველა ჰელმა.

– ეჰ! – ნაღვლიანად ამოიოხრა მერსედესმა, როცა ჰელის ლანძღვა გაიგონა, მაგრამ მასში ძლიერი იყო ნათესაური გრძნობები და მაშინვე ძმის დაცვა დაიწყო.

– ნუ აქცევ ყურადღებას, – უთხრა ძმას მტკიცედ, – ეს ჩვენი ძაღლებია და ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ მიგაჩნია.

ჰელის შოლტი კვლავ გადაეწოდა ძაღლებს. საცოდავმა პირუტყვებმა გაიწიეს, გატკეპნილ თოვლს ფეხებით მიეზღინენ და თითქმის ყინულზე გართხმულებმა მთელი ძალ-ღონე დამაბეს, მაგრამ მარხილი ღუზაჩაშვებული გემივით არ იძროდა ადგილიდან. ორი ცდის შემდეგ ძაღლები გაჩერდნენ, სულს ძლივს ითქვამდნენ. შოლტი გაშმაგებით შხუოდა ჰაერში. კვლავ გამოესარჩლა ძაღლებს მერსედესი. ქალი მუხლებზე დაემხო ბეკის წინ და თვალცრემლიანმა შემოხვია კისერზე ხელები.

– თქვე საწყლებო, საბრალო ძაღლებო! – წამოიძახა შეცოდებით. – აბა, რატომ ღონეს არ ხმარობთ? მაშინ ხომ აღარ გაგშოლტავენ.

ბეკს მერსედესი არ მოეწონა, მაგრამ ისე გაწამებული იყო, წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა და მისი ალერსი ისე მიიღო, როგორც ამ დღის ყველა უსიამოვნო აუცილებლობა.

ამის შემყურე ერთი მამაკაცი კბილებს აკრაჭუნებდა, რომ უხეში სიტყვები არ ეთქვა.

მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და თქვა:

– თქვენი ჯავრი არ მაწუხებს, ეშმაკსაც წაუღიხართ! ძაღლები მეცოდება და ამიტომ გეტყვით, რა გააკეთოთ, რომ მათ დაეხმაროთ. მარხილის კავები თოვლზეა მიყინული. ჩამოტყებთ ყინული, მთელი ტანით მიაწექით ჭოკს და მარხილი გადააქან-გადმოაქანეთ, სანამ ადგილიდან არ დაძრავთ.

მესამედაც სცადეს, ამჯერად ჰელმა ყურად იღო რჩევა, ყინული ჩამოამტვრია და კავები გაათავისუფლა. უზომოდ გადატვირთული მარხილი მძიმედ დაიძრა. ბეკი და მისი ამხანაგები გაჭირვებით მიიწევდნენ წინ. შოლტს ზუზუნნი გაჰქონდა მათ ზურგზე. სადგომიდან ასი იარდის დაშორებით გზა ერთბაშად უხვევდა და თავქვე მიექანებოდა მთავარი ქუჩისაკენ. მძიმედ დატვირთული მარხილის შეკავება ასეთ დაღმართში მხოლოდ გამოცდილ მძღოლს შეეძლო და არა ჰელის. მოსახვევში მარხილი გადაიზნია და, რადგან თასმები მაგრად არ იყო გადაჭერილი, ტვირთის ნახევარი გზაზე გადაცვივდა. ძაღლებს არც უფიქრიათ შეჩერება. შემსუბუქებული, გვერდზე აყირავებული მარხილი ხტუნვით მისრიალებდა მათ უკან. ძაღლები კი, მკაცრი მოპყრობითა და ასეთი მძიმე ტვირთის ზიდვით გაგულისებულები, შეუჩერებლად გარბოდნენ წინ. თითქოს გაცოფდაო, ბეკი მთელი ძალით მიჰქროდა და დანარჩენი ძაღლებიც მას მისდევდნენ. ამაოდ ყვიროდა ჰელი: – «შეჩერდით! შეჩერდითო!» ბეკი ყურს არ უგდებდა. ჰელს ფეხი დაუცდა და წაიქცა. აყირავებული მარხილი ზედ გადაევლო. ძაღლებმა მარხილი სკაგუეის მთავარ ქუჩაზე გაიტაცეს. დარჩენილი ტვირთი გზადაგზა იფანტებოდა და ხალხი გულიანად იცინოდა.

ვიღაც გულშემატკივარმა ქალაქელებმა გააჩერეს ძაღლები და მარხილიდან გადმოვარდნილი ნივთების აკრეფა დაიწყეს. თან რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ მარხილის პატრონებს – თუ გასურთ დოუსონამდე ჩააღწიოთ, როგორმე ტვირთის ნახევარი უნდა გადაყაროთ და ძაღლების რიცხვი გააორკეცოთო. ჰელი, მისი და და სიძე უხალისოდ ისმენდნენ ამ რჩევა-დარიგებას. კარავი გაშალეს და ქონების დახარისხებას შეუდგნენ. გადაყარეს კონსერვის ქილები, რითაც დიდად გააცინეს ხალხი, – აბა, ჩრდილო-ეთის დაუსრულებელ გზაზე კონსერვებზე უკეთესი რა შეიძლება ისურვოს მოგზაურმა?

– იმდენი საბანი მიგაქვთ, რომ მთელ სასტუმროს ეყოფა, – შენიშნა ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელიც ჰელსა და ჩარლზს ეხმარებოდა, თანაც დასცინოდა. – ამის ნახევარიც კი მეტი იქნება თქვენთვის, გადაყარეთ. კარავი დატოვეთ, ჭურჭელიც. – აბა, ვინ დაიწყებს მათ რეცხვას გზაში? ღმერთო ჩემო, ნეტავ რას ფიქრობდით? გეგონათ, პულმანის ვაგონებით ისეირნებდით?

გამოცდილი ხალხის რჩევით მართლაც ნელ-ნელა გადაყარეს ზედმეტი ბარგი. მერსედესმა წამოიტირა კიდეც, როცა მისი ზურგჩანთა მიწაზე გადმობერტყეს და ტუალეტის ნივთები ერთიმეორის მიყოლებით გადაყარეს. მერსედესი მისტიროდა ყოველ გადაგდებულ ნივთს. იჯდა, მუხლებზე ხელები შემოეჭდო და ღრმად დამწუხრებული ირწეოდა. ამბობდა, ნაბიჯს აღარ გადავდგამ არამც თუ ერთი, მთელი დუჟინი ჩარლზებისთვისაც კიო. იგი ყველას და თითოეულს ცალ-ცალკე ევედრებოდა. ბოლოს ცრემლები შეიმშრალა და თვითონვე გადაყარა ისეთი ნივთებიც კი, რაც გზაში აუცილებელი იყო. საკუთარ ჩანთას რომ მორჩა, ახლა თავისი თანამგზავრების ნივთებს დაერია და მუსრი გაავლო ყველაფერს.

ძალე მარხილზე ტვირთის ნახევარიღა დარჩა, მაგრამ მაინც ძალზე ბევრი იყო. სადამოს ჩარლზი და ჰელი წავიდნენ და სხვა ქვეყნებიდან ჩამოყვანილი ექვსი ძაღლი შეიძინეს. ახლა მარხილში უკვე თოთხმეტი ძაღლი ება – ექვსი წინანდელი, პეროს ალალიდან დარჩენილი, ტიკი და კუნა, რომლებიც მან რინკ რაპიდის სარეკორდო

გადარბენაზე იყიდა და ექვსიც ახალი. ეს ჩამოყვანილი ძაღლები დიდს არაფერს წარმოადგენდნენ მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყვანის შემდეგ ისინი ევარჯიშებინათ. მათ შორის სამი სწორბალნიანი პოინტერი იყო, ერთი ნიუფაუნდლენდი, ხოლო დანარჩენი ორი – რაღაც ნარევი ჯიშის ძაღლები. ახალბედებს გამოცდილება სულ არ გააჩნდათ. ბეკი და მისი მეგობარი ძაღლები მათ ზიზღით უცქერდნენ. ბეკმა მაშინვე აჩვენა მათ, რა უნდა გაეკეთებინათ და რისი გაკეთება არ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც ვერაფერი გააგებინა; ახალბედებს არ მოსწონდათ მარხილის თრევა. ნარევი ჯიშის ორი ძაღლის გარდა, სულიერად ყველა მოტეხა და შეაშინა ველური ჩრდილოეთის პირობებმა, მკაცრმა მოპყრობამ. მათ სულიც არა ჰქონდათ, მხოლოდ ძვლებს თუ მოტეხავდნენ.

უსუსური ახალბედები არაფრად ვარგოდნენ, ძველ შემადგენლობას კი ორიათას ხუთასი მილის შეუსვენებლად გავლის შემდეგ ძალ-ღონე აღარ შერჩენოდა, ჰოდა, აბა, ამას რა სიკეთე უნდა მოჰყოლოდა? მიუხედავად ამისა, ჰელი და ჩარლზი ჩინებულ გუნებაზე იყვნენ და ამაყად ექირათ თავი. ხუმრობა საქმე როდი იყო, ახლა უკვე ყველაფერი რიგზე ჰქონდათ – მარხილში თოთხმეტი ძაღლი ება. ისინი ხედავდნენ, როგორ მიემართებოდნენ ადამიანები უღელტეხილით დოუსონამდე, როგორ ბრუნდებოდნენ იქიდან, და არც ერთ მათგანს მარხილში თოთხმეტი ძაღლი არ ჰყავდა.

არქტიკაში მოგზაურ ხალხს კი საფუძველი ჰქონდა, ერთ მარხილში თოთხმეტი ძაღლი არ შეება: ერთ მარხილზე შეუძლებელი იყო ამდენი ძაღლის საკვების მოთავსება. მაგრამ ჰელმა და ჩარლზმა ეს არ იცოდნენ. მათ ყველაფერი ქალაქში იანგარიშეს ფანქრით: ამდენი ძაღლი, ამდენი საქმელი, ამდენი დღე გზაში, სულ... ფანქარი მსუბუქად დასრიალებდა ქალაქში, მერსედესი კი ქმარს ზურგს უკან ედგა და ავტორიტეტულად აქნევდა თავს თანხმობის ნიშნად, – ყველაფერი ისეთი უბრალო და გასაგები გახლდათ.

მეორე დღეს კარგა გათენებული იყო, როცა ბეკმა სკაგუეის ქუჩაზე გაიყვანა მარხილში შებმული ძაღლების გრძელი მწკრივი. არც თვითონ, არც სხვა ძაღლები არავითარ ხალისსა და ენერგიას არ იჩენდნენ საამისოდ. ისინი ქანცგაწყვეტილები შეუდგნენ გზას. ბეკმა უკვე ოთხჯერ გაიარა გზა მლაშე წყალსა და დოუსონს შორის და ახლა ნაღვლობდა, რომ საშინლად დაღლილს, კვლავ უნდა გაევილო ეს ძნელი გზა. ეს არც ბეკს მოსწონდა და არც სხვა ძაღლებს. ახალბედებს ყველაფრისა ეშინოდათ, ძველებსა და გამოცდილებს კი თავისი ახალი პატრონების რწმენა არა ჰქონდათ.

ბეკი გუმანით ხვდებოდა, რომ ამ ორი მამაკაცისა და ქალის ნდობა არ შეიძლებოდა. მათ არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ და დღითიდღე ნათელი ხდებოდა, რომ ვერც ვერაფერს ისწავლიდნენ. ისინი ყველაფერს ჰაიპარად აკეთებდნენ, არც წესრიგს იცავდნენ, არც დისციპლინას. ნახევარი საღამო კარვის გაშლაში ეკარგებოდათ, ნახევარი დილა კარვის აღებასა და სამგზავრო მზადებაში. ხოლო მარხილს ისე უწესრიგოდ ტვირთავდნენ, რომ შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში რამდენჯერმე უხდებოდათ გაჩერება და ტვირთის გადალაგ-გადმოლაგება. ზოგჯერ ათ მილსაც ვერ გადიოდნენ, ხან კი სულაც ვერ დაიძრებოდნენ ხოლმე ადგილიდან. ვერასოდეს ვერ ფარავდნენ იმ მანძილის ნახევარსაც კი, რომელიც საშუალო ნორმადაა მიღებული ჩრდილოეთში მოგზაურობისათვის და რომლის მიხედვითაც იანგარიშება საკვების მარაგი ძაღლებისათვის.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ჰელსა და ჩარლზს არ ეყოფოდათ ძაღლების საკვები. მიუხედავად ამისა, ისინი ზედმეტსაც კი აჭმევდნენ მათ და ამით კატასტროფას უახლოვდებოდნენ. ჩამოყვანილი ძაღლები, რომლებიც ქრონიკულ შიმშილს არ იყვნენ ჩვეულნი და ცოტათი ვერ კმაყოფილდებოდნენ, მეტისმეტ გაუმადლობას იჩენდნენ.

ხოლო, რაკი ადგილობრივი ძალები უკიდურესად გაწამებულნი იყვნენ და ნელა მიდიოდნენ, ჰელმა გადაწყვიტა, უთუოდ კვების ჩვეულებრივი ნორმა საკმარისი არ არისო და გააორკეცა იგი. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მერსედესი, ცრემლმორეული ლამაზი თვალებითა და აკანკალებული ხმით, ემუდარებოდა ძმას უფრო მეტი საჭმელი მიეცა ძალებისათვის, და როცა ჰელი არ უჯერებდა, თვითონ იპარავდა ტომრიდან თევზს და მათ აჭმევდა. მაგრამ ბეკსა და მის ამხანაგებს საჭმელზე უფრო მეტად დასვენება ესაჭიროებოდათ და, თუმცა ისინი ნელა მირბოდნენ, მაინც უკანასკნელ ძაღვს აცლიდა ტვირთის სიმძიმე.

მაღე ამას შიმშილიც ზედ დაერთო. ერთ მშვენიერ დღეს ჰელმა აღმოაჩინა, რომ ძაღვების საკვების ნახევარი უვე დახარჯული იყო, მაშინ, როცა გზის მხოლოდ მეოთხედი ჰქონდათ გავლილი. ამ მხარეში კი საკვებს ფულზე ვერავითარ შემთხვევაში ვერ იშოვი. მაშინ მან ძაღვებს შეუმცირა დღის ჩვეულებრივი ნორმაც კი და გადაწყვიტა უფრო ჩქარა ევლო. და და სიძე დაეთანხმნენ. მაგრამ ეს საქმეს რას უშველიდა. მარხილი ძაღვზე გადაიტვირთა, ადამიანები კი მეტისმეტად გამოუცდელნი იყვნენ. ძაღვებისათვის ნორმაზე ნაკლები საკვების მიცემა ყველაზე იოლი საქმე იყო, მაგრამ მათი აჩქარება შეუძლებელი გახლდათ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ დილდობით, პატრონების დაუდევრობის გამო, ძაღვიან გვიან დაადგებოდნენ ხოლმე გზას და ამიტომ ბევრი დრო უქმად იკარგებოდა. ადამიანებს არც ძაღვების გაძლოლა შეეძლოთ და არც საკუთარი თავის წესრიგში მოყვანა.

პირველი დაბი წაიქცა. უიღბლო ქურდბაცაცა, რომელიც ყოველთვის ვარდებოდა და ცემა-ტყეპა არ აკლდა, ამავე დროს კეთილსინდისიერი მომუშავე იყო. რაკი დაბს ნაღრძობი ბეჭი დროზე არ მოუჩინეს და არც დასვენების საშუალებას აძლევდნენ, სულ უკან და უკან მიდიოდა მისი საქმე, ვიდრე ბოლოს ჰელმა თავისი დიდი კოლტით სიცოცხლეს არ გამოასალმა. ჩრდილოეთში ყველამ იცის, რომ სხვა ქვეყნებიდან ჩამოყვანილი ძაღვები აქ შიმშილით იღუპებიან, თუ მათ ადგილობრივი ძაღვების მცირე ულუფას მისცემენ. და რადგან ჰელმა ეს ულუფაც შუაზე გაუყო, ბეკის ალაღში შებმული ექვსივე ჩამოყვანილი ძაღვი უსათუოდ უნდა დაღუპულიყო. პირველი დაეცა ნიუფაუნდლენდი, შემდეგ სამივე პოინტერი. ყველაზე უფრო მეტად ებლაუჭებოდა სიცოცხლეს ნარევი ჯიშის ორი ძაღვი, მაგრამ ბოლოს ისინიც დანარჩენებს მიჰყვნენ.

ამ დროისათვის სამმა მოგზაურმა სრულიად დაკარგა სამხრეთელთათვის დამახასიათებელი კეთილი ხასიათი და თავშეკავება. გაქრა არქტიკაში მოგზაურობის რომანტიკული მომხიბვლელი. სინამდვილე ძაღვზე მკაცრი აღმოჩნდა. მერსედესს ძაღვების საცოდაობა აღარ ატირებდა. იგი საკუთარ თავს ტიროდა და ერთთავად ქმართან და ძმასთან ჩხუბს უნდებოდა. ჩხუბით კი არასოდეს იღლებოდნენ. ტანჯვით გამოწვეული გაღიზიანება იზრდებოდა ამ ტანჯვასთან ერთად, მაღე მას გადააჭარბა და გაუსწრო კიდეც. ეს ორი მამაკაცი და ქალი ვერა და ვერ აღიჭურვნენ იმ განსაცვიფრებელი მოთმინებით, რომელიც ჩრდილოეთში ეხმარება ადამიანს, ჯაფასა და აუტანელ წამებაში შეინარჩუნოს სიკეთე და გულისხმიერება. მათ ასეთი მოთმინების ნატამალიც არ გააჩნდათ. ისინი სიცვიისაგან ითოშებოდნენ, ყველაფერი აწუხებდათ: კუნთები, ძვლები, გულიც კი. ამიტომ მთელი დღე ბუზღუნებდნენ და დილიდან საღამომდე მხოლოდ უხეში და მწარე სიტყვები ეკერათ პირზე.

როგორც კი მერსედესი თავს დაანებებდა, ახლა ჩარლზი და ჰელი იწყებდნენ ერთმანეთში ჩხუბს. თითოეული ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დანარჩენებზე მეტს მუშაობდა, და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში აღნიშნავდა ამას. მერსედესი კი ხან ქმარს ემხრობოდა, ხან ძმას; ამას მოჰყვებოდა გაუთავებელი ოჯახური სცენები. დაიწყებდნენ კამათს, ვთქვათ, ვის უნდა დაეპო ორიოდე ღერი შეშა ცეცხლის

გასაჩაღებლად, ჩარლზს თუ ჰელს, და მაშინვე იწყებოდა მთელი ნათესაობის, მამების, დედების, ბიძების, ბიძაშვილების, იმ ადამიანების შემკობა, რომლებიც ათასობით მილის იქით იმყოფებდნენ და იმათიც კი, ვინც დიდი ხანია სამარეში განისვენებდა. სრულიად გაუგებარი იყო, რა კავშირი ჰქონდა შეშის დაპობასთან, მაგალითად, ჰელის შეხედულებებს ხელოვნებაზე, პიესებს, რომლებსაც წერდა ბიძამისი დედის მხრივ. მიუხედავად ამისა, ამაზე ისევე ხშირად ლაპარაკობდნენ, როგორც ჩარლზის პოლიტიკურ შეხედულებებზე. ან რა კავშირი ჰქონდა ჩარლზის დის გრძელ ენას იუკონზე ცეცხლის გაჩაღებასთან – ეს გასაგები იყო მხოლოდ მერსედესისათვის, რომელიც, ვინ მოთვლის, რამდენაირ კომენტარს უკეთებდა ამ ამბავს და რაკი საბაბი ეძლეოდა, ზედ თავის მოსაზრებებსაც მიაყოლებდა ხოლმე ქმრის ნათესავების ზოგიერთი უსიამოვნო თვისების გამო. ამასობაში კი ცეცხლიც აუნთებელი რჩებოდა, კარავი – ნახევრად გაშლილი, ძაღლები – უჭმელი.

მერსედესს უკმაყოფილებისათვის განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა, ეს იყო წმინდა ქალური პრეტენზიები. იგი ლამაზი იყო, განებივრებული, მამაკაცები ყოველთვის რაინდულად ევლებოდნენ თავს. ქმრისა და ძმის ახლანდელი მოპყრობა კი არაფრით ჰგავდა რაინდულს. მერსედესი ყოველთვის თავის ქალურ უსუსურობას ეფარებოდა. ჩარლზსა და ჰელს ეს აღშფოთებდა. მაგრამ იგი მაინც უფლებას არ აძლევდა ხელიყოთ ის, რაც თავისი სქესის ყველაზე ძირითად პრივილეგიად მიაჩნდა და ორივე მამაკაცს სიცოცხლეს უმწარებდა – ძაღლები აღარ ეცოდებოდა და რადგანაც თავს ცუდად გრძნობდა და დაღლილიც იყო, ამიტომ მარხილიდან აღარ ჩამოდიოდა. იგი მშვენიერი და ნაზი არსება გახლდათ, მაგრამ ას ოც გირვანქას იწონიდა და საკმაოდ ბარაქიანი დამატება იყო მძიმე ტვირთზე, რომელსაც ისედაც ძლივს მიათრევდნენ შიმშილისა და დაღლილობისაგან გადალასლასებული ძაღლები. მერსედესი მთელი დღეების განმავლობაში არ ჩამოდიოდა მარხილიდან, ვიდრე ძალაგამოცლილი ძაღლები არ დაეცემოდნენ და მარხილი არ გაჩერდებოდა. რამდენს ეჩიჩინებოდნენ ჩარლზი და ჰელი, ჩამოდი, თხილამურებით იარეო, ურჩევდნენ, სთხოვდნენ, ემუდარებოდნენ, ის კი მხოლოდ ტიროდა და თავს აბეზრებდა ღმერთს საყვედურებით, ასე უდიერად რატომ მეპყრობიანო.

ერთხელ მამაკაცებმა ძალად გადმოსვეს იგი მარხილიდან, მაგრამ მაშინვე ინანეს და დაიფიცეს, შემდეგში აღარასოდეს გავიმეორებთ ამის მსგავს რამესო. მერსედესმა ჯიუტი ბავშვივით დაიწყო ძალად კოჭლობა და გზაზე ჩამოჯდა. მამაკაცებმა გზა განაგრძეს, ის კი ადგილიდან არ დაიძრა. სამი მილი გაიარეს და ბოლოს იძულებული გახდნენ უკან მობრუნებულიყვნენ მის წამოსაყვანად, ტვირთის ნაწილი ძირს გადმოიღეს და ძალით დასვეს მარხილზე.

საკუთარმა გაჭირვებამ სამივე გულგრილი გახადა ძაღლების მიმართ. ჰელი თვლიდა, რომ წრთობა აუცილებელია, მაგრამ ამ თეორიას უფრო სხვების მიმართ იყენებდა. დასაწყისში ამას უქადაგებდა სიძეს და დას, მაგრამ როცა მარცხი განიცადა, კეტით დაუწყო შეგონება ძაღლებს. «ხუთ თითს» რომ მიაღწიეს, ძაღლების საკვების მარაგი გამოილია და ვიღაც უკბილო ინდიელი დედაბერი დაითანხმეს, რამდენიმე გირვანქა ცხენის გაყინული ტყავი მიეცა იმ კოლტის სანაცვლოდ, რომელიც მონადირის გრძელ დანასთან ერთად ამშვენებდა ჰელის ქამარს. ეს ტყავი, რომელიც ნახევარი წლის წინ რომელიღაც მესაქონლის შიმშილისაგან დავარდნილ ცხენს გაამძვრეს, საჭმელად რაღაც საცოდავ სუროგატს წარმოადგენდა. ყინვისაგან ფურცლოვან რკინას დამსგავსებოდა და ძაღლები გაჭირვებით ყლაპავდნენ მის გამლხვალ ნაჭრებს, მაწიერობა არა ჰქონდა და მხოლოდ აღიზიანებდა კუჭს.

ყოველივე ამის გამო გაოგნებული ბეკი ლასლასით მიუძღოდა ძაღლების ჯგუფს.

ეწეოდა მარხილს, სანამ ძალა ჰყოფნიდა, ხოლო როცა გამოეღეოდა, ეცემოდა და იწვა, სანამ შოლტით ან კეტით არ წამოაყენებდნენ. მშვენიერი გრძელი ბალანი გაექუცა, დაჰკარგა ბზინვარება, მოეთელა და გაჭუჭყიანდა. ბევრ ადგილას, სადაც ჰელის კეტისაგან კანი ჰქონდა გაპობილი, ბალანზე სისხლი შეხმობოდა, კუნთები რაღაც დაკვანძულ ბოჭკოებს დაემსგავსა. ბეკი ისე გახდა, რომ მოშვებულ და დანაოჭებულ კანქვეშ ნეკნები და ძვლები გამოსჩროდა. ამას ხომ გულის დასწეულეზაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მაგრამ ბეკს რკინის გული ჰქონდა, ეს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დაამტკიცა წითელსვიტერიანმა კაცმა.

ბეკზე უკეთეს მდგომარეობაში როდი იყვნენ დანარჩენი ძაღლებიც – მოარულ ჩონჩხებს დამსგავსებოდნენ ყველანი. ბეკის ჩათვლით, ახლა შვიდნიღა დარჩნენ. უზომოდ გაწამებულნი, სრულიად უგრძობნი გახდნენ შოლტისა და კეტისადმი. ტკივილებს ყრუდ შეიგრძნობდნენ, ყველაფერს თითქოს შორიდან ხედავდნენ და შორიდან ესმოდან: ნახევრად ცოცხალ არსებებს, ძვლებით სავსე ტომრებს დაემსგავსნენ, რომლებშიც ოდნავღა ფეთქავღა სიცოცხლე. შესვენების დროს, სანამ გამოხსნიდნენ, იქვე გზაზევე ეცემოდნენ, გეგონებოღათ, ამ საცოღავ პირუტყვეებს სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი ჩაუქრაო, ხოლო როცა შოლტი ან კეტი მოხვდებოღათ, სიცოცხლის ეს ნაპერწკალი ოდნავ გაღვიღებოღათ, ძლივძლივობით წამოღგებოღან და წალასღასღებოღან.

ღადღა ღღე, როცა კეთილი ბილიც ღავარღა და აღღომა ვეღარ შეძლო. ჰელს რევოღვერი აღარ ჰქონღა და ძაღლს თავში ცუღლის დარტყმით მოუღლო ბოლო. შემღდეღ მარხიღიღან გამოხსნა და გზიღან მოშორებით გაღათრია. ბეკმა ღაინახა ეს, სხვა ძაღლებმაც ღაინახეს. ყვეღას ესმოღა, რომ მალე მათაც იგივე ბედი ეწეოღა. მეორე ღღეს კუნამ განუტევა სული და ახლა მხოლოდ ხუთნიღა დარჩნენ. ჯო, იმღენაღ გატანჯული, რომ ღრენის თავიც აღარა ჰქონღა, პაიკი, კოჭლი და ხეიბარი, რომელსაც მთელი თავისი ეშმაკობა და ცუღლუტობა ღავიწყებოღა, ცალთვალა სოღეკსი, ჯერ კიდევ თავისი საქმის ერთგული და შეჭირვებული იმის გამო, რომ ღონე აღარ შესწევღა მარხიღის სათრევაღ, ტიკი, რომელსაც არასოღეს უვღია ასე შორ მანძიღზე, როგორც ამ ზამთარს, და რომელსაც ყვეღაზე მეტად ხვდებოღა გამოუცღეღობის გამო, და ბეკი, რომელსაც კვღავაც ეჭირა მეთაურის აღგიღი, თუმიცა აღარც უნარი შესწევღა და აღარც ცდიღობღა დისციპლინის შენარჩუნებას. სისუსტისაგან უსინათლოსავით მიღასღასებღა, თითქოს ბურუსში მიიკვღევს გზასო, თუმიცა მისი ნაჩვევი ფეხები კვღალს არ სცღებოღა.

მშვენიერი გზაფხული იღგა, მაგრამ მას ვერც აღამიანები ამჩნევდნენ და ვერც ძაღლები. ღღითიღღე მზე სულ უფრო აღრე ამოღიოღა და გვიან ჩაღიოღა. სამ საათზე უკვე თენღებოღა, სიბნელე კი ღამის ცხრა საათამღე არ ჩამოწვებოღა. მთელი ამ ხნის განმავღობაში მზე თვალისმომჭრელად ანათებღა. ზამთრის ცივი მღღუმარეზა გაღვიღებული სიცოცხლის ჟივიღ-ხივიღმა შეცვღალა – ახმაურღა განახლების იმეღით გახარებული მიწა. ყოველი, რაც მკვღარივით უძრავი იყო გრძელი, ცივი თვეების მანძიღზე, ახლა გაცოცხლღა და ამოძრავღა. ფიჭვში წვენნი ჩაღგა. ტირიფებმა და ვერხვებმა კვირტები გამოიღეს. ბუჩქები ნორჩ მწვანე სამოსელში ეხვეოღნენ, ღამღამობით ჰრიჭინებდნენ ჰრიჭინები, ხოლო ღღისით ყოველივე, რაც კი ღაცოცავს და დარბის მიწაზე, ფუსფუსებღა და მზეზე თბებოღა. ტყეში გარეული ქათმების ყივიღი, ხეებზე კოღაღების კაკუნნი და ციყვების წრიპინნი ისმოღა. გაღობდნენ ჩიტები, მალღა ცაში კი სამხრეთიღან ირიბად ჩამწკრივებული გარეული იხვების გუნღები მოფრინავდნენ და ფრთებით მოაპობდნენ ჰაერს.

ყოველი გორაკიღან წყალი ჩამოჩუხჩუხებღა, ჰაერში უჩინარი ნაკაღუღების რაკრაკი

ისმოდა. ყველაფერი ლხვებოდა ირგვლივ, ყველაფერი ირხეოდა, ეშურებოდა სიცოცხლეს. მდინარე იუკონიც ისწრაფვოდა გაერღვია ყინულის სამოსი, რომელსაც შეებოჭა იგი. ქვემოდან წყალი რეცხავდა ყინულს, ზემოდან კი მზე ალღობდა. ჩნდებოდა ნაპრალები, ფართოვდებოდა ბზარები, და მომტვრეული ყინულის თხელი ნატეხები წყალს მიჰყვებოდა. გამოღვიძებული სიცოცხლის თრთოლვასა და ფეთქვაში, თვალისმომჭრელი მზის ქვეშ, ნაზად მქროლავი ნიავი ეალერსებოდა სიკვდილთან შესაგებებლად მიმავალ ორ მამაკაცს, ქალსა და ძაღლებს.

ძაღლები ყოველ ნაბიჯზე ეცემოდნენ, მერსედესი ტიროდა და მარხილიდან არ გადმოდიოდა, განრისხებული ჰელი ილანძვებოდა, ჩარლზის ცრემლმდინარე თვალეში ნაღველმა დაისადგურა. ასე მიაღწიეს მათ «თეთრი მდინარის» შესართავს, სადაც ჯონ თორნტონის სადგომი იყო. როგორც კი მარხილი გააჩერეს, ძაღლები მკვდრებივით დაეცნენ. მერსედესი ცრემლებს იმშრალედა და ჯონ თორნტონს შესცქეროდა. თითქოს სხეული გაუშემდაო, ჩარლზი ძლივს, ნელ-ნელა ჩამოჯდა ხის კუნძზე დასასვენებლად. საუბარი ჰელმა წამოიწყო. ჯონ თორნტონი არცის ხისგან გამოთლილ ცულის ტარს აშალაშინებდა და ხმაამოუღებლად უსმენდა მოსაუბრეს, საქმისათვის ხელი არ შეუშვია და მხოლოდ დროდადრო თუ ჩაურთავდა მოკლე შენიშვნას ან მარტივ რჩევას, ისიც მაშინ, როცა შეეკითხებოდნენ. კარგად იცნობდა ამ ყაიდის ადამიანებს და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მის რჩევას მაინც ყურს არ ათხოვებდნენ.

– იქ, ზევითაც გვითხრეს, გზა საიმედო არ არისო, გვირჩიეს ნუ წახვალთო, – უთხრა ჰელმა თორნტონს, რომელმაც შენიშნა, ახლა ყინულზე სიარული სახიფათოაო. – გვარწმუნებდნენ, «თეთრ მდინარეს» ვერ მიაღწევთო. ჩვენ კი, ხომ ხედავთ, მოვალწიეთ. – უკანასკნელი სიტყვები ირონიული ღიმილითა და თავმომწონედ იყო ნათქვამი.

– სწორად ურჩევიათ, – შენიშნა ჯონ თორნტონმა. – ყოველ წუთს მოსალოდნელია ყინულის დაძვრა. მხოლოდ უგუნური – უგუნურთ კი ბედი სწყალობთ – თუ გაბედავს ახლა მდინარეზე გადასვლას. მე კი პირდაპირ გეტყვით: მთელი ალიასკის ოქროც რომ მოეცათ, სიცოცხლეს ხიფათში არ ჩავიგდებდი და ამ ყინულს არ გამოვყვებოდი.

– რა თქმა უნდა, თქვენ ხომ უგუნური არა ხართ, – მიუგო ჰელმა, – ჩვენ კი მაინც წავალთ დოუსონისკენ. – მან შოლტი მოიქნია. – ადექი, ბეკ! ადექი-მეთქი, შენ გეუბნები! აბა, გასწი!

თორნტონი კვლავ ცულის ტარს აშალაშინებდა. უგუნურს უგუნურობაზე ხელს ვერ ააღებინებ და ორი-სამი სულელით მეტი იქნებოდა თუ ნაკლები ამქვეყნად, ამით არაფერი შეიცვლებოდა.

მაგრამ შემახილზე ძაღლები არ დგებოდნენ. ისინი კარგა ხანია მივიდნენ იმ მდგომარეობამდე, როცა უცემრად ადგილიდან ვერ დაძრავდით. შოლტმა გაიელვა და თავისი მძიმე საქმე შეასრულა. ჯონ თორნტონმა კბილი კბილს დააჭირა. დიდი გაჭირვებით პირველი წამოდგა სოლეკსი. მას მიჰყვა ტიკი, შემდეგ ტკივილისაგან აწკმუტუნებული ჯო. პაიკი ამაოდ ცდილობდა წამოდგომას: ორჯერ წამოიწია, მაგრამ მაშინვე დაეცა, ისევ სცადა, ისევ დაეცა და მხოლოდ მესამეჯერ შეძლო ძლივძლივობით ფეხზე გაჩერება. ბეკი კი არც ცდილობდა ადგომას. უმოძრაოდ იწვა იქ, სადაც დაეცა. შოლტი წამდაუწუმ უსერავდა სხეულს, ის კი არც ხმას იღებდა, არც წინააღმდეგობას უწევდა. თორნტონმა რამდენჯერმე დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ თავი შეიკავა – თვალეში ცრემლი უციმციმებდა. და რაკი ბეკის ცემას ბოლო არ უჩანდა, თორნტონი წამოდგა, წინ და უკან სიარულს მოჰყვა, ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ბეკი უარს ამბობდა დამორჩილებაზე, და ჰელის გამაგებისათვის ესეც კმაროდა. მან შოლტი გადააგდო და ახლა კეტს დაავლო ხელი.

მაგრამ ვერც კეტის მაგარმა და ხშირმა დარტყმებმა წამოაყენა ბეკი. სხვა ძაღლების მსგავსად, საეჭვო იყო, რომ ფეხზე გაჩერება შეძლებოდა. მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, მას შეგნებულად არც უნდოდა ადგომა. ბეკს მოახლოებული უბედურების ბუნდოვანი წინათგრძნობა ჰქონდა. ეს გრძნობა ჯერ კიდევ მაშინ ჩაესახა, როცა მარხილს მდინარის ნაპირას მიათრევდა, და მას შემდეგ აღარ მოშორებია იგი. მთელი დღის განმავლობაში გრძნობდა ფეხქვეშ თხელსა და მყიფე ყინულს და მოახლოებული უბედურება ესახებოდა იქ, საითკენაც მიერეკებოდა მისი პატრონი. ბეკს არ უნდოდა ადგომა. ისე იყო გაწამებული, რომ ვერც კი გრძნობდა ტკივილს. ცემას კი ბოლო არ უჩანდა. ბეკში სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი ქრებოდა. ბეკი კვდებოდა. მთელი სხეული რაღაც უცნაურად გაუქვავდა. ტკივილის შეგრძნება გაქრა, მხოლოდ ბუნდოვნად შეიგრძნობდა ცემას, თითქოს შორიდან ესმოდა კეტის ბრაგუნის, თითქოს მას კი არ ურტყამდნენ, ყველაფერი სადღაც შორს ხდებოდა.

და უცებ, მოულოდნელად, არაადაამიანურად, მხეცივით აღრიალებული ჯონ თორნტონი მივარდა კაცს, რომელსაც კეტი ეჭირა. ჰელი გულადმა დაეცა, თითქოს მოჭრილმა ხემ ქვეშ მოიყოლაო. მერსედესმა შეჰკვივლა, ჩარლზი ნაღვლიანად შეჰყურებდა, აცრემლებულ თვალს იწმენდდა, ადგომით კი არ დგებოდა, სხეული გახევებოდა.

ჯონ თორნტონი თავს დასდგომოდა ბეკს და ცდილობდა დამშვიდებულიყო. სიბრაზემ ენა წაართვა.

– კიდევ ერთხელ თუ დაარტყამ ამ ძაღლს, მოგკლავ, – უთხრა სულშეხუთულმა ჰელს.

– ჩემი ძაღლია, – შეეპასუხა ჰელი, წამოდგა და ტუჩიდან სისხლი მოიწმინდა, – მოშორდი აქედან, თორემ ადგილზე გაგაციებ, ჩვენ დოუსონში მივდივართ!

მაგრამ თორნტონი ბეკსა და ჰელს შორის იდგა და სულაც არ აპირებდა მისთვის გზის დათმობას. ჰელმა თავისი გრძელი სანადირო დანა იძრო. მერსედესი კიოდა, ტიროდა, იცინოდა, ეტყობოდა, ისტერიკამ შეიპყრო. თორნტონმა ცულის ტარი დაჰკრა ხელზე ჰელს და დანა დააგდებინა. ჰელი შეეცადა დანის აღებას, მაგრამ მეორეჯერ მოხვდა ცულის ტარი. თორნტონი თავად დაიხარა, აიღო დანა და ბეკს თასმები გადაუჭრა.

ამოხებული სული უმაღვე დაუცხრა ჰელს, თანაც იძულებული იყო დისთვის მიეხედა, რომელიც მას ხელებზე, უფრო სწორად მხრებზე ჩამოკიდებოდა. ამასთან, ისიც გაიფიქრა, ბეკი მაინც აღარ გამოდგება მარხილში, კვდებაო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მარხილი უკვე ნაპირიდან გაყინულ მდინარეზე დაეშვა. ბეკმა მიმავალი მარხილის ხრიგინი გაიგონა და თავი ასწია. მეთაურად პაიკი დაეყენებინათ, შუაში სოლეკსი, ხოლო მათ შუა ჯო და ტიკი შეეხათ. ყველანი კოჭლობდნენ და ბორძიკობდნენ. მარხილზე, ტვირთს ზემოდან, მერსედესი წამომჯდარიყო. ჰელი მარხილის წინ მიდიოდა, სამართავ ჭოკთან, ჩარლზი უკან მიჩანჩალებდა.

ბეკი გაჰყურებდა მათ. თორნტონმა მის გვერდით ჩაიმუხლა, უხემ ხელს ნაზად უსვამდა და სინჯავდა, გატეხილი ხომ არ აქვსო რომელიმე ძვალი. იგი დარწმუნდა, რომ ძაღლი უმოწყალოდ ნაცემი და შიმშილისაგან დასუსტებული იყო. ამასობაში მარხილმა მილის მეოთხედი გაიარა. კაცი და ძაღლი თვალს ადევნებდნენ, როგორ მისრიალებდნენ ისინი ყინულზე. უეცრად, მათ თვალწინ, მარხილის უკანა ნაწილი დაეშვა, თითქოს ორმოში ჩაქანდაო, ხოლო ჭოკი და მასზე ჩაჭიდებული ჰელი ჰაერში აიჭრა. მოისმა მერსედესის კივილი. შემდეგ ბეკმა და თორნტონმა დაინახეს, როგორ მობრუნდა ჩარლზი და უკან, ნაპირისაკენ დააპირა გამოქცევა. უეცრად მთელი ყინული, რომელზედაც ისინი იდგნენ, ჩაიძირა და ყველა შთაინთქა – ხალხიც და ძაღლებიც. იმ ადგილას დიდი ნაპრალი გაჩნდა, ყინულის გზა დაიმსხვრა.

ჯონ თორნტონმა და ბეკმა ერთმანეთს შეხედეს.  
\_ ეჰ, შე საწყალო! \_ უთხრა ჯონ თორნტონმა.  
ბეკმა ხელი აულოკა.

## VI

### ადამიანის სიყვარულით

როდესაც გასულ დეკემბერში ჯონ თორნტონს ფეხები მოეყინა, ამხანაგებმა იგი მოხერხებულად მოათავსეს სადგომში და აქვე დატოვეს, სანამ მომჯობინდებოდა, თვითონ კი მაღლა, მდინარის ნაპირს აუყვნენ ხე-ტყის დასამზადებლად, რომელსაც შემდეგ დოუსონისკენ აცურებდნენ. თორნტონი ჯერ კიდევ კოჭლობდა ოდნავ იმ დროს, როცა ბეკი გადაარჩინა, მაგრამ დადგა თბილი ამინდები და ამ მსუბუქმა კოჭლობამაც გაუარა. ბეკი კი გაზაფხულის მთელი გრძელი დღეების განმავლობაში იწვა მდინარის ნაპირას, ზანტად შეჰყურებდა მდინარეს, ყურს უგდებდა ჩიტების გალობას, გაზაფხულის ჟივილ-ხივილს და ნელ-ნელა უბრუნდებოდა ძალ-ღონე.

დასვენებაზე უებარი არა არის რა მისთვის, ვინც სამი ათასი მილი გაიარა. ერთი კი უნდა ითქვას, იმის კვალობაზე, რაც უფრო და უფრო უხორცდებოდა ჭრილობები, უმაგრდებოდა კუნთები, ძვლები კი კვლავ ისხამდა ხორცს, ბეკი უფრო და უფრო ზარმაცდებოდა. თუმცა განა მარტო ბეკი, აქ ყველა უსაქმურობდა, თვითონ თორნტონიც, სკიტიც და ნიგიც \_ ყველანი ტივის მოლოდინში იყვნენ, რომლითაც ისინი დოუსონში უნდა წასულიყვნენ. სკიტი, ირლანდიური სეტერის ჯიშის პატარა ძუკნა, მალე დაუმეგობრდა ბეკს, რომელსაც სული ძლივს ედგა პირში და თავი არ ჰქონდა, რომ უკუეგდო მისი მზრუნველობა და ალერსი. სკიტმა, ზოგიერთი სხვა ძაღლის მსგავსად, ინსტინქტურად იცოდა ჭრილობებისა და ავადმყოფობის მკურნალობა. როგორც კატა ლოკავს თავის კნუტებს, ისე ულოკავდა ისიც ბეკს ჭრილობებს. ყოველ დილით სკიტი ელოდებოდა, სანამ ბეკი საჭმელს შეჭამდა და შემდეგ ასრულებდა თავის ნებაყოფლობით მოვალეობას. და ბოლოს ბეკი ისეთივე სიამოვნებით იღებდა მის ყურადღებას, როგორც თორნტონისას. შოტლანდიური მწევარისა და მეძებარი ძაღლის ნარევი ნიგიც მეგობრულად განეწყო ბეკისადმი, მაგრამ იგი უფრო თავშეკავებული იყო. ნიგი ერთი უზარმაზარი, შავი, თვალეციმიციმა, უზომოდ გულკეთილი ძაღლი გახლდათ.

ბეკს უკვირდა, რომ ძაღლები არ ეჭვიანობდნენ, როცა მათი პატრონი ბეკს ეფერებოდა. გეგონებოდათ, ჯონ თორნტონის სიკეთე და დიდსულოვნება მათაც გადასცემიათო. როცა ბეკი მომაგრდა, ძაღლებმა თავის გართობა-მხიარულებაში ჩააბეს იგი, რომელშიც ხანდახან თავად თორნტონიც კი მონაწილეობდა.

ასე ნელ-ნელა და შეუმჩნევლად გამოჯანსაღდა ბეკი. დაიწყო ახალი ცხოვრება. პირველად გაიგო მან, რა იყო სიყვარული, ნამდვილი და ძლიერი სიყვარული. არასოდეს ასე არ ჰყვარებია არავინ მოსამართლე მილერის სახლში, სანტა-კლარას მზიურ ველზე. მოსამართლის ვაჟებს, რომლებთანაც იგი სანადიროდ და სასეირნოდ დადიოდა, ამხანაგურად ეპყრობოდა, პატარა შვილიშვილებს \_ ქედმაღლურად და მფარველურად, თვითონ მოსამართლეს კი \_ მეგობრულად. ამავე დროს არასოდეს კარგავდა საკუთარი ღირსების შეგნებას. მხოლოდ თორნტონის მიმართ გაუჩნდა და გაუღვივდა ეს მალმერთებელი, ძლიერი, სიგიჟემდე მისული სიყვარულის გრძნობა.

ამ კაცმა იგი სიკვდილს გადაარჩინა \_ ეს უკვე თავისთავად ნიშნავდა რაღაცას. ამის

გარდა, ეს ადამიანი იდეალური პატრონი იყო. სხვა ადამიანები მოვალეობის გამო ზრუნავდნენ ძაღლებზე, კიდევ იმიტომ, რომ ისინი სასარგებლონი იყვნენ მათთვის, თორნტონი კი უანგაროდ ზრუნავდა მათზე, როგორც მამა შვილზე. ასეთი ბუნებისა იყო იგი, არასოდეს ავიწყებოდა მეგობრული და გამამხნეველი სიტყვით გაეხარებინა ძაღლები, უყვარდა მათთან საუბარი (ამას იგი «ლაყბობას» ეძახდა) და ეს საუბარი მას ისეთსავე სიამოვნებას ანიჭებდა, როგორც ძაღლებს. ბეკს ორივე ხელით დაუჭერდა თავს, შემდეგ შუბლს მიადებდა ზედ და ასე გააქან-გამოაქანებდა. თან ათასგვარ სალანძღავ სახელს ეძახდა, რომელთაც ბეკი საალერსო სიტყვებად მიიჩნევდა. ბეკისათვის იმაზე უფრო მეტი სიხარული არ არსებობდა, ვიდრე ეს ტლანქი ალერსი, რომელსაც თან ახლდა ლანძღვა, და როცა პატრონი ასე ეთამაშებოდა, სიხარულისაგან ბეკს ლამის ბუდიდან ამოვარდნოდა გული. დაბოლოს, როცა თორნტონი მას გაუშვებდა, ბეკი წამოხტებოდა, პირს დააღებდა, გაიღიმებდა, და მისი მზერა ყოველგვარ სიტყვაზე უფრო მეტყველი იყო, ყელი ებერებოდა გრძნობებისაგან, რომელთაც ვერ გამოთქვამდა. ჯონ თორნტონი კი უყურებდა ადგილზე გაქვავებულ ბეკს და მოწიწებით ეუბნებოდა: «ღმერთო, შენ ყველაფრის უნარი გაქვს, გარდა ლაპარაკისა!»

ბეკი ისეთი ქცევით გამოხატავდა თავის სიყვარულს, რომლისგანაც შეიძლებოდა კარგი დღე არ დაგდგომოდათ. იგი კბილებს ჩაავლებდა ხოლმე თორნტონის ხელს და ისე მაგრად უჭერდა, რომ შემდეგ კარგა ხანს აჩნდა ზედ მათი ნაკვალევი. მაგრამ პატრონს ესმოდა, რომ ეს მოჩვენებითი გაბრაზება ალერსი იყო მხოლოდ, ისევე როგორც ბეკს ესმოდა, რომ სალანძღავი სახელებით მხოლოდ და მხოლოდ ზედმეტი სიყვარულის გამო ამკობდნენ.

უფრო ხშირად ბეკის სიყვარული უტყვ გაღმერთებაში გამოიხატებოდა. სუნთქვა ეკვროდა ბედნიერებისგან, როცა თორნტონი ეხებოდა ან ელაპარაკებოდა, მაგრამ თვითონ არასოდეს ეძალებოდა მას. თუ სკიტი თვითონ უყოფდა ცხვირს პატრონს ხელებში, რომ ალერსი მიეღო, თუ ნიგს ჩვეულებად ჰქონდა მისულიყო პატრონთან და თავისი დიდი დრუნჩი მის მუხლებში ჩაერგო, ბეკი იმით კმაყოფილდებოდა, რომ მას შორიდან აღმერთებდა. ბეკს შეეძლო საათობით წოლილიყო თორნტონის ფერხთით, დამაბული ყურადღებით ეცქირა მისთვის, თითქოს მის სახეს სწავლობსო, ცხოველი ინტერესით ედევნებინა თვალი ყოველი წამიერი ცვლილებისათვის ამ სახეზე. ხანდახან მოშორებით დაწვებოდა პატრონის გვერდით ან ზურგს უკან და იქიდან ადევნებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას. ისეთი სიახლოვე დამყარდა ადამიანსა და ძაღლს შორის, რომ ხშირად თორნტონი იგრძნობდა ბეკის მზერას, ანაზღვეულად მიიხედავდა მისკენ და უსიტყვოდ შეაცქერდებოდა. და თითოეული კითხულობდა მეორის თვალებში გულიდან მომდინარე გრძნობებს.

თავისი გადარჩენის შემდეგაც ბეკი კარგა ხანს შფოთავდა ხოლმე, როცა ახლომახლო თორნტონს ვერ დაინახავდა. კარვიდან გამოსულ თორნტონს იგი ფეხდაფეხ აედევნებოდა და მანამდე სდევდა, სანამ კვლავ კარავში არ დაბრუნდებოდა; აქ, ჩრდილოეთში, ბეკს რამდენჯერმე გამოეცვალა პატრონი და რადგან გადაწყვიტა, მუდმივი პატრონები არ არსებობენო, ეშინოდა, თორნტონიც ისევე არ წასულიყო მისი ცხოვრებიდან, როგორც პერო და ფრანსუა და შემდეგ შოტლანდიელი წავიდნენ. ძილშიც კი არ აძლევდა მოსვენებას ეს შიში და ხშირად, როცა გამოეღვიძებოდა, ლამის სიცივის მიუხედავად, გამოძვრებოდა ხოლმე თავისი ბუნაგიდან, მივიდოდა კარვის კალთასთან და დიდხანს იდგა შესასვლელთან – ყურს უგდებდა თორნტონის სუნთქვას.

მაგრამ, მიუხედავად ჯონ თორნტონისადმი დიდი სიყვარულისა, რომელსაც თითქოსდა ცივილიზატორული ზეგავლენა უნდა მოეხდინა, ბეკში არ ჩაიხშო

ჩრდილოეთის მიერ გაღვიძებული ინსტიტუტები და მიდრეკილებანი ველური წინაპრებისა. ერთგულება და თავდადება, რომლებიც მშვიდობიანი ოჯახის ჭერქვეშ ჩნდება, ბეკსაც ახასიათებდა, მაგრამ ამავე დროს ინარჩუნებდა ველურ სიმკაცრესა და ვერაგობას. ეს იყო პირველყოფილი მხეცი, რომელიც უღრანი ტყიდან ჯონ თორნტონის კოცონთან მოვიდა და არა კურთხეული სამხრეთის ძაღლი, მოშინაურებულ თაობათა ჩამომავალი. ამ ადამიანისადმი უდიდესი სიყვარული ნებას არ აძლევდა, მისთვის საჭმელი მოეპარა, მაგრამ ყველა სხვას, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, სინდისიც არ შეაწუხებდა, ისე მოპარავდა, მით უმეტეს, რომ თავისი ველური ეშმაკობით ამის გაკეთება ისე შეეძლო, რომ სასჯელი აეცდინა.

სახესა და სხეულზე მრავალი ძაღლის ნაკბილარი აჩნდა და ახლაც ისევე გამძვინვარებით იბრძოდა, როგორც უწინ, ოღონდ მეტ მოხერხებას ამჟღავნებდა. სკიტი და ნიგი კეთილი და მშვიდი ძაღლები იყვნენ, ბეკი მათ არ ერჩოდა, სხვა რომ არაფერი, ისინი ხომ ჯონ თორნტონს ეკუთვნოდნენ. მაგრამ თუ სხვა ძაღლს შეხვდებოდა, რა ჯიშის და ღონისაც არ უნდა ყოფილიყო, მას მაშინვე უნდა ეღიარებინა ბეკის უპირატესობა, თუ არადა, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება არ ასცდებოდა საშიმ მოწინააღმდეგესთან. ბეკი დაუნდობელი იყო. მან კარგად შეითვისა კეტისა და ეშვების კანონი. არასოდეს მტრის წინაშე უკან არ დაიხევდა და ცდილობდა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, გაენადგურებინა იგი. ეს მან შპიცისაგან შეითვისა, პოლიციელებისა და საფოსტო მაჩხუბარი ძაღლებისაგან ისწავლა. მან იცოდა, რომ შუალედი არ არსებობდა: ან მოერევი, ან მოგერევიან. დანდობა სისუსტის ნიშანია. პირველყოფილ არსებათა შორის არ არსებობდა გულმოწყალება. ისინი მას ლაჩრობად თვლიდნენ, ლაჩრების ხვედრი კი სიკვდილი იყო. მოკალი ან მოგკლავენ, შეჭამენ ან შეგჭამენ – ასეთია კანონი. შორეულ წინაპართა დროიდან მოღწეულ ამ კანონს ბეკიც ემორჩილებოდა.

ბეკი იმ დროზე უფრო ხნიერი იყო, რომელშიც ცხოვრობდა და იმ ცხოვრებაზეც, რომელიც მის გარშემო არსებობდა. მასში წარსული აწმყოს ერწყმოდა და როგორც მარადიულობის მძლავრი რიტმი, წარსულისა და აწმყოს ხმები შენაცვლებით ჟღერდნენ. ეს ჰგავდა წლის დროთა ცვლილებას, მოქცევასა და უკუქცევას. ჯონ თორნტონის ცეცხლთან იჯდა ფართომკერდიანი, გრძელბალნიანი ძაღლი, რომელსაც თეთრი ეშვები ჰქონდა. ხოლო მის უკან უხილავად შეჯგუფებულიყვნენ ნახევრად მოშინაურებული და ველური მგლის ჯიშის ძაღლების აჩრდილები. ისინი ჯიუტად ახსენებდნენ მას საკუთარ არსებობას, გადასცემდნენ თავიანთ აზრებს, პირს იგემრიელებდნენ იმ ხორციტ, რომელსაც ის ჰამდა, წყურვილს იკლავდნენ იმ წყლით, რომელსაც ის სვამდა, ისმენდნენ ყველაფერს, რასაც ბეკი ისმენდა, უხსნიდნენ ველური ტყის ცხოვრებას, უნერგავდნენ მას თავიანთ წადილს, წარმართავდნენ მის ქცევებს. გვერდით ეწვნენ, როცა ეძინა, ხედავდნენ იმავე სიზმრებს და თვითონვე ესიზმრებოდნენ მას.

და ისეთი მზრძანებლური იყო ამ აჩრდილების ძახილი, რომ დღითი დღე ბეკის შეგნებაში ეს ადამიანები და მათი მოთხოვნები სულ უფრო და უფრო უკან იხევდნენ, უღრანი ტყის სიღრმიდან ესმოდა ძახილი და ხშირად ამ იდუმალი და მიმზიდველი ხმის გაგონებაზე, რომელიც თავისკენ უხმობდა, ბეკს ნერვული ჟრუანტელი უვლიდა ტანში. მაშინ იგი მზად იყო ზურგი შეექცია ცეცხლისა და გატკეპნილი მიწისათვის, შერეოდა ტყის სიხშირეს, გასცლოდა აქაურობას შორს, შორს, თუმცა არც აინტერესებდა, სად და რისთვის. ტყის სიღრმისკენ ეწეოდა საოცარი ძალა. მაგრამ, როგორც კი რბილ უვალ მიწაზე დაადგამდა ფეხს და ხეების მწვანე ჩრდილში მოხვდებოდა, ჯონ თორნტონის სიყვარული ისევ უკან, მის კერიასთან აბრუნებდა ბეკს.

მხოლოდ ჯონ თორნტონი აკავებდა, დანარჩენი ადამიანები ბეკისათვის არ

არსებობდნენ. გზაში შემხვედრი მოგზაურები ხანდახან აქებდნენ მას და ეალერსებოდნენ, მაგრამ ბეკი გულგრილი რჩებოდა მათი ალერსისადმი, ხოლო თუ ვინმე გულს გაუწყალებდა, ადგებოდა და გაეცლებოდა. როცა თორნტონის კომპანიონები – ჰანსი და პიტი დაბრუნდნენ დიდი ხნის ნანატრი ტივით, თავდაპირველად ბეკი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, სანამ არ მოისაზრა, რომ ისინი თორნტონის ახლობლები იყვნენ. შემდეგ კი ისევე ქედმაღლურად და მოწყალებულად იტანდა მათ ყოფნას, როგორც მათ თავაზიანობას. ჰანსი და პიტი თორნტონით გულლია ადამიანები იყვნენ, მასავით ბუნებასთან შეზრდილნი, მარტივი აზრებითა და ნათელი ხედვით დაჯილდოებულნი. და სანამ ისინი დოუსონს მიადგებოდნენ და ტივს მის მჩქეფარე წყალში სახერხ ქარხანასთან შეაცურებდნენ, უკვე კარგად იცნობდნენ ბეკსა და მის ჩვევებს და არც ითხოვდნენ მისგან იმ სიყვარულს, რომელსაც იჩენდნენ მათ მიმართ ნიგი და სკიტი.

თორნტონისადმი ბეკის სიყვარული კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. თორნტონი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც ეს ძალღი ნებას აძლევდა ზაფხულის დღეებში ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის დროს ზურგზე რაიმე ტვირთი გადაეკიდა. თორნტონის ბრძანების შესასრულებლად ბეკი მუდამ მზად იყო. ერთხელ, როცა მათ დაცურებულ ხე-ტყეში აღებული თანხით სანოვაგის მარაგი დაამზადეს და შემდეგ დოუსონიდან ტანანის სათავისაკენ გაუდგნენ გზას, ადამიანებმა და ძაღლებმა ფრიალო კლდის თავზე შეისვენეს, რომელიც სამასი ფუტის სიმაღლიდან კედელივით ეშვებოდა დაბლა, პიტალო ქვის მოედანზე. ჯონ თორნტონი კლდის ნაპირას იჯდა, ბეკი კი მის გვერდით. უცბად თორნტონს კვიმატი აზრი მოუვიდა თავში და ჰანსსა და პიტს გაანდო იგი.

– გადახტი, ბეკ! – უბრძანა მან და ხელით დაბლა უჩვენა, უფსკრულზე.

მეორე წუთში თორნტონი თვითონვე ეჭიდებოდა უფსკრულისაკენ გაქანებულ ბეკს, ჰანსი და პიტი კი ორივეს უკან ეწეოდა, უსაფრთხო ადგილისაკენ.

– ეს რაღაც გაუგონარი ამბავია! – თქვა პიტმა, როცა ყველანი დამშვიდდნენ და ლაპარაკის უნარი დაუბრუნდათ.

თორნტონმა თავი გაიქნია.

– არა, ეს შესანიშნავია და ამავე დროს საშიშიც. და იცით, რას გეტყვით, ხანდახან მაშინებს კიდევ ამ ძაღლის ერთგულება.

– არავითარი სურვილი არა მაქვს იმ კაცის ადგილზე ვიყო, ვინც ამის თანდასწრებით ხელს შეგახებს! – შენიშნა ბოლოს პიტმა და თავით ბეკზე ანიშნა.

– არც მე! – დაეთანხმა ჰანსი.

იმავე წელს, ქალაქ სერკლში მოხდა შემთხვევა, რომელმაც ცხადყო, რომ პიტი მართალი იყო. ერთხელ «შავმა ბარტონმა», ბრაზიანმა და გულღვარძლიანმა კაცმა, ლუდხანაში ჩხუბი აუტეხა ვიღაც ახალბედას, რომელიც ჯერ კიდევ არ იცნობდა ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს. თორნტონი კი, თავისი კეთილი ბუნების გამო, ჩაერია და უნდოდა მოჩხუბრების გაზავება. ბეკი, როგორც ყოველთვის, კუთხეში იწვა, თავი წინა თათებზე დაედო და პატრონის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა. ბარტონმა მოულოდნელად მთელი ძალით გაარტყა თორნტონს. თორნტონი ადგილს მოწყდა, მაგრამ დაცემას მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ დახლის მოაჯირს წაავლო ხელი და თავი შეიმაგრა.

ამ სურათის მაცურებლებს უცებ რაღაც უჩვეულო ხმა მოესმათ, ეს არც ყეფა იყო, არც ღმუილი. ეს იყო ველური მხეცის ღრიალი. ბეკის სხეულმა ჰაერში გაიელვა, რომ ბარტონს ყელში სწვდომოდა. ინსტინქტურად წინგაშვერილმა ხელმა იხსნა ბარტონი. მაგრამ ბეკმა იგი იატაკზე დასცა და ზემოდან მოექცა, შემდეგ კბილები მოაცილა მის

ხელს და ისევ შეეცადა ყელში სწვდომოდა. ამჯერად ბარტონმა მარჯვედ ველარ დაიცვა თავი და ბეკმა კისერზე კანი გადაახია. ლუდხანაში მყოფნი მისცვივდნენ ბარტონს და ძალლი მოაცილეს. და მაინც, სანამ ექიმი ცდილობდა ბარტონისათვის სისხლისდენა შეეჩერებინა, ბეკი ბარტონს გარშემო უვლიდა, მძვინვარედ ღმუოდა და კვლავ ცდილობდა სცემოდა მას, მაგრამ მტრების მოღერებული კეტების წინაშე უკან დაიხია. ოქროსმადიებლების სახელდახელოდ მოწვეულ «თათბირზე» აღიარეს, რომ ბეკს გაჯავრების საკმაო საფუძველი ჰქონდა და იგი გაამართლეს. ამ ამბავმა სახელი მოუხვეჭა ბეკს და ალიასკის ყოველ სოფელში ახსენებდნენ.

უფრო გვიან, იმავე წლის შემოდგომაზე, ბეკმა სულ სხვაგვარად გადაარჩინა სიკვდილს თორნტონი. სამ ამხანაგს გრძელი და ვიწრო ნავი მეორმოცე მილის სახიფათო ჭორომებზე უნდა გაეყვანა. ჰანსი და პიტი ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ. ნავს მიათრევდნენ ქერელის წვრილი ბაგირით, რომელსაც ხეებს მოსდებდნენ ხოლმე. თორნტონი კი ნავში იჯდა, ბაგირს იშველიებდა და ნაპირზე მყოფ ამხანაგებს ბრძანებებს აძლევდა. ბეკიც ნაპირ-ნაპირ მირბოდა ნავის გასწვრივ, პატრონს თვალს არ ამორებდა. ამკარად ღელავდა.

ერთ ძალზე საშიშ ადგილას, სადაც წყალქვეშა ქვების მთელი წყება იყო ამოშვერილი, ჰანსმა აუშვა თოკი და სანამ თორნტონი ბაჯირით მდინარის შუაგულისაკენ აძლევდა ნავს მიმართულებას, ჰანსი წინ გაიქცა. ხელში თოკის ბოლო ეჭირა, რომ ნავი მიეზიდა, როცა იგი წყალქვეშა ლოდებს გვერდს აუვლიდა. ნავი ქვებს გასცდა და დინებამ დაბლა გაიტაცა. ჰანსმა მოსწია თოკი და დაამუხრუჭა ნავი, მაგრამ ეს ძალზე მკვეთრად მოუვიდა. დიდი ბიძგისაგან ნავი გადაბრუნდა და ნაპირისაკენ წამოვიდა, თორნტონი კი დინებამ გაიტაცა ჭორომის ყველაზე საშიში ადგილისაკენ, რომელსაც ვერც ერთი საუკეთესო მცურავი ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა.

იმავე წუთს ბეკი წყალში გადახტა. სამასი იარდი გაცურა აზვირთებულ წყალში, თორნტონს დაეწია და, როგორც კი იგრძნო, რომ თორნტონი მის კუდს მოეჭიდა, ისევ ნაპირისაკენ გამოსწია. იგი მთელი ძალით უსვამდა თავის ღონიერ ტორებს. მაგრამ ბეკი ნელა მიდიოდა. ამ მიმართულებით ცურვაში უჩვეულოდ ძლიერი დინება უშლიდა ხელს. დაბლა მუქარით ღრიალებდა წყალი – მძვინვარე ნაკადი ჭავლებად და შხეფებად იფანტებოდა და ეხეთქებოდა მოლიპულ ლოდებს, რომლებიც სავარცხლის უზარმაზარი კბილებივით ამოშვერილიყო წყლიდან. უკანასკნელი ჭორომის სათავესთან ნაკადი საშინელი ძალით ატრიალებდა წყალს და ყველაფერს ითრევდა. თორნტონი მიხვდა, რომ ნაპირამდე ვერ მიაღწევდა. იგი ჯერ ერთ ლოდს მიეხეთქა, მერე მეორეს, შემდეგ წყალმა თავბრუდამხვევი ძალით გაისროლა მესამე ლოდისაკენ. ბეკის კუდს ხელი გაუშვა და ქვის ლიპ ზედაპირს მოეჭიდა ორივე ხელით. შემდეგ შეეცადა მდინარის ღრიალი დაეფარა და გასძახა:

– ბეკ, წადი წინ!

დინება დაბლა მიაქანებდა ბეკს, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა და ცდილობდა უკან მობრუნებულიყო. როცა ორჯერ მოესმა პატრონის ბრძანება, წყლის ზედაპირზე ამოიწია და თავი შემართა, თითქოს უკანასკნელად უნდოდა შეეხედა მისთვის, შემდეგ მორჩილად წავიდა ნაპირისაკენ. პიტმა და ჰანსმა სწორედ იმ დროს ამოათრიეს იგი, როცა სრულიად გამოეცალა ძალა და უკვე წყლის ყლაპვა დაიწყო.

ჰანსსა და პიტს ესმოდათ, რომ ლიპ ქვაზე თავის დამაგრება, როცა წყლის სწრაფი დინება ეხეთქებოდა, თორნტონს მხოლოდ ორიოდ წუთს თუ შეეძლო. ისინი მთელი სიწრაფით გაექანენ ნაპირ-ნაპირ იმ ადგილისაკენ, სადაც წყლის შუაგულში ქვას ჩაჭიდებული თორნტონი იყო. თოკი, რომელიც ნავს ება, ახლა ბეკს შეაბეს, ოღონდ ისე, რომ არ გაეგუდა იგი ან მოძრაობაში ხელი არ შეეშალა, და კვლავ წყალში შეაგდეს. ბეკი

გაბედულად შეიჭრა, მაგრამ პირდაპირ ლოდისკენ ვერ აიღო გეზი. თავისი შეცდომა ძალიან გვიან დაინახა: როცა თორნტონს გაუსწორდა და ის იყო ფეხის რამდენიმე მოქნევით შეეძლო დაეფარა დარჩენილი მანძილი, დინებამ ისევ გაიტაცა.

ჰანსმა მაშინვე მოსწია თოკი, თითქოს ბეკი ნავი ყოფილიყოს. მოულოდნელი ბიძგისაგან ბეკი წყალში ჩაიძირა და ასე დარჩა მანამდე, სანამ თოკით ეწეოდნენ ნაპირისაკენ. როცა ამოიყვანეს, იგი ძლივსღა სუნთქავდა; ჰანსმა და პიტმა სასწრაფოდ ამოანთხვეიეს ნაყლაპი წყალი, ხელოვნური სუნთქვით მოასულიერეს. ბეკი წამოდგა და ისევ დაეცა. მაგრამ უცბად თორნტონის ძლივს გასაგონი ხმა მოისმა, და თუმცა სიტყვები ვერ გაარჩიეს, მიხვდნენ, რომ დაყოვნება არ შეიძლებოდა, უნდა დახმარებოდნენ. პატრონის ხმამ ბეკზე ელექტროდენივით იმოქმედა. იგი წამოხტა და ნაპირს გაჰყვა სირბილით. ჰანსი და პიტიც მას მიჰყვნენ. ისინი იმ ადგილისაკენ მირბოდნენ, სადაც ბეკი პირველად ჩაუშვეს წყალში.

ისევ შემოახვიეს ბეკს თოკი და ისიც შეცურდა წყალში, მაგრამ ახლა უკვე მდინარის პირდაპირ შუაგულისაკენ აიღო გეზი. ბეკს შეეძლო ერთხელ შემცდარიყო, მეორეჯერ კი \_ არასოდეს. ჰანსი თანდათან შლიდა თოკს, თან თვალს ადევნებდა, რომ იგი ერთთავად დაჭიმული ყოფილიყო, პიტი კი დახლართულ თოკს ასწორებდა. ბეკი ერთი მიმართულებით მიცურავდა, სანამ თორნტონს არ გაუსწორდა. მერე შემობრუნდა და საფოსტო მატარებლის სიჩქარით გასწია პატრონისაკენ. თორნტონმა დაინახა მისკენ მიმავალი ძაღლი და, როცა სწრაფ დინებაში მოხვედრილი ბეკი ძლიერად მიენარცხა მას ტანით, იგი ორივე ხელით მოეჭიდა ბანჯგვლიან კისერზე. ჰანსმა თოკი მოსწია და ხეს შემოახვია. ბეკი და თორნტონი წყალში შთაინთქნენ. ნაპირს დიდი გაჭირვებით მიაღწიეს, წყალს ყლაპავდნენ, სული ეხუთებოდათ, მდინარის ქვიან ფსკერსა და გამოშვერილ ლოდებს ეხეთქებოდნენ, დროგამოშვებით ამოტივტივდებოდნენ და ამ დროს ხან ბეკი მოექცეოდა თორნტონის ქვეშ, ხან თორნტონი ბეკის ქვეშ.

როცა თორნტონი გონს მოვიდა, დაინახა, რომ პირქვე იწვა გამორიყულ მორზე, ხოლო ჰანსი და პიტი გულმოდგინედ აჯანჯდარებდნენ, რომ მოესულიერებინათ. თორნტონმა პირველ ყოვლისა თვალი შეავლო ბეკს, რომელიც მკვდარივით ეგდო. მის უსიცოცხლო სხეულს თავს წასდგომოდა ნიგი და საცოდავად ყმუოდა, სკიტი კი სველ დრუნჩს, სახეს და დახუჭულ თვალებს ულოკავდა. თავად დაღეწილი და დაჩეჩვილი თორნტონი, გონს მოვიდა თუ არა, მაშინვე მივიდა ბეკთან, სხეული გაუსინჯა და აღმოაჩინა, რომ სამი ნეკნი ჰქონდა გადატეხილი.

\_ მაშ ასე, გადაწყვეტილია, აქ ვრჩებით, \_ განაცხადა მან. და მანამდე დარჩნენ, ვიდრე ბეკს ისე არ შეუხორცდა ნეკნები, რომ გზის გაგრძელება შეძლებოდა.

იმ ზამთარს დოუსონში ბეკმა ახალი გმირობა ჩაიდინა, შეიძლება ისეთი არა, როგორც თორნტონის გადარჩენა იყო, მაგრამ ამ გამარჯვებამ მას კიდევ უფრო დიდი სახელი მოუტანა. ეს გმირობა სწორედ რომ მისწრება იყო სამი მამაკაცისათვის, რომელთაც მისი წყალობით მეტად საჭირო აღჭურვილობა იშოვეს, რათა გამგზავრებულიყვნენ დიდი ხნის ნანატრი უცნობი აღმოსავლეთისაკენ, სადაც ჯერ კიდევ არც ერთ ოქროსმადიებელს ფეხი არ დაედგა.

ყოველივე ეს «ელდორადოში» გამართული საუბრით დაიწყო. მამაკაცები ტრაზახობდნენ თავიანთი საყვარელი ძაღლებით. ბეკი, თავისი სახელის წყალობით, მიზანში იყო ამოღებული და თორნტონს სხვა გზა არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მედგრად დაეცვა მისი ავტორიტეტი. ნახევარი საათიც არ იქნებოდა, გასული, რომ ერთ-ერთმა მოსაუბრემ განაცხადა, ჩემ ძაღლს შეუძლია ადგილიდან დასძრას მარხილი, რომელზედაც ხუთასი გირვანქა ტვირთი იქნება და წაიყვანოს კიდევცო. ახლა მეორემ დაიტრაზახა, ჩემი ძაღლი ექვსასსაც ატარებსო, მესამემ კი \_ შვიდასსო.

– ეგ რა არის, – შენიშნა ჯონ თორნტონმა, – ბეკს ათასი გირვანქის დაძვრაც კი შეუძლია.

– და ასეთი ტვირთით ას იარდს გაივლის? – იკითხა მეტიუსონმა, ბონანზის ერთ-ერთმა მეფემ, სწორედ იმან, რომელიც ირწმუნებოდა, ჩემს ძაღლს შვიდასი გირვანქის დაძვრა და ტარება შეუძლიაო.

– დიახ, მარხილსაც დასძრავს და ას იარდსაც გაივლის, – მშვიდად დაუმოწმა ჯონ თორნტონმა.

– კარგი, – უთხრა მეტიუსონმა დინჯად, გარკვევით, ისე, რომ ყველას გაეგო მისი ნათქვამი, – სანამდღეს ვდებ ათას დოლარზე, რომ ამას ვერ გააკეთებს. აი, ფული, – და დახლზე დააგდო ოქროსქვიშიანი პარკი, რომელიც სისქით ბოლონის ძეხვს შეედრებოდა.

ხმა არავის ამოუღია. თორნტონის განცხადება ყველამ ბაქიობად ჩათვალა. თორნტონმა იგრძნო, როგორ მოაწვა ყელში სისხლი: მან თვითონაც არ იცოდა, როგორ წამოროშა ასეთი რამ. შესძლებს კი ბეკი, დაძვრას ათასგირვანქატვირთიანი მარხილი? ეს ხომ ნახევარი ტონაა! ამ საზარელმა ციფრმა უცბად შეაშინა თორნტონი. მას სჯეროდა ბეკის ღონისა და ხშირად უფიქრია, ყოველგვარი ტვირთის ზიდვა შეუძლიაო, მაგრამ არასოდეს აზრადაც არ მოსვლია ამის შემოწმება. აქ კი ახლა თორმეტიოდე კაცი მისჩერებია მას და ელის. მერე იყო და არც მას ჰქონდა ათასი დოლარი, არც ჰანსსა და არც პიტს.

– აქვე, ქუჩაში, ფქვილის ტომრებით დატვირთული მარხილი მიდგას, ზედ ოცი ტომარაა, თითო ორმოცდაათგირვანქიანი, – განაგრძობდა მეტიუსონი დაჟინებით. – ასე რომ, არაფერი შეგვაფერხებს.

თორნტონი ხმას არ იღებდა. არ იცოდა, რა ეპასუხა. ხან ერთს შეხედავდა დაბნეული, ხან – მეორეს, როგორც ადამიანი, რომელსაც გონება ვერ მოუკრებია. უცბად მისი მზერა ჯიმ ოზრაიანის სახეზე შეჩერდა. იგი მასტოდონის მეფე იყო და ოდესღაც მისი ამხანაგი გახლდათ. მან თითქოს უბიძგა და მიაღებინა ისეთი გადაწყვეტილება, რომლის მსგავსიც თორნტონს ფიქრადაც არ მოსვლია არასოდეს.

– შეგიძლია მასესხო ათასი დოლარი? – ჰკითხა მან თითქმის ჩურჩულით.

– რატომაც არა, – მიუგო ოზრაიანმა და დახლზე, მეტიუსონის ტომრის გვერდით მეორე ოქროსქვიშიანი მძიმე პარკი დაეცა, – თუმცა ნაკლებად მაქვს იმის იმედი, ჯონ, რომ შენმა ძაღლმა ეს შეძლოს.

ყველა, ვინც კი «ელდორადოში» იყო, ქუჩაში გამოეფინა, რომ დასწრებოდნენ ამ საინტერესო სანახაობას. ქალაქის სათამაშო მაგიდასთან აღარავინ დარჩა, მოთამაშეებიც გამოვიდნენ, რომ ენახათ, ვინ მოიგებდა სანამდღეს და თვითონაც დაედოთ ნიძლავი. ბეწვის ქურქებში გამოწყობილი და ხელჯაგებწამოცმული რამდენიმე ასეული კაცი ნახევარწრედ შემოერთყა მარხილს. მეტიუსონის მარხილი, რომელზედაც ათასი გირვანქა ფქვილი ეწყო, ორი საათის განმავლობაში იდგა აქ დიდ ყინვაში (თერმომეტრი მინუს სამოც გრადუსს აჩვენებდა) და კავები მიჰყინვოდა. სანამდღეს მოყვარულთა აზრი გაიყო. ზოგი მათგანი ორ წილს ჩამოდიოდა ერთის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, ბეკი მარხილს ვერ დასძრავსო, ახლა კამათი გაიმართა საექვო დებულებათა ირგვლივ. როგორ უნდა გაეგოთ სიტყვები: «მარხილის დაძვრა?» ოზრაიანის აზრით, თორნტონს უფლება ჰქონდა მოეცილებინა ყინული კავისათვის, გაეთავისუფლებინა მარხილი და ბეკს მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაეძრა იგი. მეტიუსონი კი ამტკიცებდა, სანამდღეს პირობის თანახმად ბეკმა თვითონ უნდა დაძვრას მარხილი, ისე, რომ მიყინული კავები ყინულს მოშორდესო. მოწმეების უმეტესობამ კამათი მეტიუსონის სასარგებლოდ გადაწყვიტა და ნიძლავმა ბეკის წინააღმდეგ აიწია:

სამი ერთთან.

მაგრამ ნიძლავი არავინ არ მიიღო – სანადლეოში მონაწილეობის მსურველი არ აღმოჩნდა. ვინ დაიჯერებდა, რომ ბეკს შეეძლო ასეთი გმირობის ჩადენა. თორნტონი გრძნობდა, რომ მეტად სარისკო გარიგებაში გაება. ახლა, როცა ის მარხილს უყურებდა, რომელშიც თოვლზე მოკუნტული ათი ძაღლი იყო შებმული, სულ უფრო მეტად ეპარებოდა ეჭვი ასეთი სასწაულის შესაძლებლობაში. მეტიუსონი კი ზეიმობდა.

– სამი ერთის წინააღმდეგ! – დაიძახა მან. – კიდევ ათასს ვდებ, თორნტონ! მოდის?

თორნტონს სახეზე დაეჭვება გამოეხატა, მაგრამ მასში უკვე ალაპარაკდა ის მეზრდოლი სულისკვეთება, რომელიც გაცილებით მაღლა დგას ყოველგვარ ანგარიშზე და ყრუა ყველაფრისადმი, ბრძოლის ყიჟინის გარდა. ალაპარაკებდა სულისკვეთება, რომლისთვისაც არ არსებობს შეუძლებელი. მან ჰანსი და პიტი მოიხმო. ისინი საკმაოდ ჯიბეგაფხეკილები იყვნენ და სამივემ ერთად ორასი დოლარი ძლივს შეაგროვა. ბოლო დროს ბედი არ სწყალობდათ, ეს ორასი დოლარი შეადგენდა მათ კაპიტალს. მაგრამ მაინც უყოყმანოდ დადეს მეტიუსონის ექვსასი დოლარის საპირისპიროდ.

მეტიუსონის ათი ძაღლი მარხილიდან გამოხსნეს და ბეკი შეაბეს თავისი საკუთარი აღკაზმულობით. ირგვლივ გამეფებული აღტყინება მასაც გადაედო, ბეკი ალღოთი ხვდებოდა, რომ საჭირო იყო ჯონ თორნტონისათვის გაეკეთებინა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. ამ შესანიშნავი გარეგნობის პირუტყვის დანახვაზე აღფრთოვანებული ჩურჩული გაისმა. ბეკი მშვენივრად გამოიყურებოდა, ერთი უნცია ზედმეტი ქონიც არ ჰქონდა და ის ასორმოდებათი გირვანქა წონა, რომელიც მას გააჩნდა, ასორმოდებათი გირვანქა უდრეკი ენერგია და თავდადება იყო. მისი ხშირი ბალანი აბრეშუმით ბზინავდა, კისერზე და მხრებზე ბეწვი ფაფარს მოგაგონებდათ და, მაშინაც კი, როცა მშვიდად იდგა, თითქოს მოძალეებული ენერგიისაგან აეფოფრებოდა ხოლმე. ფართო გულ-მკერდი და ღონიერი წინა ფეხები მთელი სხეულის პროპორციული ჰქონდა, კანქვეშ კი დაძაგრული კუნთები მოუჩანდა. ხალხი ახლოს მიდიოდა, ხელით უსინჯავდა კუნთებს და აცხადებდა, რკინასავით მაგარიყო. ნიძლავმა დაიწია – ახლა უკვე ორ წილს ჩამოდიოდნენ ერთის წინააღმდეგ.

– დიდებული ძაღლი გყოლიათ, სერ, დიდებული! – შენიშნა სკუკუმ-ბენჩის ახალი დინასტიის ერთ-ერთმა მეფემ. – რვაასს მოგცემთ მაგ ძაღლში გამოცდამდე, სერ, გაითვალისწინეთ. რვაასს გაძლევეთ ისეთში, როგორსაც ვხედავ.

თორნტონმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და ბეკს მიუბრუნდა.

– არა, მოსცილდით ძაღლს! – წინააღმდეგობა გაუწია მეტიუსონმა, – მოქმედების თავისუფლება მიეცით და მაშინ იქნება პატიოსანი თამაში.

ბრბო მიყუჩდა, მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა ხმა, რომელიც ამაოდ სთავაზობდა სანადლეოს ორს ერთის წინააღმდეგ. ყველა აღიარებდა, რომ ბეკი დიდებული ძაღლია, მაგრამ ოცი ორმოდებათფუთიანი ტომარა ფქვილი ძალიან დიდი ტვირთი იყო და მაცურებლები ვერ ბედავდნენ ფულის ჩამოსვლას.

თორნტონმა ჩაიმუხლა ბეკის ახლოს, ორივე ხელი თავზე წაავლო და ლოყით მის ლოყას მიეკრა. დღეს ჩვეულებისამებრ როდი ანჯღრევდა ხუმრობით, არც სალანძღავ სიტყვებს ეუბნებოდა სიყვარულით. არა, მან მხოლოდ ჩასჩურჩულა ყურში:

– თუ გიყვარვარ, ბეკ... თუ გიყვარვარ... – და ბეკიც ძლივს დაოკებული მოუთმენლობით აწკმუტუნდა.

თავმოყრილი ხალხი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ამ სურათს. ამაში იყო რაღაც იდუმალი, ყველაფერი ეს თითქოს რაღაც შელოცვას ჰგავდა. როცა თორნტონი ადგა, ბეკმა კბილები ჩაავლო ხელჯაგებწამოცმულ მტევანში. ფრთხილად მოუჭირა, შემდეგ ნელა, უხალისოდ გაუშვა. ეს იყო მისი უსიტყვო პასუხი – ასე გამოხატავდა იგი

პატრონის სიყვარულს. თორნტონმა კარგა მანძილით დაიხია უკან.

\_ აბა, ბეკ! \_ შესძახა მან.

ბეკმა მოჭიმა თასმები, შემდეგ მოუშვა ისინი რამდენიმე დუიმით, ეს მისი ჩვეული ხერხი იყო.

\_ წინ! \_ მკაფიოდ გაისმა თორნტონის ხმა დაძაბულ სიჩუმეში.

ბეკი შეირხა, დაიღუნა, თითქოს ჩაყვინთვას აპირებდა. ღვედები დაჭიმა და ერთბაშად, მოწყვეტით, ზეზეურად შეაჩერა ადგილზე თავისი ასორმოდდაათგირვანქიანი სხეული. მარხილზე ტვირთი შეირხა, კავის ქვეშ ტკაცანი მოისმა.

\_ მიდი, ბეკ! \_ დაუყვირა თორნტონმა.

ბეკმა იგივე მანევრი გაიმეორა და მარცხნივ გაიწია. ახლა უკვე ხმაურით მოადინა ყინულმა ლაწანი. მარხილი შეინძრა და კავებმა ჭრიალით გადაინაცვლეს თავისი ადგილიდან რამდენიმე დუიმით. მარხილი გათავისუფლდა ყინულისაგან, რომლითაც იგი ადგილზე იყო დაკრული. ხალხს უნებლიეთ სუნთქვა შეეკრა.

\_ ახლა წინ!

თორნტონის ბრძანება დამბაჩის გავარდნასავით გაისმა. ბეკმა მაგრად დაჭიმა ღვედები და მთელი ძალით გაიწია წინ. სხეული საშინელი ძალით დაძაბა, კუნთები გამოეზურცა და აბრეშუმისმაგვარი ბალნის ქვეშ ცოცხალ არსებასავით აუმოდრავდა. ფართო მკერდით თითქმის მიწას ეხებოდა, თავი წინ და დაბლა გაეწია, ფეხები მთელი სისწრაფით მოძრაობდნენ და მაგრად დატკეპნილ თოვლზე პარალელური ხაზები ჩნდებოდა, დაძრული მარხილი ირხეოდა და თრთოდა. უცბად ბეკს ფეხი დაუცდა, ვიღაცა კაცს ხმამაღალი ოხვრა აღმოხდა. მაგრამ უკვე დაძრული მარხილი აღარ გაჩერებულა, ბიძგებით წავიდა წინ და ჯერ ნახევარი დუიმი გაიარა... შემდეგ დუიმი... კიდევ ორი დუიმი. ბიძგები ნელ-ნელა კლებულობდა, მარხილმა ბოლოს ინერცია განავითარა, სიჩქარეს მოუმატა და ბეკმა წინ გასწია.

ადამიანებმა შვებით ამოისუნთქეს \_ ვერც კი გრძნობდნენ, რომ ერთი წუთის წინ თითქმის არც კი სუნთქავდნენ. თორნტონი სირბილით მიჰყვებოდა მარხილს უკან და მხიარული შემახილებით ამხნევებდა ბეკს. მანძილი წინასწარვე იყო გაზომილი და, როცა ბეკი ფიჩხის შეკვრასთან მივიდა, რომელიც ასი იარდის ბოლოს დაედოთ, აღფრთოვანებული შემახილები გაისმა. შემახილები ღრიანცელში გადავიდა, როცა ბეკი შეკვრას გასცდა და თორნტონის ბრძანებით შეჩერდა. ყველანი აღტაცებულნი იყვნენ, თვით მეტიუსონიც კი. ქუდები და ხელჯაგები ჰაერში ფრინავდნენ. ადამიანები სიხარულით ხელს ართმევდნენ ერთმანეთს ისე, რომ ვერც კი არჩევდნენ, ვინ იდგა მათ წინ, ნაცნობი თუ უცნობი. მხიარული შემახილები რაღაც გაურკვეველ გუგუნად იქცა.

თორნტონს კი ბეკის წინ ჩაემუხლა, შუბლით მის შუბლს მიყრდნობოდა და აქეთ-იქით აქანებდა. იმათ, ვინც წინ გაიჭრა, ესმოდათ, რა დიდხანს, სიამოვნებით, სიყვარულით და ნაზად ლანძღავდა თორნტონი ბეკს.

\_ გასაოცარია, სერ! გასაოცარი! \_ ბურტყუნებდა სკუკუმ-ბენჩის მეფე, \_ ათასს გაძლევთ მაგ ძაღლში, მთელ ათასს, სერ... ჰა, გინდათ ათას ორასი?

თორნტონი წამოდგა. თვალები ცრემლიანი ჰქონდა და არც ცდილობდა დაეფარა, ცრემლი სახეზე რომ ღვარად ჩამოსდიოდა.

\_ არა, სერ, \_ მიუგო მან სკუკუმ-ბენჩის მეფეს, \_ არ მინდა. მომშორდით და ჯანდაბამდე გზა გქონიათ, სერ! აი, ეს არის სულ, რაც შემთხვევით გირჩიოთ.

ბეკი კბილებით სწვდა თორნტონის ხელს. თორნტონმა კვლავ გააქან-გამოაქანა იგი. მაყურებლებმა, რომლებსაც ერთი და იგივე გრძნობები ამოდრავებდათ, გარკვეული მანძილით დაიხიეს უკან და აღარავინ გამოჩნდა ისეთი მოურიდებელი, ვინც თავს ნებას

მისცემდა, ხელი შეეშალა მათი უტყვეი საუბრისათვის.

## VII

### მახილი გაიგონეს

როცა ჯონ თორნტონმა ბეკის წყალობით ხუთ წუთში ათას ექვსასი დოლარი იშოვა, შესაძლებლობა მიეცა ვალები გაესტუმრებინა და თავის მეგობრებთან ერთად გადაკარგული ოქროს საბადოების საძებნელად გაეწია აღმოსავლეთისაკენ, რომელზედაც ისეთივე ძველისძველი ლეგენდა დადიოდა, როგორც ამ ქვეყნის ისტორია იყო. ბევრი ეძებდა ამ საბადოებს, ცოტამ იპოვა, უმეტესობა კი ვეღარ დაბრუნდა მოგზაურობიდან. ზღაპრული საბადო ბევრის ტრაგედიის მიზეზი გახდა და იდუმალებით იყო გარემოცული. არავინ იცოდა, ვინ აღმოაჩინა იგი პირველად. უძველესი ლეგენდებიც კი არაფერს ამბობდნენ ამაზე. ხალხმა იცოდა მხოლოდ, რომ იმ ადგილას იდგა ძველი, დანგრეული ქოხი. ზოგი ოქროსმადიებელი სიკვდილის წინ იფიცებოდა, სახლიც და საბადოც ვნახეო, და ამის დასამოწმებლად ოქროს ზოდებს აჩვენებდა, რომლის მსგავსი მთელ ჩრდილოეთში არ მოიძებნებოდა. მაგრამ ცოცხლებს შორის სად იპოვიდით ვინმეს, რომელსაც რაიმე მოეპოვებინა ამ საგანძურიდან, მკვდრები კი მკვდრებად რჩებოდნენ. ჯონ თორნტონმა, პიტმა და ჰანსმა თან წაიყვანეს ბეკი, კიდევ ექვსი სხვა ძალლი და გასწიეს აღმოსავლეთისაკენ ჯერეთ უვალი გზით. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მიაღწევდნენ ადგილს, სადაც ჯერ კიდევ ფეხი არ დაედგა არც ერთ ადამიანს, არც ერთ ძალლს. ისინი მდინარე იუკონს აუყვნენ და სამოცდაათი მილი გაიარეს, შემდეგ მარცხნივ გაუხვიეს, მდინარე სტიუარტს გასდიეს, გაიარეს მეიო და მაკ-კვემჩენი და იქ მივიდნენ, სადაც მდინარე სტიუარტი პატარა ნაკადულად იქცეოდა და მატერიკის გაყოლებით მიმავალი მთის ციცაბო კალთების ირგვლივ მიიკლაკნებოდა.

ჯონ თორნტონი ბევრს არ მოითხოვდა ადამიანისა და ბუნებისაგან. უკაცრიელი ადგილები მას არ აშინებდა. ერთ მუჭა მარილს ჯიბეში ჩაიყრიდა, ზურგზე თოფს მოიგდებდა და გასწევდა უღრანი ტყეებისკენ, დაეხეტებოდა, სადაც უნდოდა და რამდენიც უნდოდა. ინდიელივით ცხოვრობდა, არასოდეს და არსად არ ექჩარებოდა და ხეტიალის დროს ნადირობით შოულობდა საკვებს. თუ ნანადირევი არ იყო, ინდიელისავე სიმშვიდით განაგრძობდა გზას იმ რწმენით, რომ ადრე თუ გვიან მაინც წააწყდებოდა რამეს. აღმოსავლეთისაკენ ამ დიდი მოგზაურობის დროსაც მათ საკვებს ნანადირევი ახალი ხორცი შეადგენდა, მარხილის ტვირთს – აღჭურვილობა და აუცილებელი ხელსაწყო-იარაღები. პროგრამა კი განუსაზღვრელი დროით ჰქონდათ შედგენილი.

ბეკი უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობდა თავს. ასეთი ცხოვრება: ნადირობა, თევზის ჭერა, ახალ, უცნობ ადგილებში ხეტიალი მისთვის ნეტარება იყო. ისინი რამდენიმე კვირის განმავლობაში ხან შეუსვენებლივ მიდიოდნენ, ხან გაშლიდნენ ბანაკს და ისევ რამდენიმე კვირის მანძილზე ისვენებდნენ. მაშინ ძაღლები უსაქმურად იყვნენ, ადამიანები კი ჩიჩქნიდნენ გაყინულ მიწას და ქანებს, გაუთავებლად რეცხავდნენ მათ ვარცლში ცეცხლთან და შიგ ოქროს ეძებდნენ. ხან შიმშილობდნენ, ხან ყველაფერი თავზესაყრელი ჰქონდათ. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, ბევრი შეხვდებოდათ თუ არა გზაში ნადირი და ილბლიანად დამთავრდებოდა თუ არა ნადირობა. მოვიდოდა

ზაფხული და ადამიანები და ძაღლებიც აჩონჩხილი მარხილიანად ტივებით გადადიოდნენ მთის ცისფერ ტბებს, ჩამოჰყვებოდნენ ან აჰყვებოდნენ უცნობ მდინარეთა დინებას ხიდან გამოთლილი ფუტურო ნავეებით.

გადიოდა თვეები, ისინი კი ისევ ისე დახეტილობდნენ ამ გამოუკვლეველი მიწის უდაბურ სივრცეებში, სადაც არ იყო ადამიანი, მაგრამ ოდესღაც ყოფილა იგი, თუკი დაუუჯერებთ მიტოვებული ქობის ლეგენდას. გადადიოდნენ მთიან ქედებს, რომლებიც ჰყოფდნენ მდინარეებს, არაერთხელ მოხვედრილან აქ ნამქერში. სიცივით კანკალებდნენ შუალამის მზის ქვეშ ხრიოკ მწვერვალებზე, ტყეებისა და თოვლის მუდმივი სამყაროს მიჯნებზე. ჩამოდიოდნენ თბილ ველებზე, სადაც ღრუბელივით დაქროდა მუშლი და მყინვარების ჩრდილში აგროვებდნენ მწიფე მარწყვსა და ყვავილებს, რომლებიც სილამაზით არ ჩამოუვარდებოდნენ სამხრეთულს. შემოდგომაზე ისინი მოხვდნენ ტბების ჯადოსნურ, ნაღვლიან და მდუმარე მხარეში, სადაც, ალბათ, ოდესღაც იყო ნადირი, ახლა კი სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა – მხოლოდ ცივი ქარი სისინებდა, იყინებოდა წყალი მოფარებულ ადგილებშიც კი და მელანქოლიურად ხმიანობდნენ უკაცრიელ ნაპირებზე გადმოდენილი ტალღები.

მეორე ზამთარიც მიდიოდა და ისინი ისევ ეძებდნენ დიდი ხნის წინათ გამქრალი ადამიანის ნაკვალევს, რომელიც მათ მოსვლამდე ყოფილა აქ. ერთხელ ბილიკს წააწყდნენ, რომელიც თეთრად მოჩანდა უღრანი ტყის სიბნელებში. ეს იყო დიდი ხნის ბილიკი, და მათ წარმოიდგინეს, რომ მიტოვებული ქობი სადღაც აქვე, სულ ახლოს იყო. მაგრამ ბილიკს არც თავი უჩანდა, არც ბოლო და გაუგებარი რჩებოდა, ვინ გაკვალა იგი და რა საჭიროებისათვის. მეორეჯერ ისინი მონადირის დროებით აგებული ქობის ნანგრევებს წააწყდნენ, სადაც საბნების დაფერფლილ ნაგლეჯებს შორის ჯონ თორნტონმა გრძელლულიანი კაჟის თოფი იპოვა. მან იცოდა, რომ ამ ტიპის თოფებს უშვებდა ჰუმონის ყურის კომპანია ჩრდილო-დასავლეთისკენ საყოველთაო ლტოლვის პირველ წლებში. მაშინ ერთ თოფში იძლეოდნენ ამ თოფის სიმალლეზე მჭიდროდ დაწყობილ თახვის ტყავებს. ნანგრევებს შორის მეტი არაფერი მოიძებნა ისეთი, რაც დაადასტურებდა აქ ადამიანის ყოფნას, რომელმაც ეს ქობი ააშენა და საბნებს შორის დატოვა თავისი თოფი.

ისევ მოვიდა გაზაფხული და ბევრი ხეტიალის შემდეგ მათ, ბოლოს და ბოლოს, იპოვეს არა ლეგენდარული მიტოვებული ქობი, არამედ ვრცელ ველზე წააწყდნენ ზეფენობრივ ქვიშრობს, სადაც იმდენი ოქრო იყო, რომ რეცხვის დროს ყვითელი ერბოსავით ილექებოდა ვარცლის ფსკერზე. სამმა მეგობარმა აღარ გააგრძელა ძებნა. ისინი აქ ერთი დღის განმავლობაში ათასი დოლარის ოდენობის სუფთა ოქროს ქვიშას და ზოდებს რეცხავდნენ, მუშაობდნენ კი ყოველდღე. ოქროს ირმის ტყავის ტომრებში ყრიდნენ, თითოში ორმოცდაათ გირვანქას, ტომრებს კი ერთიმეორეზე აწყობდნენ, როგორც შუშას კარვის წინ, რომელიც ნაძვის ტოტებისაგან ჰქონდათ მოწული. მძიმე სამუშაოთი გართულნი, ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ სიზმარივით გარბოდა დღეები. ოქროს ტომრები კი მატულობდა და მატულობდა.

ძაღლებს გასაკეთებელი აღარაფერი ჰქონდათ რა, მხოლოდ ხანდახან უხდებოდათ ნანადირევის მოტანა, რომელსაც ჯონ თორნტონი კლავდა, ამიტომაც ცეცხლთან მოკალათებული ბეკი ერთთავად ფიქრებში იყო წასული. უსაქმურობის საათებში სულ უფრო ხშირად ელანდებოდა მოკლეფეხებიანი ბანჯგვლიანი ადამიანი. ბეკი თვალმიჭუტული მისჩერებოდა ცეცხლს და წარმოიდგენდა, როგორ დაეხეტებოდა ამ კაცთან ერთად სხვა სამყაროში, რომელიც ბუნდოვნად აგონდებოდა.

ამ სხვა, უცხო სამყაროში, ეტყობა, შიში იყო გაბატონებული. როცა ბეკი აკვირდებოდა

ბანჯგვლიან ადამიანს, რომელსაც ცეცხლის პირას ეძინა, თავი მუხლებში ჩაერგო და ზედ მკლავები შემოეჭდო, ამჩნევდა, რომ მას მოუსვენარი ძილი ჰქონდა, ხშირად შეკრთებოდა. გამოღვიძებისას შეშინებული აცეცებდა თვალებს სიბნელეში და ცეცხლს შემას უმატებდა. ხოლო როცა ზღვის ნაპირას მიდიოდნენ, სადაც ბანჯგვლიანი კაცი ნიჟარებს კრებდა და იქვე ყლაპავდა, იგი ერთთავად თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, რომ დაენახა, ხიფათი ხომ არსაიდან მელისო, ფეხები კი ისე მოემართა, რომ პირველი საშიშროებისთანავე გასცლოდა იქაურობას. ტყეში ჩუმად მიიკვლევდნენ გზას, წინ ბანჯგვლიანი კაცი მიდიოდა, უკან ბეკი მისდევდა. ორივენი ერთთავად ყურდაცქვეტილნი და დამაბულნი იყვნენ, ნესტოები უთრთოდათ, რადგან კაცსაც ისეთივე კარგი სმენა და ყნოსვა ჰქონდა, როგორც ბეკს. ბანჯგვლიანს ისევე სწრაფად შეეძლო ხეზე აძრომა, როგორც მიწაზე სირბილი. ერთი ტოტიდან მეორეზე გადადიოდა, ერთი ხიდან მეორე ხეზე ხტებოდა დაახლოებით თორმეტიოდე ფუტის სიშორეზე. თან წონასწორობას იცავდა ჰაერში და არასოდეს ვარდებოდა. ხეზე ისევე კარგად და თავისუფლად გრძნობდა თავს, როგორც მიწაზე. ბეკს ახსენდებოდა ის ღამეები, როცა ყარაულობდა ხეს, რომელზედაც ტოტებს ჩაფრენილ ბანჯგვლიან კაცს ეძინა.

და ამ ბანჯგვლიანი კაცის ზმანებათა შესაფერისი იყო ის ძახილიც, რომელიც ბეკს კვლავ ესმოდა ტყის სიღრმიდან. ეს ძახილი აღელვებდა ბეკს, გაურკვეველ სურვილებს აღუძრავდა. მას რაღაც ბუნდოვანი სიხარული და მოუსვენრობა ეუფლებოდა, საოცარი სევდა იპყრობდა, მაგრამ ვერ გაეგო, რითი იყო იგი გამოწვეული. ხანდახან გარბოდა ტყეში, საიდანაც ეს ძახილი ესმოდა, ეძებდა, როგორც ხელშესახებ რაიმე საგანს, და ყეფდა ხან ჩუმად, ხან უფრო ხმამაღლა, განწყობისდაგვარად. ცხვირს ჩაჰყოფდა ტყის ცივ ხავსში, ხან მაღალი ბალახით დაფარულ ნოტიო მიწაში, ისუნთქავდა მათ სუნს და ნეტარებისაგან ფრუტუნებდა. ხან კი თითქოს ვინმეს ჩასაფრებიაო, ფართოდ თვალებგახელილი, ყურებდაცქვეტილი, საათობით იწვა გრიგალისაგან წაქცეული, ღრუბლით შემოსილი ხეების უკან და ყურს უგდებდა ირგვლივ ყოველგვარ ხმაურს, ფაჩუნიც კი არ გამოეპარებოდა. ვინ იცის, მწოლიარე უდარაჯებდა იმ უცნობ ძახილს, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა. მან თვითონაც არ იცოდა, რატომ აკეთებდა ამას: იგი ემორჩილებოდა რაღაცას, რაც მასზე უფრო ძლიერი იყო, და ყოველივეს შეუგნებლად აკეთებდა.

ბეკი ახლა დაუძლეველი ინსტინქტების ტყვეობაში იყო. ხანდახან ბანაკში იწვა და სითბოში ნებივრად თვლემდა, უცბად თავს მაღლა ასწევდა, ყურებს დაცქვეტდა, დამაბული უსმენდა რაღაცას, შემდეგ წამოხტებოდა და გარბოდა, საათობით დარბოდა ტყეში ან გაშლილ ველზე. მას უყვარდა მდინარის დამშრალ კალაპოტში სირბილი, ტყის ფრინველთა ცხოვრებისათვის თვალყურის დევნება, დღიდან დღემდე იწვა ბუჩქებში, საიდანაც შეიძლებოდა ეთვალთვალა გნოლებისათვის, რომლებიც ფრთების ბათქუნით თავმომწონედ დაფრინავდნენ ხან აღმა და ხან დაღმა. მაგრამ ბეკს ყველაზე მეტად მოსწონდა ზაფხულის ღამის ნათელ ბინდბუნდში სირბილი და მძინარე ტყის ჩუმი, ყრუ ჩურჩული, ბგერებისა და ნიშნების გამოცნობა და წაკითხვა, როგორც ადამიანი კითხულობს წიგნს, და იმ იდუმალის ძებნა, ვისი ძახილიც ესმოდა მუდამაჟამს, ცხადად თუ სიზმრად.

ერთხელ, ღამით, მძინარე ბეკი შეშინებული წამოხტა, თვალები ფართოდ გაახილა და მთრთოლვარე ნესტოებით ჰაერი შეისუნთქა. ბალანი ყალყზე დაუდგა და ქარით აქოჩრილი ტალღებივით აეშალა, ტყიდან ისე გარკვევით და ცხადად ისმოდა იდუმალი ძახილი (თუ მხოლოდ მისი ერთი ბგერა, რადგან ძახილი მრავალხმიანი იყო), როგორც არასდროს. ეს იყო გაბმული ყმუილი, რომელიც ჰგავდა და არც ჰგავდა ტვირთმზიდავი

მაღლის ყმუილს. ბეკს იგი ეცნაურა, დიახ, ეს ხმა მას უკვე გაეგონა ოდესღაც. რამდენიმე ნახტომით გაირბინა მძინარე ბანაკი და უხმაუროდ და სწრაფად გაქანდა ტყისკენ. როდესაც იდუმალი ხმა სულ ახლოს გაისმა, ბეკმა ნაბიჯს უკლო, ფრთხილად წავიდა წინ. ბოლოს გაშლილ ველს მიადგა, ხეებში გაიხედა და გამძვალტყავებული დიდი მგელი დაინახა, რომელსაც დრუნჩი მაღლა აეშვირა და ყმუოდა.

ბეკი უხმაუროდ მიუახლოვდა, მგელმა მაინც იგრძნო მისი იქ ყოფნა, ყმუილი შეწყვიტა, ჰაერი შეიყნოსა, ცდილობდა გაერკვია, სად იყო მტერი. ბეკი დაიძაბა, კუდი აბზიკა და მისთვის უჩვეულო, გაუბედავი ნაბიჯით გავიდა მინდორზე. მის ყოველ მოძრაობაში იყო მუქარაც და იმავ დროს მეგობრულად შეთავაზებული მშვიდობიანობაც. სწორედ ასე ხვდებიან ერთმანეთს ტყის მტაცებლები. მაგრამ მგელმა ბეკის დანახვისთანავე მოკურცხლა. დაწვეის გააფთრებული სურვილით შეპყრობილი ბეკი დიდი ნახტომებით გამოუდგა უკან და დამშრალ კალაპოტში შეაგდო იგი. გასასვლელი აქ ჯაგნარს ჩაეხერგა. მგელი აქეთ-იქით მიაწყდა კალაპოტს, დატრიალდა, უკანა ფეხებზე ჩაჯდა, როგორც ამას ჯო და სხვა ტვირთმზიდავი ძაღლები აკეთებდნენ, როდესაც მათ ჩიხში მოიმწყვდევდნენ ხოლმე. მგელი ღმუოდა და, ბალანაშლილი, გაუთავებლად აღრჭიალებდა კბილებს.

ბეკი თავს არ ესხმოდა. მხოლოდ გარს უვლიდა და ყოველნაირად ცდილობდა დაემტკიცებინა მისთვის კეთილი განზრახვა. მგელი მაინც ეჭვით შეჰყურებდა, ეშინოდა, ბეკი სამჯერ უფრო დიდი იყო მასზე და მთელი თავით მაღალი. მგელმა დრო იხელთა, კვლავ გაიქცა და ბეკიც კვლავ უკან დაედევნა. დროდადრო ისევ რომელიმე ჩიხში მოიმწყვდევდა და ყველაფერი კვლავ თავიდან მეორდებოდა. მგელი ძალზე დასუსტებულიყო შიმშილისაგან, თორემ ბეკი ასე ადვილად რას დაეწეოდა. მგელი გარბოდა და, როცა ბეკის თავი მხარამდე მისწვდებოდა, მკვეთრად, თითქოს თავის დასაცავად, შემობრუნდებოდა ხოლმე, შემდეგ ისევ გარბოდა.

ბოლოს ბეკის სიჯიუტემ გაიმარჯვა. მგელი დარწმუნდა ბეკის უვნებლობაში, დრუნჩი დრუნჩს მიადეს, დაყნოსეს ერთმანეთი. ასე დაამყარეს მეგობრული ურთიერთობა და დაიწყეს თამაში, მაგრამ იმ შიშნარევი და დამაბული სიფრთხილით, რომლითაც ველური მხეცები თავის მძვინვარებას მალავენ ხოლმე. რამდენიმე ხნის შემდეგ მგელი თამაშ-თამაშით გაემართა ტყისკენ და ბეკს აგრძნობინა, სადღაც მიმეჩქარება და შენც გეპატიჟებიო. მხარდამხარ მირბოდნენ ისინი მრუმე წყვილიადში, ჯერ მაღლა აუყვანენ მძინარეს იმ ხეობაში, რომლის ფსკერზედაც იგი მიედინებოდა, შემდეგ ყინულოვანი მთების გადაღმა გადავიდნენ, სადაც იგი სათავეს იღებდა.

წყალგამყოფის მოპირდაპირე ფერდობით ვაკეზე დაეშვნენ, სადაც ვეება ტყეები გადაჭიმულიყო და ნაკადული დიოდა. გადიოდა საათები, მზე შუბისწვერზე დადგა და საგრძნობლად დათბა კიდეც. ბეკი ნეტარებას განიცდიდა. ახლა იგი ბოლოს და ბოლოს გამოეხმაურა მახილს და იცოდა, რომ თავის ტყიურ ძმასთან ერთად მირბოდა იქით, საიდანაც მბრძანებლური იდუმალი მახილი მოისმოდა. მასში სწრაფად იღვიძებდნენ ძველი მოგონებები და ისიც ისევე ეხმაურებოდა მათ, როგორც ოდესღაც იმ სინამდვილეს, რომლის აჩრდილებიც ეს მოგონებები იყვნენ. ყველაფერი, რაც იყო ახლა, ხდებოდა ოდესღაც იქ, სხვა სამყაროში, რომელიც მას ბუნდოვნად ახსოვდა. ასევე თავისუფლად დარბოდა იგი, ქვეშ ფეხდაუკარები მიწა იყო, მაღლა, თავზე კი – თვალუწვდენი ცა.

ნაკადულთან შედგნენ წყლის დასალევად. ბეკს უცებ ჯონ თორნტონი გაახსენდა და ჩაჯდა. მგელმა განაგრძო გზა იქითკენ, საიდანაც, ეტყობა, მახილი მოისმოდა, მაგრამ შემდეგ დაბრუნდა ბეკთან, დრუნჩი დრუნჩზე მიადო და შეეცადა წაექეზებინა იგი. მაგრამ ბეკმა ზურგი შეაქცია და ნელა დაადგა შინისაკენ მიმავალ გზას. თითქმის

მთელი საათის განმავლობაში ტყიური ძმა გვერდით მისდევდა და შესაბრალისად წკმუტუნებდა. შემდეგ დაჯდა, დრუნჩი მალლა ასწია და ყმუილი მორთო. ნაღვლიანი ყმუილი მიმავალ ბეკს კიდევ დიდხანს ესმოდა, სანამ იგი სულ არ ჩაკვდა შორ მანძილზე.

ჯონ თორნტონი სადილობდა, როცა ბეკი ბანაკში შევარდა და პირდაპირ მას ეცა. სიყვარულით გახელებულმა, მიწაზე წააქცია პატრონი, ზედ ახტებოდა, სახეს ულოკავდა, ხელზე კბენდა, ერთი სიტყვით, «ლაზდანდარობდა», როგორც ამას ჯონ თორნტონი უწოდებდა. თავის მხრივ ჯონმა თავში ჩაავლო ხელები, დიდხანს აჯანჯღარა და სიყვარულით ლანძღავდა.

ორი დღე-ღამის განმავლობაში ბეკი არ გასცილებია ბანაკის საზღვრებს, თვალი არ მოუშორებია თორნტონისათვის. ყველგან ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, საბადოებზე თან ახლდა, შეჰყურებდა, როგორ შეექცეოდა საჭმელს, როგორ შემვრებოდა ღამდამობით და როგორ გამოძვრებოდა ხოლმე დილაობით საბნიდან. მაგრამ ორი დღე გავიდა და ბეკს კიდევ უფრო დაბეჯითებით შემოესმა ტყიდან ძახილი. ბეკმა ისევ დაკარგა მოსვენება, იგონებდა მთებს გადაღმა გაშლილ მხიარულ ველებსა და ველურ ძმას, რომლის მხარდამხარაც დარბოდა ტყის თვალუწვდენელ სივრცეში. ბეკი კვლავ გაიჭრა ტყეში, მაგრამ ველური ძმა ვეღარ იპოვა. გრძელი ღამეების განმავლობაში სმენად იყო გადაქცეული, ცდილობდა ყური მოეკრა მისი ნაღვლიანი ყმუილისათვის, მაგრამ ამაოდ.

ახლა ბეკი რამდენიმე დღით დაიკარგებოდა ხოლმე ბანაკიდან და იქვე უღამდებოდა, სადაც უთენდებოდა. ერთხელ მან კვლავ გადალახა წყალგამყოფი და ისევ მდინარეებისა და ტბების იქითა მხარეს აღმოჩნდა. მთელი კვირა იხეტიალა აქ და ამაოდ ძებნა ველური ძმის ნაკვალევი. იკვებებოდა ნანადირევით, რომელსაც გზადაგზა კლავდა და მსუბუქი დიდი ნახტომებით დარბოდა, ისე რომ სულ არ იღლებოდა. დიდ მდინარეში, რომელიც სადღაც შორს, ზღვას უერთდებოდა, ორაგულს იჭერდა. ამ მდინარესთან შეახრამუნა მოზრდილი შავი დათვიც, რომელიც ბეკივით თევზს იჭერდა. კოლოებისაგან დაბრმავებული და უღონობით გამძვინვარებული დათვი ტყისკენ გაიჭრა, მიუხედავად ამისა, მათი შებმა სასტიკი იყო, მან საბოლოოდ გამოაღვიძა ბეკში მთვლემარე მხეცი. ორი დღის შემდეგ დაბრუნდა იმ ადგილას, სადაც მოკლული დათვი დატოვა. ნადავლისათვის ერთმანეთს შებმოდა თორმეტიოდე მაჩვი. ბეკმა ბზესავით მიფანტ-მოფანტა ისინი, ხოლო ორნი, რომლებმაც გაქცევა ვერ მოასწრეს, ადგილზე დარჩნენ, ბრძოლის უნარს სამუდამოდ მოკლებულნი.

ბეკი თანდათან სისხლისმსმელი მტაცებელი ხდებოდა. იგი კლავდა, რათა თვითონ ეარსება, კლავდა მარტო, სხვის დაუხმარებლად, მხოლოდ თავის ძალასა და სიმამაცეზე დანდობილი, და ზეიმობდა გამარჯვებას მტრულ გარემოცვაში, სადაც მხოლოდ ძლიერნი ცოცხლობენ. საკუთარი ძალის შეგნებამ ბეკს სიამაყის გრძნობა გაუღვიძა. მის ყოველ მოძრაობაში მჟღავნდებოდა ეს, ყოველი კუნთის თამაშში გამოკრთოდა. ყოველგვარ სიტყვაზე უკეთ მეტყველებდა ამაზე მისი ქცევა და, გეგონებოდათ, ეს სიამაყე ახალ ბზინვარებას და სიფაფუკეს აძლევს მის დიდებულ ბალანსო. ყავისფერი ლაქები რომ არ ჰქონოდა დრუნჩზე და თვალებს ზემოთ, ხოლო თეთრი ზოლი – გულთან, შეიძლება იგი უზარმაზარი მგელი გგონებოდათ, უშველებელი უშველებელთა შორის. მამა-სენბერნარისაგან მან მემკვიდრეობად მიიღო სიდიდე და წონა, მაგრამ სხვა ყველაფერი დედა-ნაგაზისგან ჰქონდა თანდაყოლილი. გრძელი დრუნჩი მგლისას მიუგავდა, ოღონდ უფრო დიდი ჰქონდა, ხოლო თავის ქალა, თუმცა უფრო ფართო, ფორმით მგლის თავის ქალას მოგაგონებდათ.

ბეკს ეშმაკობაც მგლისა ჰქონდა, ველური მხეცის ვერაგული ეშმაკობა. ამას გარდა, მასში ერთმანეთს შერწყმოდა ნაგაზის ჭკუა და სენბერნარის გამჭრიახობა. ყოველივე ეს,

უმკაცრეს სკოლაში მიღებულ გამოცდილებასთან ერთად, ბეკს ყველა იმ მხეცზე უფრო საშიშს ხდიდა, რომლებიც უდაბურ ტყეებში დაძრწიან. ეს ძალღი, რომელიც მხოლოდ უმი ხორციტ იკვებებოდა, ძალთა სრული გაფურჩქვნის პერიოდში იყო, სიცოცხლის ენერგია მასში დუღდა და გადმოდიოდა. როცა თორნტონი ხელს უსვამდა ზურგზე, ბეკის ბალანს ტკაცატკუცი გაუდიოდა, თითქოს ბალნის თითოეული ღერი ფარულ მაგნეტიზმს გამოსცემდა. მასში ყველაფერი, სხეულისა და ტვინის ყოველი უჯრედი, ყოველი ნერვი და მარღვი დამაბული ცხოვრებით ცხოვრობდა, მოქმედებდა შესანიშნავი შეთანხმებულობით, სრული წონასწორობით. ყველაფერს, რასაც ბეკი ხედავდა და ესმოდა, რაც მოითხოვდა გამოხმაურებას, იგი საოცარი სისწრაფით ეხმაურებოდა. ჩრდილოეთის ჯიშის ძაღლები სწრაფად ესხმიან თავს და ასევე სწრაფად იცავენ თავს თავდასხმისაგან, მაგრამ ბეკი ამას ორჯერ უფრო სწრაფად აკეთებდა. საკმარისი იყო თვალი მოეკრა მოძრაობისათვის ან ხმა გაეგონა, იგი უფრო ადრე ეხმიანებოდა მას, ვიდრე სხვა ძაღლი. ბეკი ერთდროულად აღიქვამდა, გადაწყვეტილებას იღებდა და მოქმედებდა კიდეც. ეს სამი მომენტი – აღქმა, გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება, როგორც ცნობილია, ერთიმეორეს მოსდევს. ბეკთან შუალედი ამ სამ მოქმედებაში იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ გეგონებოდათ, ყველაფერი ერთად ხდებოდა. მისი კუნთები სიცოცხლის ენერგიით იყო დამუხტული, მუშა-ობდნენ სწრაფად და ზუსტად, როგორც ფოლადის ზამბარები. ბედნიერებით აღსავსე, შმაგი სიცოცხლე ძლიერ ნაკადად იღვრებოდა მის სხეულში და, გეგონებოდათ, ეს ნაკადი თავის დაუოკებელ სწრაფვაში ნაფლეთებად გაგლეჯდა ამ სხეულს, გადმოიღვრებოდა და მთელ სამყაროს წალეკავდა.

– ასეთ ძაღლს მეორეს ვერ იპოვი! – უთხრა ერთხელ ჯონ თორნტონმა ამხანაგებს, რომლებიც თვალს ადევნებდნენ ბანაკიდან დინჯად მიმავალ ბეკს.

– მართალია, როცა იგი ჩამოასხეს, ეტყობა, ყალიბი გატყდა, – შენიშნა პიტმა.

– მეც ასე ვფიქრობ, – დაუმოწმა ჰანსმა.

ისინი ხედავდნენ ბანაკიდან მიმავალ ბეკს, მაგრამ ვერ ხედავდნენ იმ უეცარ და საშინელ ცვლილებებს, რომლებიც მასში ხდებოდა, როგორც კი იგი თვალს მიეფარებოდა და უღრან ტყეს შეერეოდა. ტყეში დინჯად როდი დადიოდა, უმაღვე ნადირად იქცეოდა და კატასავით ჩუმად, ქურდულად მიიპარებოდა, ხეებს ეფარებოდა, როგორც ჩრდილი ტყის სხვა ჩრდილებს შორის. მან იცოდა, როგორ გამოეყენებინა ყოველგვარი საფარი, იცოდა გველივით მუცელზე ხობვა, მოულოდნელი თავდასხმა და დარტყმა. მოხერხებულად დაითრევდა ხოლმე ბუდიდან გნოლს, კლავდა მძინარე კურდღელს და ჰაერშივე იჭერდა ციყვებს, როგორც კი წამით დაავიანებდნენ ხეზე აძრომას. თევზებიც კი ვერ უსხლტებოდნენ გაუყინავ მდინარეში და თახვებსაც, ჯებირებს რომ აკეთებდნენ თავისთვის, ვერას შველოდა ჩვეული სიფრთხილე. ბეკი უმიზეზოდ კი არ კლავდა, არამედ იმიტომ, რომ შიოდა. მას მხოლოდ იმის ჭამა უყვარდა, რასაც თვითონ კლავდა. მის საგმირო საქმეებში ზოგჯერ თავის შექცევის სურვილიც შეიმჩნეოდა. დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ხოლმე, როცა მიეპარებოდა ციყვს, კლანჭებში მოიგდებდა, მერე კი გულგახეთქილ საცოდავ არსებას გასხლტომისა და ხის წვერზე აძრომის საშუალებას მისცემდა.

შემოდგომაზე ტყეში უამრავი ცხენირემი გამოჩნდა – ისინი დინჯად მიემართებოდნენ ბარისკენ, რათა ზამთარს შეხვედროდნენ დაბლობ ველებში, სადაც სიცივე ისე მკაცრი არ იყო. ბეკმა ერთხელ ჯოგს ჩამორჩენილი პატარა ცხენირემი მოკლა, მაგრამ უფრო დიდი ნანადირევი უნდოდა და წააწყდა კიდეც ერთ მშვენიერ დღეს მთებში, წყლის სათავესთან. ოციოდე ცხენირმისაგან შემდგარი ჯოგი მოვიდა აქ ტბებისა და მდინარეების მიდამოებიდან. ჯოგს მეთაურობდა მსხვილი ხარირემი,

რომელიც ექვსი ფუტის სიმაღლეზე აღმართულიყო დედამიწიდან. იგი გააფთრებული იყო და ამაზე უფრო სასტიკ მოწინააღმდეგეს ვერც ინატრებდა ბეკი. ცხენირემი აქეთ-იქით იქნევდა თოთხმეტ ნაწილად დატოტვილ უზარმაზარ რქებს, მის პატარა თვალებში საშინელი გაშმაგება გამოსჭვიოდა. ბეკი რომ დაინახა, დაიღრიალა.

ცხენირემს ფერდში, მკერდთან ახლოს, ფრთიანი ისარი ჰქონდა გარჭობილი. ცხადია, ამას გაემწარებინა. ტყეში მონადირე წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებულმა ინსტინქტმა უკარნახა ბეკს, რომ თავდაპირველად მეთაური უნდა ჩამოეცილებინა ჯოგისათვის. ეს ადვილი როდი იყო. ბეკი დახტოდა და ისეთი მანძილიდან უყეფდა, რომ ცხენირემი ვერ მისწვდებოდა თავისი უზარმაზარი რქებითა და მოცვეთილი ჩლიქებით, რომლის ერთი დარტყმა ბეკს სულს გააფრთხობინებდა. რაკი იმის საშუალება არ ჰქონდა, ზურგი შეექცია ამ ეშვებიანი ურჩხულისათვის და გასცლოდა, ცხენირემი საშინლად განრისხდა. გააფთრებული უტევდა ბეკს, მაგრამ იგი უსხლტებოდა, უმწეოდ აჩვენებდა თავს, რითაც კიდევ უფრო აქეზებდა და შორს იტყუებდა მსხვერპლს. მაგრამ ყოველთვის, როგორც კი ბებერი ცხენირემი ჯოგს გამოეყოფოდა, ორი-სამი ახალგაზრდა ცხენირემი უმაღვე შეუტევდა ხოლმე ბეკს და ამით საშუალებას აძლევდა დაჭრილ წინამძღოლს, უკან დაბრუნებულიყო.

მტაცებლებს აქვთ რაღაც განსაკუთრებული მოუღალავი, შეუპოვარი, უდრეკი მოთმინება, როგორც თვით სიცოცხლეა, რომელიც ეხმარება ქსელში მჯდარ ობობას, რკალივით დახვეულ გველს, ჩასაფრებულ ავაზას, საათობით ისხდნენ განაბულნი. ამ მოთმინებას ამჟღავნებს ყველა ცოცხალი არსება, რომელიც ცოცხალ საკვებზე ნადირობს. ამას ამჟღავნებდა ამჯერად ბეკიც, რომელიც გვერდიდან უვლიდა და აფერხებდა ჯოგს, აღიზიანებდა ახალგაზრდა ცხენირემებს, აშინებდა ფურ ცხენირემებს და მათ ნაშიერს, ხოლო დაჭრილი წინამძღოლი თავგანწირულ სიმშაგემდე მიჰყავდა. ასე გაგრძელდა მთელი ნახევარი დღის განმავლობაში. ბეკი ყოველი მხრიდან უტევდა ჯოგს, თავბრუს ახვევდა ირმებს, კვლავ და კვლავ უჭრიდა გზას წინამძღოლს, როგორც კი იგი დაუბრუნდებოდა ხოლმე ჯოგს. ამ ხერხით მოთმინებას უკარგავდა მსხვერპლს, რომელსაც იგი ყოველთვის უფრო ნაკლები აქვს, ვიდრე თავდამსხმელს.

დღის ბოლოს, როცა მზე, ის იყო, თვალს უნდა მიფარებოდა (შემოდგომა ძალას იკრებდა, ადრე ბნელდებოდა და ღამე ექვს საათს გრძელდებოდა), ახალგაზრდა ცხენირემები უკვე ნაკლები ხალისით ემიჯნებოდნენ თავის ჯოგს, რათა წინამძღოლს მიშველებოდნენ. ზამთარი ახლოვდებოდა, უნდა ეჩქარათ ბარში ჩასვლა, არადა, ვერაფრით ვერ მოეცილებინათ ეს მოუღალავი მხეცი, რომელიც მათ აბრკოლებდა. ამასთან, საშიშროება მთელ ჯოგს როდი ემუქრებოდა, ან მათ, ახალგაზრდებს, არამედ ერთ ბებერ ცხენირემს. და რაკილა მათთვის საკუთარი სიცოცხლე უფრო ძვირფასი იყო, ისინი ბოლოს და ბოლოს მზად იყვნენ, გაეწირათ წინამძღოლი.

ბინდი ჩამოწვა. ბებერი ცხენირემი კი თავგაქინდრული იდგა და შეჰყურებდა თავის ჯოგს, დედალ ცხენირემებს, რომლებიც უყვარდა, ახალგაზრდებს, რომელთაც მამად ერგებოდა, ხარირემებს, რომლებიც დაემორჩილებინა. ხედავდა, რა აჩქარებით შორდებოდნენ მას და უჩინარდებოდნენ დღის მიმქრალ შუქში. წინამძღოლს არ შეეძლო მათთან ერთად წასვლა, რადგან მის წინ დახტოდა შეუბრალებელი, ეშვებიანი ურჩხული და წასვლის საშუალებას არ აძლევდა. ნახევარ ტონაზე მეტს იწონიდა ცხენირემი, ხანგრძლივი ბრძოლებითა და გაჭირვებით სავსე მკაცრი ცხოვრება გამოეწვოდა და აი, ახლა, ელოდა სიკვდილი ისეთი არსებისაგან, რომელიც დაკორძილ მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა.

ბეკი უკვე აღარც დღე ეშვებოდა თავის მსხვერპლს, აღარც ღამე, ერთი წუთით არ აძლევდა მოსვენებას დაჭრილ ცხენირემს. საშუალებას არ აძლევდა, ეჭამა ნორჩი არყის

ხისა და ტირიფის ფოთლები და ყლორტები, შეესვა წყალი მორაკრაკე ნაკადულებიდან. ცხენირემი კი ვეღარ იოკებდა აუტანელ წყურვილს. ხშირად სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი გაქცევას არჩევდა ხოლმე. ბეკი არ ცდილობდა მის შეჩერებას, მშვიდად მისდევდა ფეხდაფეხ და კმაყოფილი იყო, რომ თამაში ასე წარიმართა. როცა ცხენირემი ერთ ადგილას იდგა, ბეკი მიწაზე წვებოდა. როცა მსხვერპლი შეეცდებოდა, შეეჭამა რაიმე ან წყალი დაეღია, იგი გაშმაგებული მივარდებოდა ხოლმე.

ცხენირემის დიდი, ხესავით დატოტვილი რქებით დამძიმებული თავი სულ უფრო დაბლა იხრებოდა, ნაბიჯს თანდათან სისწრაფე აკლდებოდა. ახლა იგი უფრო დიდხანს ჩერდებოდა ერთ ადგილას, დრუნჩი მიწისკენ დაეხარა, ყურები ჩამოეყარა და ბეკს მეტი დრო ჰქონდა გაქცეულიყო წყლის დასაღევად, ანდა დაესვენა. როცა ბეკი ენაგადმოგდებული იწვა, მძიმედ სუნთქავდა და თვალს არ აცილებდა უზარმაზარ ცხენირემს, მას ეჩვენებოდა, რომ გარშემო ყველაფერს სხვა ელფერი ეძლეოდა. იგი გრძნობდა, ქვეყანაზე რაღაც ახალი ხდებოდა. ეჩვენებოდა, თითქოს ცხენირემთან ერთად აქ სხვა ცოცხალი არსებებიც მოსულიყვნენ. ტყე, წყალი და ჰაერი თითქოს თრთოდა მათი აქ ყოფნისაგან. ბეკს ამას ეუბნებოდა არა მისი თვალები, არა სმენა და ყნოსვა, არამედ რაღაც შინაგანი, უტყუარი ალლო. იგი ვერ ხედავდა და არც ყურში ჩაესმოდა რაიმე განსაკუთრებული, მაგრამ იცოდა, რომ გარემომცველ სამყაროში რაღაც შეიცვალა, რომ სადღაც დაძრწიან უცნაური არსებანი. და მან გადაწყვიტა, გამოეკვლია გარე სამყარო, როცა ბოლომდე მიიყვანდა საქმეს, რომლითაც ახლა იყო დაკავებული.

მეოთხე დღის დასასრულს, როგორც იქნა, ბოლო მოუღო ბებერ ცხენირემს. ბეკი მთელი დღე და ღამე არ მოსცილებია თავის ნანადირევს, ჭამდა, ეძინა და ახლომახლო დაეხეტებოდა. შემდეგ, როცა დაისვენა, ძალ-ღონე აღიდგინა, ჯონ თორნტონი გაახსენდა და ბანაკისაკენ იბრუნა პირი. ლაღად მიხტოდა საათობით, დახლართულ გზაზე ერთხელაც არ არევია კვალი და ამ უცნობ ადგილებში ისეთი დაბეჯითებით მიემართებოდა პირდაპირ შინისაკენ, რომ კომპასიან კაცს შეარცხვენდა.

ბეკი გზადაგზა უფრო და უფრო მძაფრად შეიგრძნობდა რაღაც უჩვეულოს და ამაღელვებელს. ყველაგნ რაღაც ახალი, სულ სხვა ცხოვრება დუღდა, ვიდრე იგი ხედავდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. ამას უკვე მარტო შინაგანი, იდუმალი ალლო როდი აგრძნობინებდა, არამედ ამაზე ჟღერტულებდნენ ჩიტები, ამაზე მუსაიფობდნენ ციყვები. ნიავიც კი ამას ჩასჩურჩულებდა. ბეკი რამდენჯერმე შეჩერდა, ძლიერად შეიყნოსა დილის ჰაერი და იგრძნო რაღაც, რამაც აიძულა იგი ნაბიჯი კიდევ უფრო აეჩქარებინა. მას გულს უღრღნიდა რაღაც უბედურების წინათგრძნობა, რაც უნდა მომხდარიყო ან უკვე მოხდა. და როცა უკანასკნელი წყალგამყოფი გადალახა და ველზე დაეშვა, სადაც ბანაკი იყო გაშლილი, ნაბიჯს უკლო და ფრთხილად გასწია წინ.

სამი მილი რომ გაიარა, მიწაზე ახალი ნაკვალევი დაინახა და კისერზე ბალანი შეუტოკდა. ნაკვალევი პირდაპირ ბანაკისაკენ მიდიოდა, ჯონ თორნტონისაკენ. ბეკმა უმატა სიჩქარეს და ცდილობდა, არ ეხმაურა. ყველა ნერვი დამაგვროდა, მძაფრად აღიქვამდა ყოველგვარ უმნიშვნელო და წვრილმან ცვლილებას, რომელიც ბევრ რამეს მიაწინებდა. ყნოსვით გრძნობდა, რომ გზაზე, რომელზედაც ახლა გარბოდა, მასზე ადრე გაევლოთ ვიღაც ადამიანებს. თავისი მდუმარებით რაღაც ავისმომასწავებელს მალავდა გარინდებული ტყე. ჩაჩუმდნენ ჩიტები, მიიმალნენ ციყვები, მხოლოდ ერთი მათგანი მოხვდა ბეკს თვალში – მისი ნაცრისფერი, მზუზინავი სხეული გამხმარი ტოტის ზედაპირს ისე დაჰკვროდა, რომ მისი დანამატი გეგონებოდათ.

ბეკი აჩრდილივით მსუბუქად და ჩუმად მირბოდა. უეცრად, თითქოს რაღაც გარეშე ძალამ აიძულა გვერდზე გაეხედა. უცნობ სუნს მიჰყვა და ბუჩქებში ნიგი დაინახა. ძალიან მკვდარი იყო. ეტყობოდა, აქამდე ფოფხვით მოედწია და აქ განეტევებია სული.

ორსავე ფერდში ფრთიანი ისრები ჰქონდა გარჭობილი.

ასიოდე იარდის შემდეგ ბეკი კიდევ ერთ ძაღლს წააწყდა \_თორნტონმა იგი დოუსონში იყიდა. სულთმობრძავი ძაღლი საცოდავად იგრინებოდა ზედ გზის პირას. ბეკი აღარ გაჩერებულა, ისე აუარა გვერდი. ბანაკიდან ხმები აღწევდა, რომელიც ხან მინელდებოდა, ხან კი ძლიერდებოდა. ბეკმა მუცელზე ხოხვით გაიარა განაკავი და წააწყდა ჰანსს, რომელიც პირდაღმა იწვა. ზურგში იმდენი ისარი ერჭო, ზღარბი გეგონებოდათ. სწორედ ამ დროს გაიხედა ბეკმა იქით, სადაც ადრე ნამდვის ტოტებისაგან გაკეთებული მათი კარავი იდგა და ისეთი საზარელი სურათი ნახა, რომ ბალანი ყალყზე დაუდგა. დაუოკებელმა სიშმაგემ შეიპყრო იგი. არც კი გაუგია, როგორ დაიღრიალა მუქარით, მძვინვარედ. უკანასკნელად მის სიცოცხლეში გრძნობამ აჯობა ეშმაკობას და გონიერებას. ბეკმა გონება დაკარგა, და ეს ჯონ თორნტონისადმი უდიდესი სიყვარულის ბრალი იყო.

იპეტებმა, რომლებიც კარვის ნარჩენების ირგვლივ ცეკვავდნენ, უცბად გაიგონეს საზარელი ღრიალი მათკენ ისარივით გამოქანებული მხეცისა, რომელიც არასოდეს ენახათ. შურისძიების წყურვილით გახელებული, ქარიშხალივით გამძვინვარებული ბეკი ებგერა მათ. იგი მივარდა იმას, ვინც ყველაზე ახლოს იდგა (ეს იპეტების ბელადი იყო) და კბილებით გამოლადრა ყელი ისე, რომ შადრევანივით გადმოხეთქა სისხლმა. როცა ინდიელი დაეცა, ბეკმა მას თავი მიანება და ახლა მეორესაც ასევე გამოლადრა ყელი. არაფერს შეეძლო მისი შეჩერება. იგი ბრბოში შევარდა, გლეჯდა, ანადგურებდა ყველაფერს და ყურადღებას არ აქცევდა ისრებს, რომლებიც ყოველი მხრიდან ცვივოდა მისკენ. იგი ისეთი საოცარი სისწრაფით მოქმედებდა, ხოლო დაფეთებული ინდიელები ისეთ მჭიდრო გროვად შეჯგუფებულიყვნენ, რომ ისარს ბეკის ნაცვლად ერთმანეთს ურჭობდნენ. ერთმა ახალგაზრდა მონადირემ ბეკს შუბი ესროლა, მაგრამ იგი მეორე მონადირეს მოხვდა შიგ გულში ისეთი ძალით, რომ შუბის წვერი ზურგში გავიდა. მაშინ იპეტები პანიკურმა შიშმა მოიცვა. ავი სული დაგვეცაო, დაიღრიალეს და ყვირილით ტყეში შეცვივდნენ.

ბეკი მართლაც ავი სული გეგონებოდათ, რომელიც ფეხდაფეხ მისდევდა ინდიელებს ხეებს შორის, თითქოს ირმებს გამოჰკიდებიაო. საბედისწერო იყო ეს დღე იპეტებისათვის. ისინი მახლობელ ტყეში მიმოიფანტნენ და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, ცოცხლად დარჩენილნი, შორს, ტყის იქით, ბარში შეიკრიბნენ და დანაკლისის თვლას შეუდგნენ. დევნით დაღლილი ბეკი გაპარტახებულ ბანაკში დაბრუნდა. პიტი იმ ადგილზე იპოვა, სადაც მძინარე მოეკლათ ისე, რომ გამოღვიძება და საბნიდან გამოდრომა ვერც კი მოესწრო. მიწას ჯერ კიდევ ემჩნეოდა თორნტონის შეუპოვარი ბრძოლის სრულიად ახალი ნაკვალები და ბეკმაც დაყნოსა ყოველი მისი ნატერფალი. კვალმა ღრმა გუბურამდე მიიყვანა. მის ნაპირას ერთგული სკიტი იწვა, თავი და წინა თათები წყალში ჩაეყო, უკანასკნელ წუთებამდე არ მიეტოვებინა პატრონი. თიხიანი და მადნის რეცხვისაგან ამღვრეული გუბურა კარგად მალავდა იმას, რაც ესვენა მის ფსკერზე \_ იქ ჯონ თორნტონი იწვა. ბეკმა ბოლომდე გასდია მის ნაკვალებს გუბურამდე. უკან მიმავალი ნაკვალები კი არსად ჩანდა.

მთელ დღეს ბეკი გუბურასთან იჯდა, ან კიდევ მოუსვენრად დაეხეტებოდა ბანაკში. მან იცოდა, რა იყო სიკვდილი: ადამიანი აღარ მოძრაობს, შემდეგ სამუდამოდ ქრება ცოცხალთა ცხოვრებიდან. ბეკი მიხვდა, რომ ჯონ თორნტონი მოკვდა, იგი აღარ არის და აღარც იქნება. ბეკი რაღაც შინაგან სიცარიელეს გრძნობდა. ეს სიცარიელე შიმშილის გრძნობას ჰგავდა. მაგრამ იგი ტკივილს აყენებდა და ვერავითარი საჭმლით მას ვერ დააყუჩებდით. ტკივილი მხოლოდ იმ წუთებში ავიწყდებოდა, როცა იპეტების გვამებს დასცქეროდა. მაშინ მასში უდიდესი სიამაყის გრძნობა იღვიძებდა \_ იგი არასოდეს ასე

ამაყი და კმაყოფილი არ ყოფილა თავისი თავით. მან მოკლა ადამიანი, ყველაზე კეთილშობილი ნადირი, მოკლა კეტისა და ეშვების კანონით. იგი ცნობისმოყვარეობით ყნოსავდა მკვდრებს. თურმე ძალიან ადვილი ყოფილა ადამიანის მოკვლა, უფრო ადვილიც, ვიდრე უბრალო ძაღლის მოკვლა. ისრების, შუბისა და კეტის გარეშე ადამიანი თავისი ღონით მას ვერ შეედრება და, მაშასადამე, მომავალში მათი აღარ შეეშინდება, თუკი ხელთ არ ექნებათ ისარი, შუბი და კეტი.

დალამდა. მალლა, ხეებს ზემოთ, ცაზე, სავსე მთვარე ამოცურდა და გაცრეცილი შუქი მოჰფინა დედამიწას. ამ ღამეს გუბურასთან ნაღვლიანად მჯდარმა ბეკმა აშკარად იგრძნო, რომ ტყე მისთვის რაღაც ახალი ცხოვრებით სუნთქავდა. იგი წამოდგა, ყურები დაცქვიტა, ჰაერი შეიყნოსა. შორიდან სუსტად, მაგრამ გარკვევით მოისმა ეული ყმუილი, შემდეგ მას მთელი გუნდი შეუერთდა. ყმუილი სულ უფრო ძლიერდებოდა, წუთი წუთზე ახლოვდებოდა. ბეკმა ისევ იგრძნო, რომ ოდესღაც გაეგონა იგი იმ სხვა სამყაროში, რომელიც მისი მეხსიერების სიღრმეში ცოცხლობდა. იგი გაშლილ ადგილას გავიდა და ყური მიუგდო. დიახ, ეს ისევ ის ძახილი იყო, მრავალხმიანი ძახილი. არასოდეს ასე დაჟინებით არ ჟღერდა იგი, არასოდეს ასე არ უხმობდა მას, როგორც ახლა, და ბეკი არასოდეს ყოფილა ასე მზად დამორჩილებოდა მას. ჯონ თორნტონი მოკვდა. უკანასკნელი კავშირი გაწყდა. ადამიანები თავიანთი მოთხოვნებითა და წესებით უკვე აღარ არსებობდნენ მისთვის.

ნადირის დევნაში მგლების ხროვა, ისევე როგორც იპეტებიც, სამხრეთისაკენ ბარში მიმავალ ცხენ-ირემთა ჯოგს მისდევდა. მათ გადაიარეს ტყეებისა და ნაკადულების მხარე და ახლა იმ ველზე გამოიჭრნენ, სადაც ბეკი იმყოფებოდა. ვერცხლისფერ ნაკადად შემოიჭრა მთვარის ნათელში აცურებულ ველზე მგლების ხროვა. ველის შუაგულში ბეკი იდგა უძრავი, როგორც ქანდაკება, და მათ მოსვლას ელოდა. ეს უზარმაზარი და უძრავი მხეცი შიშს აღუძრავდა მგლებს. წუთიერი ყოყმანის შემდეგ ყველაზე გულადი დაემგერა ბეკს. ელვის სისწრაფით მოიგერია იგი ბეკმა და კისრის ძვლები გადაუმტვრია. რამდენიმე წამს იგი უძრავად იდგა, მის უკან მიწაზე გორავდა სიკვდილის აგონიით შეპყრობილი თავდამსხმელი. კიდევ სამმა მგელმა სცადა მასთან შებრძოლება, მაგრამ დასისხლიანებულებმა, ყელგამოღადრულებმა და მხარგაგლეჯილებმა ერთიმეორის მიყოლებით დაიხიეს უკან.

ბოლოს მთელი ხროვა მიესია ბეკს. მგლები წინ მიიწევდნენ და თავისი მოუთმენლობით ხელს უშლიდნენ ერთმანეთს ნადავლის დაუფლებაში. მაგრამ საოცარმა მოხერხებამ და სისწრაფემ იხსნა ბეკი. უკანა ფეხებზე შემდგარი, ყველა მხარეს ტრიალებდა, იბრძოდა კბილებით, ბრჭყალებით და ერთდროულად იგერიებდა ყველა მომხდურს. მტრისათვის რომ ზურგიდან შემოვლის საშუალება არ მიეცა, იძულებული იყო, უკან დაეხია, სანამ გუბურა არ გაიარა და დამშრალი მდინარის კალაპოტში არ აღმოჩნდა. აქედან კი მალალ ფერდობზე ავარდა. მისი პატრონები აქ იღებდნენ ქვიშას გასარეცხად. ცოტა მოშორებით ქვიშაში ღრმა თხრილი იყო. აქ იგი სამი მხრიდან იყო დაცული და მხოლოდ ერთი მიმართულებით მოუხდებოდა თავის დაცვა. ამას იგი ისე მოხერხებულად აკეთებდა, რომ ნახევარი საათის შემდეგ თავგზადაბნეულმა მგლებმა უკან დაიხიეს, ენა გადმოაგდეს, მათი თეთრი ეშვები კი უფრო თეთრად ელავდნენ მთვარის შუქზე. ზოგიერთი მიწაზე დაწვა, დრუნჩი მალლა ასწია და ყურები გალურსა. სხვები იდგნენ და თვალს ადევნებდნენ ბეკს. ზოგი წყალს სვამდა გუბურიდან. გაძვალტყავებული დიდი რუხი მგელი ფრთხილად გამოვიდა წინ. აშკარად კეთილი ზრახვა ამოძრავებდა, და ბეკმაც იცნო ის ტყიური ძმა, რომელთანაც მთელი დღე და ღამე დარბოდა ტყეში. მგელი ხმადაბლა წკმუტუნებდა და როცა ბეკმაც წკმუტუნითვე უპასუხა, ერთმანეთი დაყნოსეს.

ბეკთან ახლა მეორე, ბრძოლებში არაერთგზის დაჭრილი ბებერი მგელი მივიდა. ბეკმა ჯერ კბილები გააღრჭიალა, შემდეგ კი მათაც დაყნოსეს ერთმანეთი. ამ ცერემონიის შემდეგ ბებერი მგელი დაჯდა, დრუნჩი მთვარეს მიუშვია და აყმუვლა. მას დანარჩენებიც აჰყვნენ. ბეკმა იცნო ის ძახილი, რომელიც ასე აწუხებდა გრძელ ღამეებში და თვითონაც დაიყმუვლა. როცა ყველა გაჩუმდა, იგი გამოვიდა თავისი საფარიდან. მგლების ხროვა გარს შემოერთყა და მტერ-მოყვრულად დაუწყო ყნოსვა. წინამძღოლმა მგლებმა კვლავ შეჰყმუვლეს და ტყეს მიაშურეს. ერთხმად აყმუვლებული მგლები უკან დაედევნენ. ბეკიც მათ გაჰყვა. თავის ძმობილთან ერთად გარბოდა და ისიც ყმუოდა.

აქ შეიძლება დაგვემთავრებინა ბეკის ამბავი.

გაიარა რამდენიმე წელმა და იჰეტებმა შეამჩნიეს, რომ ტყის მგლების ჯიში შეიცვალა. ხშირად ხვდებოდათ თავსა და დრუნჩზე ყავისფერლაქებიანი მგლები, რომლებსაც თეთრი ზოლი დაჰყვებოდათ მკერდზე. მაგრამ უფრო საინტერესო ის იყო, რომ როგორც იჰეტები ამბობდნენ, მგლების ხროვას სათავეში ედგა «ძალის სული». მათ ეშინოდათ ამ ძალისა, რადგან იგი მათზე ეშმაკი იყო. ცივ ზამთარში იგი იპარავდა მათ მარაგს, ხაფანგიდან მიათრევდა მათ ნადავლს, კლავდა მათ ძაღლებს და არ ეშინოდა ყველაზე მამაცი მონადირეებისაც კი.

უფრო საშინელ ამბებსაც ჰყვებოდნენ: ხანდახან ტყეში წასული მომთაბარე მონადირეები თავიანთ სადგომებში ველარ ბრუნდებოდნენ, ზოგიერთს შემდეგ ყელგამოღადრულს პოულობდნენ. მკვდარი ადამიანის გარშემო თოვლს მგელზე უფრო დიდი მხეცის ნაკვალევი აჩნდა.

შემოდგომაზე, როცა იჰეტები ცხენირმებზე სანადიროდ მიდიან, ყოველთვის გვერდს უვლიან ერთ მინდორს. მათი ქალების სახეს სევდა და ნაღველი ფარავს, როცა ცეცხლის პირას მსხდარნი «ავი სულის» ამბავს ჰყვებიან: «ავ სულს ეს მინდორი თავის სამყოფლად აურჩევია».

იჰეტებმა არ იციან, რომ ზაფხულობით ამ მინდორში შემოირბენს ერთი ტყის მხეცი. ეს ერთი დიდებულბალნიანი დიდი მგელი გახლავთ, რომელიც ჰგავს და არცა ჰგავს სხვა მგლებს. ის მარტო მოდის ტყის მხიარული მიჯნებიდან და მინდორზე ჩამოდის. აქ აწყვია ირმის ტყავის გახრწნილი ტომრები და მათგან მიწაზე იღვრება ოქროს ქვიშა, მათ შორის კი ბალახი ამოსულა და მზისგან ფარავს ამ ოქროს. უცნაური მგელი ერთხანს ზის აქ ჩაფიქრებული, დიდხანს ყმუის ნაღველიანად, შემდეგ კი მიდის.

იგი აქ ყოველთვის მარტო როდი მოდის. როცა ზამთრის გრძელი ღამეები დადგება და მგლები სანადიროდ ჩამოდიან ველ-მინდვრად, იგი შეიძლება ხროვის სათავეშიც ნახოთ. მთვარის მკრთალ შუქზე ან ჩრდილოეთის ციალის მოციმციმე ბზინვარებაში მოდის იგი – უზარმაზარი, თავის თანამომძეებზე მაღალი და თავისი ძლიერი ხმით მღერის იმ დროის სიმღერას, როცა სამყარო ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, – მღერის მგლების სიმღერას.